ლელო 80

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

4 აპრილი პარასკევი 2014

№ 063 (14 284) ფასი 80 თეთრი

აპრილში ლელო იუბილარია



# ჯაბას ეს არ უთქვამს

## კანკავა: ყველაზე მეტად აფხაზეთისა და ოსეთის თემამ ალმაშფოთა

გუშინ, „ევროსპორტის" რუსულმა გამოცემამ შემოგვთავაზა ინტერვიუ **ჯაბა კანკავასთან**, რომელიც ბოლო ერთი კვირაა, საყოველთაო ყურადღების ცენტრშია.

ინტერვიუ მეტისმეტად სკანდალურია და ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ პასუხების ნაწილი რუსი ჟურნალისტის მოგონილი თუ არა, სერიოზულად „შელამაზებულია".

ინტერვიუს სათაური ასეთია: „18 წლისა გადავედი „ალანიაში" და დიპლომი ვიყიდე. სპეციალობა? არც კი მახსოვს".

როდესაც უკრაინაში მიმდინარე მოვლენებზე ჯაბას ეკითხებიან - ხომ არ გეშინოდაო - ის პასუხობს:

*„ძალიან არ მომწონს ეს მოვლენები, თქვენც იცით, ასეთი რამ ჩვენც გამოვცადეთ, საქართველოში, ოსეთსა და აფხაზეთში. მაგრამ არ მეშინოდა, ფეხბურთის თამაშისთვის მზად ვიყავი".*

ასევე გადაჭარბებულად გვეჩვენება ეს შეფასებაც:

*„საქართველოში ფეხბურთის ძალიან დაბალი დონეა. ფულს არ იხდიან. მხოლოდ თბილისის „დინამოსა" და 2-3 კლუბში აქვთ ნორმალური ხელფასები. იქ საერთოდ არაფერია, არც ბაზები, არც სტადიონები, არც ხელფასები".*

სად სწავლობდა კანკავა, აი, პასუხიც: *„არ ვსწავლობდი, დიპლომი ვიყიდე. როგორ ვივლიდი ინსტიტუტში, როცა 18 წლისა „ალანიაში" გადავედი? აბა, რა უნდა მექნა".*

დაბოლოს, კითხვა - რა პროფესიის ხართ? *„სიმართლე გითხრათ, არ მახსოვს".*

■ ■ ■

გუშინვე, თავად ჯაბა დაგვიკავშირდა, რომელმაც ინტერვიუს რამდენიმე დეტალი დააზუსტა.

როგორც მოსალოდნელი იყო, საქართველოს, „ოსეთისა" და აფხაზეთის ცალ-ცალკე მოხსენიება რუსი ჟურნალისტის ინტერპრეტაცია იყო.

- ყველაზე მეტად ეს ფრაზა მწყვეტს გულს, რადგან, რა თქმა უნდა, ასე ვთქვი, რომ ჩვენთან, საქართველოშიც იგივე მოხდა და ჩვენი ქვეყნის ტერიტორიების ოკუპაცია შევადარე ყირიმის მოვლენებს.

ამის შემდეგ როგორ ვიტყოდი, რომ ყირიმის მოვლენები არ მაწუხებს?

სხვათა შორის, ჟურნალისტს უკვე ველაპარაკე და ბოდიში მოიხადა აფხაზეთისა და „ოსეთის" თემასთან დაკავშირებით და შემპირდა, რომ სათანადო შესწორებას შეიტანს ფრაზაში.

**- ინტერვიუში სხვა ხმამაღალი ფრაზებიცაა, მათზე რას იტყვით?**

- არ დავმალავ, დიპლომის შეძენის ამბავი მართლაც ვთქვი და ეს სრული სიმართლეა. არა მგონია, ეს სასკანდალო იყოს.

**- საქართველოში ქართული ფეხბურთის მდგომარეობაზე, ძირითადად, გეთანხმებით, თუმცა ის ფრაზაც ოდნავ გადაჭარბებული გვეჩვენა...**

- იქ ერთი უზუსტობა აქვს „ევროსპორტს". მე არ მითქვამს, რომ ბაზები საერთოდ არაა; ვთქვი, რომ ძალიან ცოტაა. სხვა მხრივ კი, თუ ჩვენს ქვეყანაში ფეხბურთი ყვავის და მე არ ვიყავი მართალი და ამაში ვინმე დამარწმუნებს, თავად დავრჩები მოხარული.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



# მეფე vs ზაზა: სულ ცოტა ჩხუბამდე

### ფაჩულიას მორიგი რეკორდი - 16 მოხსნა






# ბაზელი უკვე იქ არის

### ინტრიგა მხოლოდ ერთ წყვილში დარჩა

ალკმაარი-ბენფიკა 0:1
ბაზელი-ვალენსია 3:0
პორტუ-სევილია 1:0
ლიონი-იუვენტუსი 0:1

## ხვალინდელ ლელო week-ში

შაბათს გამოვიდა ჟურნალ „ლელო week-ის" მე-17 ნომერი, რომელშიც წაიკითხავთ ფრაგმენტებს საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების ყოფილი შემტევის ვლადიმერ ბოისას კარიერიდან;

ფიქრები ოკეანის გაღმიდან - ჯაბაულა; ჯაბა კანკავა, კაცი საჭირო ადგილას;

გაეცნობით ინტერვიუს ქართული სპორტის ლეგენდა ქეთევან ლოსაბერიძესთან;

რუბრიკაში - „დაკარგული თაობა" - თავის ისტორიას მოგიყვებათ საქართველოს ნაკრების ექსფორვარდი მიხეილ აშვეთია;

საჭიროა თუ არა ვიდეოტექნოლოგიების დანერგვა; რაულის მემკვიდრე ხესე, მარტინა ჰინგისის მესამე დაბრუნება; წარმოგიდგენთ საქართველოს მორაგბეთა ნაკრების სამუნდიალო მეტოქე არგენტინას და სხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული ფეხბურთის უცნაური გაზაფხული

## 32 უფრო მეტია, თუ 30?..

...გუშინ დაწყებული ტური დღეს გაგრძელდება და ხვალ დამთავრდება: აი, რა შედეგი მოაქვს ქართული საკლუბო ფეხბურთის მოუწესრიგებელ ინფრასტრუქტურას; თუმცა, ამჯერად არც სტადიონების პრობლემაა აქტუალური და არც — ჩემპიონატში შემორჩენილი ის ვითომ-ინტრიგა: ამ ბოლო დროს ჩვენს საკლუბო ფეხბურთში განუკითხაობამ უკვე მართლაც პიკს მიაღწია! აქეთ — „საეჭვო მატჩებიო", იქით — მოედნებზე, ტრიბუნებსა თუ სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე მომხდარი არეულობები და ყოველივე ამის შემხედვარე, ხანდახან ეჭვიც კი უჩნდება მავანს: ეს ყველაფერი განგებ ხომ არ ხდება? ყოველ შემთხვევაში, ის კი ფაქტია, რომ დაუსჯელობის სინდრომის თემა მეტად და მეტად აქტუალური გახდა და როგორც ჩანს, საქმეს არც ფულადი სანქციები თუ საშინაო მატჩების ნეიტრალურ მოედნებზე (თანაც — უმაყურებლოდ) ჩატარება შველის. თანაც, ზემოთ ნახსენები მასობრივი არეულობები მოედნებზე, ტრიბუნებსა თუ სტადიონის მიმდებარე ტერიტორიებზე ჩემპიონატის მატჩებშიც ხდება და თასის შეხვედრებშიც, უმაღლეს ლიგაშიც და პირველ ლიგაშიც. აი, ორი დღის წინათ მომხდარი ფაქტი, საერთოდ, ვერაფრით აგვიხსნია: ქობულეთის „შუქურას" და ფოთის „კოლხეთს" ხომ, ფაქტობრივად გარანტირებული აქვთ თავიანთ ზონაში პლეიოფის ის ორი ვაკანტური საგზური და, ამ გუნდების შეხვედრაში დაფიქსირებული ფრე ერთი შეხედვით, ორივესათვის მისაღები შედეგი უნდა ყოფილიყო; ამას



გარდა, ნუ დაგვავიწყდება, რომ სულ მალე (კერძოდ, 8 აპრილს) „შუქურამ" საქართველოს თასის ნახევარფინალში „ჩიხურას" უნდა უმასპინძლოს და ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორი იქნება სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილების მოლოდინი ქობულეთში...

...„ტორპედო"-„დინამო", „მერანი"-„შუქურა", „შუქურა"-„კოლხეთი", — არასრული ერთი თვის განმავლობაში სამი სკანდალური მატჩი გვქონდა მოედანზე შევარდნებითა თუ სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე გაჩაღებული ცემა-ტყეპით. ამ არასრული ერთი თვის განმავლობაში (ისე როგორც — ოდნავ ადრეც) რამდენიმე მატჩმა მართლია, უექსცესოდ ჩაიარა, მაგრამ ქართულ საფეხბურთო საზოგადოებას მართლაც სამართლიანი ეჭვი აქვს ამ შეხვედრების „სპორტული პრინციპების დაცვით" ჩატარებაში! ალარაფერს ვამბობთ უკვე მართლაც „ლეგენდადქცეული" პირველი ლიგის გათამაშებაზე: წინა სეზონის მაგავსად, ახლაც უხვად შეხვდებით „მძაფრსიუჟეტიან" მატჩებსა (უამრავი წითელ-ყვითელი ბარათებით, ავტოგოლებით, პენალტებით და ასე შემდეგ) თუ აშკარად „არასაფეხბურთო შედეგით" დამთავრებულ შეხვედრებს; ახლა, ამ ყველაფერს ის დაანონსებული იდეაც დაემატა, რის მიხედვითაც, უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობა 16 ან 18 (!) უნდა იყოს; მოკლედ, მართლაც უცნაური გაზაფხული დაუდგა ქართულ საკლუბო ფეხბურთს და არც იმას დავმალავთ, რომ ხანდახან ზოგიერთი ინფორმაცია საპირველაპრილო ხუმრობა გვგონია. აი, თუნდაც ის, როცა ერთ-ერთი გუნდის მთავარი მწვრთნელი „პროფესიულად" გვისაბუთებს 16-გუნდიანი ჩემპიონატის უპირატესობას და ერთ-ერთ არგუმენტად თამაშების რაოდენობის გაზრდაც მოჰყავს; არადა, ამ პატივცემულ პიროვნებას მოკრძალებულად გვინდა ვუთხრათ, რომ 12-გუნდიანი ჩემპიონატის პირობებში თითოეულ გუნდს ჩემპიონატში 32 შეხვედრის ჩატარება უწევს, 16-გუნდიანის შემთხვევაში კი — 30! ისიც კარგად გვესმის, რომ XXI საუკუნეა და სადაც გაიხედავს კაცი, ახალ-ახალი ტექნოლოგიები ინერგება; თუმცა, რაღაც არ გვსმენია იმის შესახებ, რომ მათემატიკაში რაიმე ძირეული ცვლილებები მომხდარიყოს — ანუ, აქამდე ასე ვიცოდით, რომ 32 უფრო მეტია, ვიდრე — 30...

... გაზეთი „ლელო", საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის სპორტულ გადაცემათა მთავარი რედაქცია, საფეხბურთო კლუბი „ზესტაფონი" (სავარაუდოდ, თბილისის „დინამოც"), — აი, ვინ ეწინააღმდეგება უმაღლეს ლიგაში გუნდების 16 ან 18-მდე გაზრდას; ანუ „სერიოზულ" უმცირესობაში ვიმყოფებით და ასე რომც არ იყოს, რატომლაც მაინც ყველაფერი გადაწყვეტილი გვგონია! ჰო, ასეა: უბრალოდ, სეზონის დამთავრებამდე არ სურთ ამ ყველაფრის გასაჯაროება და მერე კი, უმაღლეს ლიგაში გუნდების გაზრდაც, როგორც იტყვიან ხოლმე, დროის საქმეა...

**გია ტუხაშვილი**

### I–VI ადგილები

**4.04. ივანწმინდა — 16:00**

**ჩიხურა – დინამო (თბ)**

ურთიერთშეხვედრები: 8: +0 =1 -7 (7:31)

ბოლო 5 მატჩი

| | |
|---|---|
| მეტალურგი-ჩიხურა | 2:0 (სთ) |
| ჩიხურა-სიონი | 1:2 (სჩ) |
| ჩიხურა-სიონი | 2:1 (სთ) |
| ჩიხურა-ტორპედო | 1:2 (სჩ) |
| გურია-ჩიხურა | 2:0 (სჩ) |
| დინამო (თბ)-ზესტაფონი | 1:0 (სჩ) |
| დინამო (თბ)-გურია | 3:0 (სჩ) |
| დინამო (თბ)-მეტალურგი | 4:1 (სთ) |
| დინამო (თბ)-მეტალურგი | 0:1 (სჩ) |
| ტორპედო-დინამო (თბ) | 0:3 (სჩ, ტმ) |

**5.04. ზესტაფონი. დ. აბაშიძე — 18:00**

**ზესტაფონი – გურია**

ურთიერთშეხვედრები: 2: +2 =0 -0 (2:0)

ბოლო 5 მატჩი

| | |
|---|---|
| დინამო (თბ)-ზესტაფონი | 1:0 (სჩ) |
| ზესტაფონი-მეტალურგი | 2:0 (სჩ) |
| სიონი-ზესტაფონი | 0:1 (სჩ) |
| ზესტაფონი-მერანი | 2:0 (სჩ) |
| ვიტ ჯორჯია-ზესტაფონი | 0:2 (სჩ) |
| დინამო (თბ)-გურია | 2:0 (სჩ) |
| ზუგდიდი-გურია | 2:0 (სჩ) |
| გურია-ჩიხურა | 2:0 (სჩ) |
| გურია-სპარტაკი | 0:1 (სჩ) |
| დილა-გურია | 1:3 (სჩ) |

### VII–XII ადგილები

**4.04. თბილისი. მ. მესხი. უმაყურებლოდ — 16:00**

**ტორპედო – დილა**

ურთიერთშეხვედრები: 47: +29 =5 -13 (96:52)

ბოლო 5 მატჩი

| | |
|---|---|
| ზუგდიდი-ტორპედო | 0:1 |
| ტორპედო-სპარტაკი | 0:2 (სჩ) |
| დილა-ტორპედო | 2:0 (სთ) |
| ჩიხურა-ტორპედო | 1:2 (სჩ) |
| ტორპედო-დინამო (თბ) | 0:3 (სჩ. ტმ) |
| დილა-ვიტ ჯორჯია | 1:2 (სჩ) |
| მერანი-დილა | 1:2 (სჩ) |
| დილა-ტორპედო | 2:0 (სთ) |
| დილა-ვიტ ჯორჯია | 1:1 (სჩ) |
| ზუგდიდი-დილა | 2:1 (სჩ) |

**4.04. მცხეთა. მცხეთა პარკი — 16:00**

**ვიტ ჯორჯია – მერანი**

ურთიერთშეხვედრები: 8: +2 =3 -3 (5:7)

ბოლო 5 მატჩი

| | |
|---|---|
| დილა-ვიტ ჯორჯია | 1:2 (სჩ) |
| ვიტ ჯორჯია-ზუგდიდი | 1:2 (სჩ) |
| ვიტ ჯორჯია-სპარტაკი | 2:1 (სჩ) |
| დილა-ვიტ ჯორჯია | 1:1 (სჩ) |
| ვიტ ჯორჯია-ზესტაფონი | 0:2 (სჩ) |
| მერანი-სპარტაკი | 0:0 (სჩ) |
| დილა-მერანი | 1:2 (სჩ) |
| მერანი-შუქურა | შეწყდა (სთ) |
| მერანი-დილა | 1:2 (სჩ) |
| მერანი-მეტალურგი | 0:0 (სჩ) |

**5.04. თბილისი. მ. მესხი (სათადარ.) — 16:00**

**სპარტაკი – ზუგდიდი**

ურთიერთშეხვედრები 17: +8=3 -6 (23:16)

ბოლო 5 მატჩი

| | |
|---|---|
| მერანი-სპარტაკი | 0:0 (სჩ) |
| ტორპედო-სპარტაკი | 0:2 (სჩ) |
| ვიტ ჯორჯია-სპარტაკი | 2:1 (სჩ) |
| სპარტაკი-ზუგდიდი | 2:0 (სჩ) |
| გურია-სპარტაკი | 0:1 (სჩ) |
| ზუგდიდი-ტორპედო | 0:1 (სჩ) |
| ვიტ ჯორჯია-ზუგდიდი | 1:2 (სჩ) |
| ზუგდიდი-გურია | 2:0 (სჩ) |
| სპარტაკი-ზუგდიდი | 2:0 (სჩ) |
| ზუგდიდი-დილა | 2:1 (სჩ) |

დღეს, კანცელარიაში...

# შემცირებას აპირებდნენ, გაზრდაზე ილაპარაკებენ?

ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო კომისიის წევრები დღეს კანცელარიაში, პრემიერ-მინისტრ **ირაკლი ღარიბაშვილთან** შეიკრიბებიან. შეგახსენებთ, რომ სახელმწიფო კომისია რამდენიმე კვირის წინ სწორედ პრემიერ-მინისტრის მეთაურობით შეიქმნა და მასში შედიან: ვიცე-პრემიერი **კახა კალაძე**, ინფრასტრუქტურის მინისტრი **დავით ნარმანია**, ეკონომიკის მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**, სპორტის მინისტრი **ლევან ყიფიანი**, მისი მოადგილე **აკაკი ლოდია**, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ზვიად სიჭინავა**, გენმდივანი **რევაზ არველაძე**, თბილისის „დინამოს" პრეზიდენტი **რომან ფიფია**, „ზესტაფონის" მფლობელი **ილია კოკაია**, „საბურთალოს" პრეზიდენტი **ტარიელ ხეჩიკაშვილი**, აგრეთვე ვეტერანი ფეხბურთელები **ალექსანდრე ჩივაძე** და **მურთაზ ხურცილავა.** ფეხბურთის განვითარების პროგრამაზე ცალკე სპორტის სამინისტრო და ცალკე ფეხბურთის ფედერაცია მუშაობდნენ, ახლა კი სახელმწიფო კომისიამ ეს ორი პროგრამა უნდა შეაჯეროს და ისეთი ვარიანტი მიიღოს, რომელიც ყველა მხარისთვის მისაღები იქნება. სამინისტროსა თუ ფედერაციის პროგრამების ალწერას აქ ალარ შევუდგებით, რადგანაც მის თაობაზე აქამდეც საკმაოდ ვწერდით, მთავარს კი ცხადია, ახლავე მოგახსენებთ.

ღარიბაშვილთან პირველი შეხვედრისას და კომისიის წევრების სხვა შეკრებისას ითქვა, რომ უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობაზე სწორედ 4 აპრილს კანცელარიაში, პრემიერ-მინისტრის თანდასწრებით იმსჯელებდნენ. გაზრდაზე მაშინ ლაპარაკიც არ იყო, პირიქით სპორტის მინისტრის მოადგილის განცხადებით, მსჯელობა უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობის 12-დან 10-მდე შემცირებაზე უნდა ყოფილიყო.

„უმაღლეს ლიგაში 12 ან 10 გუნდი უნდა იყოს, პირველში კი - 18-მდე, თან ერთიანი, რადგან ასე უფრო ძლიერი და საინტერესო პირველი ლიგა გვექნება. დანარჩენი გუნდები დაბალ ლიგებში გადანაწილდებიან. პირადად მე 10-გუნდიანი უმაღლესი ლიგის მომხრე ვარ, რადგან ოთხ წრედ 36 ტური გაიმართება. გუნდების განვითარებისა და ფეხბურთელების ზრდისთვის სასურველია მეტი მატჩი ჩატარდეს, თანაც ამ სისტემაში


ირაკლი ღარიბაშვილი

ქულაც არავის დაეკარგება", — ეს სპორტის მინისტრის მოადგილე აკაკი ლოდიას ის სიტყვებია, რომელიც მან სამი კვირის წინ თქვა. ამ სამ კვირაში კი მეტწილად მარტვილის „მერანის" აქტიურობის შედეგად მოვლენები ისე შეიცვალა, რომ ჩვენი ინფორმაციით, მსჯელობა არა შემცირებაზე, უმაღლესში გუნდების რაოდენობის 16 ან 18 გუნდამდე გაზრდაზე იქნება. ცხადია, კანცელარიაში სხვა საკითხებზეც ილაპარაკებენ, თუმცა მეტი ყურადღება სწორედ ამ საკითხს დაეთმობა. კანცელარიის შემდეგ კი ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელები კლუბების უფროსებთან კანცელარიიდან გამოტანილი პასუხის სათქმელად აპირებენ შეხვედრას. გავიგეთ ისიც, რომ უმაღლესში გუნდების რაოდენობის გაზრდის წინააღმდეგნი არც ფედერაციაში არიანო, თუმცა ვნახოთ, დღეს სახელმწიფო კანცელარიაში სავარაუდოდ ბევრი რამ გაირკვევა...

**კობა ინასარიძე**

# მოახლოვებული ევროპა

03.04. თბილისი. მ. მესხი
500 მაყურებელი

| | |
|---|---|
| სიონი | 2 |
| მეტალურგი | 0 |

1:0 ლობჟანიძე (43), 2:0 კილასონია (60, საკუთარ კარში)

სიონი (4-2-3-1): მერლანი-ფოფხაძე, სვანიძე, აბრამიძე, თოთაძე — გოგობერიშვილი, ცხადაია (70. სამხარაძე)- ზ. ლობჟანიძე, აფციაური, კახელიშვილი (75. კანდელაკი)-ახალაია (55. უგულავა)

სათადარიგოები: იმედაშვილი, ბიბილეიშვილი, ზ. მამასახლისი, ზუხბაია,

მთავარი მწვრთნელი: ლადო ბურდული

მეტალურგი (4-2-3-1): ბედიაშვილი-სეთურიძე, მახვილაძე, ვ. კილასონია (65. ექვთიმიშვილი), დ. საჯაია-დობროვოლსკი, გიგაური-ქავთარაძე, ვასაძე (61. ჩიმაკაძე), კაკაშვილი (46. მიქაბერიძე)-ჩირგაძე

სათადარიგოები: უ. გელაშვილი, ...მაია, ხაბელაშვილი, ცნობილაძე

მთავარი მწვრთნელი: ვარლამ კილასონია

გაფრთხილება: კილასონია (31), ფოფხაძე (48), აფციაური (65), გოგობერიშვილი (69)

არბიტრი: ლ. კვარაცხელია



ლადო ახალაია (მარცხნივ) და დავით საჯაია — თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

...2013 წლის ოქტომბრის ბოლო რიცხვები იყო, „სიონმა" მორიგი მარცხი რომ განიცადა და სატურნირო ცხრილის ფსკერისკენაც დაეშვა. ბოლნისურ კლუბს იმ დროისათვის ათი მატჩი ჰქონდა ჩატარებული და იქიდან მხოლოდ ორში შეძლო გამარჯვების მოპოვება. და აი, იმის შემდეგ სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა: მომდევნო 14 ტურში „სიონმა" 9 შეხვედრა მოიგო და დღესდღეობით სრულიად დამსახურებულად იმყოფება მესამე ადგილზე! ეს „პოზიცია" კი, მოგეხსენებათ, ევროტურნირის საგზურის გარანტიას იძლევა და დღევანდელი „გადმოსახედით", **ლადო ბურდულის** გუნდს ამ მიზნის შესრულება არ უნდა გაუჭირდეს.

... აპრილისთვის უჩვეულოდ სუსხიან ამინდში ჩატარებული გუშინდელი ქვემოქართლური „დერბი" მთლად უინტერესო საცქერი არ გამოდგა. აქვე ისიც ვთქვათ, რომ ისევე როგორც ამ გუნდებს შორის 9 მარტს რუსთავში ჩატარებულ შეხვედრაში, გუშინაც თვალშისაცემი იყო „სიონის" ფეხბურთელთა უპირატესობა გამოცდილების თვალსაზრისით. ერთი-ორი გამოცდილი მოთამაშე „მეტალურგშიც" არის, მაგრამ **ვარლამ კილასონიას** შეგირდების უმრავლესობა მაინც ახალგაზრდები არიან და ეს ფაქტორიც ერთ-ერთი გადამწყვეტი აღმოჩნდა გუშინდელ მატჩში.

... „მასპინძელთაგან" პირველ ტაიმში ყველაზე მეტად **ზვიად ლობჟანიძე** აქტიურობდა (იგივეს თქმა შეიძლება საპირისპირო ფლანგზე მოქმედ **გიორგი კახელიშვილზე**): „სიონის" მარჯვენა გარემარბმა პირველ ჯერზე შორეული დარტყმით სცადა გოლის გატანა, მაგრამ **გრიგოლ ბედიაშვილმა** ბურთი კუთხურზე მოიგერია; მეორე ცდაზე არაზუსტად დაარტყა, სამაგიეროდ, ტაიმის მიწურულს მისმა ზუსტმა თავურმა დარტყმამ „სიონი" წინ გაიყვანა. თანაც, ეს საგოლე შეტევა სწორედ ამ 23 წლის ნახევარმცველმა წამოიწყო, როცა მეტოქეს ბურთი აართვა და ზუსტი პასით მარჯვენა ფლანგზე **ლადო ახალაია** მოძებნა. ბოლნისელთა გუნდის გამოცდილმა ცენტრფორვარდმაც ბურთი საპირისპირო ფლანგზე გადაიტანა, საიდანაც გიორგი კახელიშვილი „ერთი შეხებით" ურტყამდა და ბოლოს ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ მეკარისგან უკუგდებულ ბურთს პირველმა სწორედ ლობჟანიძემ მიუსწრო. „მეტალურგს" რაც შეეხება, რუსთაველთა გუნდი პირველ ტაიმში მხოლოდ ერთხელ დაემუქრა სტუმართა კარს, თუმცა **დენის დობროვოლსკის** „ცაციათი" ძლიერად დარტყმული ბურთი **მირზა მერლანმა** მოიგერია.

მეორე ტაიმი ისევ „სიონის" შეტევებით დაიწყო და **ალექსანდრე გოგობერიშვილის** სახიფათო ჩაწოდების შემდეგ „მეტალურგის" მცველებმა დიდი გაჭირვებით შეძლეს ხიფათის განმუხტვა. აი, მომდევნო ეპიზოდში კი, ფაქტობრივად, თამაშის ბედი გადაწყდა: **დაჩი ფოფხაძე** მარჯვენა ფლანგიდან მეტოქის საჯარიმოში გამჭოლ გადაცემას აკეთებდა და ამ დროს, „მეტალურგის" ახალგაზრდა ცენტრალურ მცველს **ვარლამ კილასონია-უმცროსს** ბურთი საკუთარ კარში აეჭრა! „მეტალურგის" თავკაცმა შეცვლებით სცადა მოედანზე არსებული სიტუაციის შეცვლა, შესამჩნევად გააქტიურდა წინა ტურის მატჩში თავგამოჩენილი **დავით ჩირგაძეც**, მაგრამ რუსთაველებმა გოლის გატანა ვერ მოახერხეს. არადა, ამის შანსი **გიორგი ქავთარაძესაც** ჰქონდა და მატჩის ბოლო წუთზე „მეტალურგის" ერთდროულად სამ ფეხბურთელსაც, მაგრამ — უშედეგოდ. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ტრადიციულად ბევრს აქტიურობდა შეცვლაზე შემოსული **ჯაბა უგულავა**, თუმცა „სიონის" ახალგაზრდა და ერთობ საინტერესო ფორვარდს ამჯერად არ უმართლებდა.

**გია ტუხაშვილი**

### I–VI ადგილები

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დინამო | 24 | 17 | 3 | 4 | 55 | 17 | 54 |
| 2 | ზესტაფონი | 24 | 13 | 4 | 7 | 32 | 16 | 43 |
| 3 | სიონი | 24 | 11 | 6 | 7 | 31 | 24 | 39 |
| 4 | ჩიხურა | 24 | 11 | 5 | 8 | 41 | 37 | 38 |
| 5 | მეტალურგი | 25 | 10 | 6 | 9 | 28 | 29 | 36 |
| 6 | გურია | 23 | 11 | 0 | 12 | 25 | 32 | 33 |

### VII–XII ადგილები

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | ვიტ ჯორჯია | 24 | 9 | 5 | 10 | 31 | 32 | 32 |
| 8 | ტორპედო | 24 | 9 | 5 | 10 | 25 | 32 | 32 |
| 9 | დილა | 24 | 8 | 8 | 8 | 30 | 26 | 32 |
| 10 | სპარტაკი | 24 | 7 | 3 | 14 | 21 | 32 | 24 |
| 11 | ზუგდიდი | 24 | 6 | 5 | 13 | 14 | 32 | 23 |
| 12 | მერანი | 24 | 5 | 4 | 15 | 18 | 42 | 19 |

*ცხრილები მომზადებულია gff.ge-ს მიხედვით*

## გორული ამბები

# დილა რეკორდზე მიდის, ხოჯავა მეორე წრეზე

ჩემპიონატის ზე-ექვსეულს მიღმა დარჩენილმა გორის „დილამ" სეზონის დარჩენილი მატჩებისთვის განაცხადში რუსეთიდან თავისუფალი აგენტის სტატუსით ჩამოსული **გოჩა ხოჯავა** შეიყვანა. ეს ფეხბურთელი რუსეთში ადრეც თამაშობდა და ვიდრე მისთვის აგენტები იქვე ახალ კლუბს მოძებნიდნენ, ფეხბურთელმა მაშინაც „დილაში" ამჯობინა ასპარეზობა. მერე წავიდა და აგერ, ამჯერად უკვე დაშლილი „ალანიადან", ისევ გორს დაუბრუნდა. გოჩა ხოჯავა „დილაში" ორ თვეს დარჩება, კლუბს კი ახალი სეზონისთვის დაკომპლექტება თავიდან მოუწევს. ბოლო დროს გორის „დილა" მგონი რეკორდზე მიდის — სეზონში სამჯერ, ფაქტობრივად, ახალი გუნდი კეთდება. ქართული რეალობიდან გამომდინარე ევროპის ლიგაზე მეტ-ნაკლებად წარმატებით მოასპარეზე „დილა" შემოდგომაზე მწვრთნელმა **გიორგი დევდარიანმა** დატოვა და მას რამდენიმე ფეხბურთელიც მიჰყვა. დევდარიანის ნაცვლად მოსულ **რამაზ სოლოლაშვილს** კლუბის უფროსებმა რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელი დაახვედრეს, მაგრამ მწვრთნელის პოსტზე დიდხანს ვერც სოლოლაშვილმა გაძლო — „დილა" სწორედ მისი ხელმძღვანელობით დარჩა ზე-ექვსეულს მიღმა; სოლოლაშვილმაც, როგორც ნამუსიანმა კაცმა, მუშაობის გაგრძელებაზე უარი თქვა, დასახული მიზანი ვერ შევასრულეო და წავიდა. „დილას" ხელმძღვანელობამ კი მისი მემკვიდრის მოძებნას რამდენიმე დღე მოანდომა — გუნდი სათასო ბატალიებში გამოცდილ **გია გიგატაძეს** ჩააბარეს. გიგატაძე კი ის მწვრთნელია, რომელმაც ქუთაისის „ტორპედო" ჯერ უმაღლეს ლიგაში გადაიყვანა, ხოლო შემდეგ საქართველოს თასის ფინალში ათამაშა. მართალია გიგატაძის თავკაცობით გადამწყვეტი შეხვედრა „ტორპედომ" პირველლიგელ „გაგრასთან" დათმო, მაგრამ სამაგიეროდ მწვრთნელმა ქუთაისში ყველა მადლიერი დატოვა. გიგატაძის აქტივშია ასევე წყალტუბოს „სამგურალთან" მოპოვებული წარმატება — მწვრთნელმა ეს გუნდიც უმაღლეს ლიგაში დააბრუნა.



გოჩა ხოჯავა

...როცა გორელებს ასეთი ხშირი ცვლილებების მიზეზზე ჰკითხავ, გიპასუხებენ, მადა ჭამაში მოდის, ჩვენი თამასა ნელ-ნელა ზემოთ იწევს და ქომაგიც სულ უკეთ თამაშს გვთხოვსო. გორში ახლა იმაზე ფიქრობენ, რომ ევროპის ლიგის წინა გათამაშებაზე უარესად აღარ ითამაშონ. წინა ზაფხულს, ალბათ გახსოვთ, „დილამ" ორივე საკვალიფიკაციო ეტაპზე წარმატებით ითამაშა და მხოლოდ პლეი ოფში ვენის „რაპიდთან" დამარცხდა. თავის მხრივ კი კლუბი შესაძლებლობების მაქსიმუმს აკეთებს საიმისოდ, რომ მწვრთნელებსა თუ ფეხბურთელებს სათამაშოდ საუკეთესო პირობები შეუქმნას და მათ გაქცევაზე თვალი არ ეჭიროთ. გამგებელი, საკრებულოს თავმჯდომარე და მაჟორიტარი დეპუტატი „დილას" მატჩებს არ აცდენენ და გუნდთან ყოველდღიური ურთიერთობა აქვთ. ჩინოვნიკების გარდა „დილას" გვერდით არის გუნდის სატიტულო სპონსორი, წინა ევროტურნირის დროსრომლის საშუალებითაც მოხერხებულა ორი უცხოური შეკრების მოწყობა. ამჟამად კი „დილა" საგურამოში, თბილისის „ლოკომოტივის" ბაზაზე იკრიბება ხოლმე და ასე იქნება ახლაც, ქუთაისის „ტორპედოსთან" შეხვედრამდე.

ამას წინათ „დილა" „გურიასთან" დამარცხდა. საფეხბურთო სამყაროში ამ შეხვედრის შესახებ ალაპარაკდნენ. ორივე გუნდი ზე-ექვსეულში დასამკვიდრებლად იბრძოდა. არადა, იმ მატჩში „დილას", თურმე, ტრავმებისა თუ დისკვალიფიკაციის გამო ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი აკლდა. გორელებს ფეხბურთელები თასზე „ტორპედოსთან" შეხვედრის შემდეგ გამოაკლდნენ და ძირითადის შვიდი-რვა მოთამაშე გურულებთან თამაშს მხოლოდ ტრიბუნიდან უცქერდა. გორელთა ერთ-ერთი ლიდერი **გულვერდ თომაშვილი** კი ისე დაშავდა, სეზონის ბოლომდე ვერც ითამაშებს...

მოკლედ, აი ასეთი ამბებია გორის „დილაში", გუნდში, რომელმაც წინა ზაფხულს, ევროპის ლიგაში მონაწილეობის შემდეგ მართლაც ბევრი ქომაგი შეიძინა. ეს ქომაგები ორიოდ დღის წინ გუნდის ხელმძღვანელებსა და ფეხბურთელებს გორში შეხვდნენ და რაც ზემოთ წაიკითხეთ, ყველაფერი სწორედ იმ შეხვედრაზე ითქვა.

**კობა ინასარიძე**

## ლეგიონერი

**Динамовцы благодарят Джабу Канкаву!**



Уважаемый Джаба!

Искренне благодарим тебя за твой ПОСТУПОК!

Каждому человеку присуща свобода свершения, то есть того, что он считает наилучшим в самый нужный и ответственный момент.

Ты пришел на помощь нашему товарищу именно в те секунды, когда он в ней жизненно нуждался!

Спасибо тебе!

Знаем, что у тебя доброе сердце и наша благодарность тебя не отяготит!

Здоровья и счастья тебе, наш дорогой Генацвале!

ФК «Динамо» (Киев)

# კიევის დინამო ჯაბა კანკავას: გმადლობ, გენაცვალე!

დნეპროპეტროვსკის „დნიპროს" ქართველმა ფეხბურთელმა **ჯაბა კანკავამ** კიევის „დინამოს" კაპიტანი **ოლეგ გუსევი** რომ გადაარჩინა, უკვე საკმაოდ გახმაურებული ამბავია. ჩვენიანის გმირობის შესახებ ლამის მთელი მსოფლიო ალაპარაკდა, თავად ჯაბას ტელეფონი კი იმ ამბის შემდეგ არ გაჩერებულა. ფეხბურთელს მადლობის სათქმელად ვინ აღარ ურეკავს, თუმცა მისთვის ჯერ არ დაურეკავს მთავარს — **ოლეგ გუსევს**, რომელიც ჯერაც საავადმყოფოშია და ტვინის შერყევას მკურნალობს. ადრე თუ გვიან, გუსევი ჯაბას, ალბათ, მაინც დაურეკავს, აი კიევის „დინამომ" კი ქართველი ფეხბურთელის მიმართ მადლიერება უკვე სახალხოდ გამოხატა. ისეთი დიდი კლუბისგან, როგორიც კიევის „დინამოა", მადლობის თქმა, დაგვეთანხმებით, ერთი-ორად სასიამოვნო ამბავია. აი, რას წერენ კიევის დინამოელები ჯაბა კანკავას:

**„ძვირფასო ჯაბა!**

*გულწრფელ მადლობას გიხდით შენი გმირობისთვის! თითოეულ ადამიანს აქვს ქმედების თავისუფლება, ანუ ის, რასაც საუკეთესო გადაწყვეტილებად მიიჩნევს ყველაზე საჭირო და მნიშვნელოვან მომენტში. შენ დაეხმარე ჩვენს მეგობარს ზუსტად იმ წამებში, როცა მას ეს ყველაზე მეტად სჭირდებოდა! გმადლობათ! ჯანმრთელობასა და ბედნიერებას გისურვებთ, გენაცვალე"!*

**კობა ინასარიძე**

## მილოცვა

**საფეხბურთო კლუბ „საბურთალოს" პრეზიდენტს - ბატონ ტარიელ ხეჩიკაშვილს მეგობრები მეშვიდე შვილის - მარიამის შეძენას ულოცავენ**

● ინციდენტის კვალდაკვალ

# სტადიონია თუ სასაკლაო?

2აპრილს, ქობულეთში, "ჩელე არენაზე" გამართულ სკანდალურ მატჩზე "ლელო" უკვე წერდა. პირველი ლიგის "ა" ზონის ლიდერების, ქობულეთის "შუქურასა" და ფოთის "კოლხეთი-1913"-ის მატჩი 6 წუთით შეწყდა: მიზეზი, გულშემატკივართა დაპირისპირება იყო.

სამართალდამცავებმა რეაგირება დროულად მოახდინეს, მაგრამ თამაშის დასრულების შემდეგ, ფოთელ გულშემატკივრებს რამდენიმე ადგილობრივი ფანი თავს დაესხა. შედეგად რამდენიმე სტუმარი დაშავდა, მათი ავტობუსი კი დაზიანდა.

ამასთან დაკავშირებით, ქობულეთის "შუქურას" ფანკლუბმა განცხადება გაავრცელა: *"ამ საქციელს ვგმობთ და აღვნიშნავთ, რომ ქობულეთის "შუქურას ოფიციალური ფანკლუბის "ვიკინგების" წევრები ავტობუსის დაზიანებაში არ ვმონაწილეობდით. "შუქურა" ისევ პირველ ადგილზეა. თუმცა, ამ ფაქტმა დიდი ზიანი მიაყენა კლუბს და სტადიონს. პროვოკაცია ფოთის გულშემატკივრებმა წამოიწყეს. კერძოდ, ფეხბურთელების მიმართ სიტყვიერი შეურაცხყოფა ისმოდა, როდესაც "შუქურა" 1:0 დაწინაურდა. ამ პროვოკაციას „ვიკინგებიც" წამოეგენ და თამაში 6 წუთით შეჩერდა, თამაშის ჩაშლას არაფერი აკლდა... ამას დაემატა მსაჯის უყურადღებობა გარკვეულ მომენტებში, რამაც ისედაც გაღიზიანებული გულშემატკივრების აგრესია გამოიწვია. რაც დღეს მოხდა, სამარცხვინოა. კლუბები სანქციების მოლოდინში არიან. რას გადაწყვეტს ფედერაცია, ამას მალე შევიტყობთ. თუმცა, იმედია, სტადიონისთვის მიყენებული ზიანის შედეგები მალე გამოსწორდება. იმედია, მომხდარი "კოლხეთის" ფან-კლუბისთვის კარგი მაგალითი იქნება და ისწავლიან, რომ მეტოქეს შეურაცხყოფა არ უნდა მიაყენო, მით უფრო, სტუმრად! აქვე იმედს ვიტოვებთ, რომ არბიტრები მომდევნო თამაშზე „ფხიზლად" იქნებიან".*

საინტერესოა, რომ შეხვედრამდე "შუქურასა" და თავად ფან-კლუბის ხელმძღვანელები თადარიგს იჭერდნენ და გულშემატკივარს თავშეკავებისკენ მოუწოდებდნენ. თურმე, "ჩელე არენაზე" საგანგებო შეხვედრაც შედგა გუნდის და ფან-კლუბის თავკაცებს შორის, სადაც "შუქურა" ფანებს სთხოვდა, რომ სტადიონზე მაქსიმალურად თავშეკავებული ყოფილიყვნენ. თავად ფან-კლუბის წევრები აცხადებდნენ, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ დაწესებულ ნორმებს გაეცნნენ, თუ რისი გაკეთება არ შეიძლება სტადიონზე და ერთმანეთს მოუწოდებდნენ, მაქსიმალურად თავშეკავებული ვიყოთ. სამწუხაროდ, ეს უსიამოვნო ამბავი მაინც მოხდა.

არანაკლებ სკანდალური გამოდგა 28 მარტს ქედაში გამართული შეხვედრა, სადაც "ბეთლემისა" და ვანის "სულორის" მატჩი შეწყდა. 87-ე წუთზე, როდესაც 0:0 იყო, ანგარიში სტუმრებმა გახსნეს. ამ დროს, სამსაჯო-საინსპექტორო განყოფილების უფროსის, **ლევან მიქელაძის** ინფორმაციით, მსაჯს, **აბო მონიავას** მასპინძელთა ფეხბურთელები მივარდნენ, მერე კი სტადიონზე 70-მდე ადამიანი შეიჭრა და ისე საშინლად სცემეს, 52 ნაკერი დაადეს!

ძნელი სათქმელია, რა ხდება ქართულ სტადიონებზე. ეს პოლიტიკა არაა, წინასწარ დადგმულ პროვოკაციებზე რომ ვილაპარაკოთ. ნაკლებად სავარაუდოა, რომ მოედანზე ეს ამდენი შევარდნაც ტოტალიზატორთან კავშირში იყოს. იქნებ, მიზეზი ქართული ფეხბურთისადმი დაკარგული ნდობაა, მათ შორის, მსაჯების მიმართაც? იქნებ, სწორედ ამიტომაა, მსაჯების სამართლიან გადაწყვეტილებასაც ხალხი ეჭვით რომ უყურებს? მაგრამ ამ ეჭვების გამო ადამიანის სასიკვდილოდ გამეტება დიდი ცოდვაა.

ყველაზე საწყენი ისაა, რომ ეს ერთი მუჭა ქართველები მთელ ენერგიასა და შემართებას ერთმანეთის დაჭმაში რომ ვხარჯავთ. ასეთი ფეხბურთი არავის არ სჭირდება. ბოლოს და ბოლოს, სტადიონები სასაფლაოს არ უნდა დაემსგავსოს.

**მერაბ მამულაშვილი**

*P.S. სამეჯიბრო განყოფილების უფროსის, **დიმა ბოკერიას** თქმით, მომხდარ ფაქტებზე სადისციპლინო კომიტეტი ორშაბათს იმსჯელებს: "წინასწარ ვერ ვიტყვი, სადისციპლინო კომიტეტის წევრები რა გადაწყვეტილებას მიიღებენ, მაგრამ შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ სანქციები მკაცრი იქნება".*

● ყირიმის გუნდები ქართული პრიზმით

# უკრაინელები პარალელებს საქართველოსთან ავლებენ

უკრაინა გაურკვევლობაშია. ცნობილი მოვლენების შემდეგ, უკრაინის პრემიერლიგის მონაწილე სეპარატისტული რეგიონების კლუბებს, სიმფეროპოლის "ტავრიასა" და "სევასტოპოლს" რუსეთის ჩემპიონატში მონაწილეობა შესთავაზეს. რუსეთის სპორტის მინისტრმა **ვიტალი მუტკომ** პირდაპირ განაცხადა, რომ ამ კლუბებმა რუსეთის ჩემპიონატში უნდა ითამაშონ. საკითხს აქტიურად განიხილავს ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის მედიაც. ბედის ირონიაა, რომ "ტავრია" დამოუკიდებელი უკრაინის პირველი ჩემპიონია.

უკრაინული მედია ამაზე წუხს, მაგრამ იმედი აქვთ, რომ ასეთ შემთხვევაში, დიდია ალბათობა, უეფამ და ფიფამ რუსეთი საერთაშორისო იზოლაციაში მოაქციოს, მის საფეხბურთო კავშირს სანქციები დაუწესოს, ნაკრებებსა და კლუბებს კი საერთაშორისო შეხვედრებში მონაწილეობა აუკრძალოს.

უკრაინულმა ტელეარხმა "2+2" საჭირბოროტო საკითხზე რეპორტაჟი მოამზადა. სიუჟეტის ავტორმა პარალელები მოლდოვასა და საქართველოსთან გაავლო. რუსული ანექსიის მიუხედავად, ოკუპირებული დნესტრისპირეთის რეგიონის წარმომადგენლები მოლდოვას ჩემპიონატში თამაშობენ - ტირასპოლის "შერიფი", "ტირასპოლი" და "დინამო-ავტო".



ზვიად სიჭინავა

აფხაზეთისა და შიდა ქართლის (ე.წ. სამხრეთ ოსეთი) წარმომადგენლები, ცხინვალის "სპარტაკი" და "გაგრა" კი საქართველოს უმაღლეს და პირველ ლიგებში მონაწილეობენ.

სიუჟეტის ავტორი მოლდოვური და ქართული მხარეების წარმომადგენლებს ელაპარაკა. ცხადია, ჩვენთვის საინტერესო ქართული მხარის პოზიცია აღმოჩნდა.

*"2008 ნელს რუსეთმა აფხაზეთისა და შიდა ქართლის ოკუპაცია მოახდინა. ეს რეგიონები არის ქართული და მის ფეხბურთს წარმოადგენდნენ, მაგრამ ახლა რა ხდება არაღიარებულ რეგიონებში? ფაქტობრივად, ისინი იზოლირებულები არიან"* – ამბობს ავტორი და აჩვენებს კადრებს სეპარატისტული აფხაზეთის ჩემპიონატის მატჩიდან, რომლის ფონიც საკმაოდ მძიმე სანახავი გახლდათ.

*"თუ ყირიმული კლუბები რუსეთის ჩემპიონატში მონაწილეობას გადაწყვეტენ, სად ითამაშებენ, პირველ ლიგაში? ასეთ შემთხვევაში, სპორტულ პრინციპს დაარღვევენ? თუ (რუსეთის პრემიერლიგაში) ის გუნდები არ გადავლენ (პირველი ლიგიდან), ვინც დღეს მონაწილეობს და ლიდერებშია? საინტერესოა, ვის ადგილს დაიკავებენ ყირიმის და სევასტოპოლის გუნდები?"* – კითხულობს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, **ზვიად სიჭინავა.**

უკრაინელი ჟურნალისტი აფხაზეთის ამბებზე "გაგრას" პრეზიდენტს, **ბესო ჩიხრაძესაც** ესაუბრა: *"საერთაშორისო თანამეგობრობას, მათ შორის, უეფასა და ფიფას, აფხაზეთი და შიდა ქართლის დამოუკიდებლობა არ უღიარებია. იმიტომ, რომ ეს რეგიონები საქართველოს ეკუთვნის. ასე რომ, თუ უკრაინის ჩემპიონატზე უარს იტყვიან, ყირიმისა და სევასტოპოლის კლუბები ვერც ერთ ჩემპიონატში ველარ ითამაშებენ. რუსეთის ოკუპაციის შემდეგ, ჩვენთან ფეხბურთისთვის არავის ეცალა. მაგრამ შემდეგ აფხაზეთისა და შიდა ქართლის გუნდები აღვადგინეთ და ახლა საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობენ. აფხაზეთიდან ლტოლვილების არც ისე მცირე ნაწილი საკურორტო ქალაქ წყალტუბოში ცხოვრობდა, სადაც ჩვენ სტადიონი დაგვითმეს. ადრე მას გაგრას "დინამო" ერქვა. მერე ძალიან მძიმე პერიოდი დაგვიდგა და კლუბი აღარ არსებობდა. ის 2004 ნელს მე აღვადგინე და მას შემდეგ არსებობს "გაგრა", რომელიც საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობს და თასის მფლობელიც იყო. ყირიმისა და სევასტოპოლის კლუბების ხელმძღვანელთა პოზიცია რომ შევიტყვე, გული დამწყდა. არ ვარ დარწმუნებული, რომ გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მიიღეს. ისინი ჩემთვის და დარწმუნებული ვარ, მსოფლიოს თანამეგობრობისთვისაც ყოველთვის უკრაინულ კლუბებად დარჩებიან".*

**მერაბ მამულაშვილი**

● სიტუაცია

# ბარსელონა დაისაჯა, საქართველოც?

არახალია - ფიფამ "ბარსელონას" უახლოეს ორ სატრანსფერო სეზონში ფეხბურთელების შეძენა აუკრძალა.

მიზეზი ისაა, რომ 2009-2013 ნლებში, ამ კლუბმა 10 არასრულწლოვან ფეხბურთელს კონტრაქტები ფიფას წესების დარღვევით გაუფორმეს. იუნიორთა ტრანსფერების რეგლამენტის დარღვევისთვის, "ბარსელონა" 2015 წლის ზაფხულამდე არც ერთი ასაკის ფეხბურთელს აღარ შეიძენს და 450 ათას შვეიცარულ ფრანკსაც გადაიხდის, ხოლო ესპანეთის ფეხბურთის ფედერაცია - 500 ათასი ფრანკს.

ამ ყველაფრის სიღრმეებში შესვლით ჩვენთვის ერთი ძალიან უსიამოვნო ამბავი დავადგინეთ. ყველაფრის მიზეზი ხომ არაევროკავშირელთა უკანონო დამატება იყო, ბოლო დროს კი, უეფამ და ფიფამ კანონები გაამკაცრა. მაგრამ ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ეს ყველაფერი საქართველოს ძალიან ცუდად შეეხება.

საქმე ისაა, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნის გუნდს კონტრაქტის გაფორმება ამავე გაერთიანებაში შემავალი სხვა სახელმწიფოს 16 წლის მოთამაშესთანაც შეუძლია, არაევროკავშირელთან კი - მხოლოდ მისი სრულწლოვნების შემთხვევაში.

ხელშეკრულების გაფორმება ჩვენნაირი ქვეყნის არასრულწლოვან მოქალაქესთანაც იყო შესაძლებელი, თუ მისი მშობელი ევროკავშირის ქვეყანაში მუშაობდა ან გაერთიანებიდან 100 კილომეტრის რადიუსში ცხოვრობდა. აქაც პრობლემა გვაქვს – გადახედეთ რუკას, ევროკავშირს 100 კილომეტრზე გაცილებით მეტით ვართ დაშორებულები.



გიორგი ჭანტურია

მაგრამ ადრე რამდენიმე ქვეყანაში გამონაკლისს უშვებდნენ, თუ ევროკავშირის მოქალაქე ან ამ ქვეყანაში ოფიციალურად დასაქმებული ქართველი ჩვენებურზე მეურვეობას იღებდა. ასე აღმოჩნდა "ბარსელონაში" 2010 ნელს "საბურთალოს" თავდამსხმელი **გიორგი ჭანტურია**, რომელზეც მეურვეობა ესპანეთში საქართველოს ელჩმა **ზურაბ პოლოლიკაშვილმა** აიღო.

ახლა ფიფამ და უეფამ მეურვეობის ინსტიტუტი აკრძალა – სავარაუდოდ, ევროკავშირთან შეთანხმებით. ეს ამბავი მსოფლიო ელიტიდან ისედაც გარიყულ ქართულ ფეხბურთს კიდევ უფრო აზარალებს. მართალია, ეს ყველაფერი იმიტომ კეთდება, რომ გაერთიანების არაწევრი ქვეყნის მოთამაშეებს ზოგიერთი კლუბი ხელშეკრულებას ლამის მონურ პირობებზე უფორმებდა - ფეხბურთის მმართველი ორგანიზაციები სწორედ ამას ებრძვიან. მაგრამ ჭანტურიას "ბარსელონაში" რა პირობებიც შეუქმნეს, ამას მონური არ ეთქმოდა. მეორე მხარეც არის: ფიფა-უეფას ახალი რეგულაციები ჩვენთვის კიდევ უფრო მეტ შეზღუდვებს აწესებს და თუ მასში რაიმე ხვრელი არ ვიპოვეთ, ნიჭიერი ქართველი მოთამაშეები საკუთარ "წვენში მოიხარშებიან". რუსები ხომ ჩვენს მოქალაქეებზე ვიზებს იშვიათად გასცემენ. ერთი შვება და იმედი ისევ უკრაინაა, რომლის კლუბებსაც ფინანსურად საკმაოდ გაუჭირდათ.

**მერაბ მამულაშვილი**

● გურია

# ვალები გაისტუმრეს

საქართველოს ფეხბურთელთა ასოციაციის (სფა) ცნობით, ლანჩხუთის „გურიამ" მოთამაშეთა წინაშე არსებული დავალიანება სრულად გაისტუმრა. ეს სფა-ს პრეზიდენტმა **ბესიკ აბაშიძისგან** შევიტყვეთ.

*„გურიაში" საქართველოს ფეხბურთელთა ასოციაციის 18 წევრი თამაშობს. კლუბს მათი 3 თვის დავალიანება ჰქონდა. თუ გახსოვთ, სფა-მ ფეხბურთის ფედერაციას მიმართა და მოსთხოვა, რომ ამ ფაქტზე რეაგირება მოეხდინა. ასეთ დროს კი, ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში სტანდარტული სასჯელებია. „გურიას" მიერ 2014 წლის აპრილამდე ფეხბურთელებისათვის დავალიანების გაუსტუმრებლობის შემთხვევაში, ჩვენც ფედერაციას მოვთხოვეთ, რომ კლუბისთვის ლიცენზიის გაცემა შეეჩერებინა. მადლობა სფფ-ს, რომ ჩვენთან აქტიურად თანამშრომლობს. სწორედ ფედერაციის შეუვალი და პრინციპული პოზიციის შედეგია, „გურიამ" სახელფასო დავალიანება სრულად რომ დაფარა. სფფ-მ „გურიას" სალიცენზიო პირობების ჯეროვნად შესრულება და არსებული დავალიანების სრულად გასტუმრება მოსთხოვა. საბედნიეროდ, ყველაფერი უკვე მოგვარდა, კლუბმა ვალდებულება შეასრულა და ფეხბურთელებს დავალიანება სრულად გაუსტუმრეს"* – ამბობს აბაშიძე.

ჩვენი ინფორმაციით, ამაში "გურიას" ბანკი "ქართუ" დაეხმარა, რომელმაც კლუბზე კრედიტი მიზერული პროცენტით გასცა.

**მერაბ მამულაშვილი**

## პირველი ლიგა

### XX ტური

### B ზონა

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი-სამგურალი | 6:2 |
| დილა 2 - ჭიათურა | 2:2 |
| კოლხეთი (ხ)-ბახმარო | 5:3 |
| სტუ-დინამო (ბთ) | 0:5 |
| სამტრედია-სასკო | 3:1 |
| საბურთალო-ბეთლემი | 1:1 |
| სულორი-მაჭახელა | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სამტრედია | 20 | 16 | 2 | 2 | 46-18 | 50 |
| 2. დინამო (ბთ) | 20 | 15 | 1 | 4 | 44-12 | 46 |
| 3. მაჭახელა | 19 | 12 | 5 | 2 | 32-12 | 41 |
| 4. სასკო | 20 | 12 | 2 | 6 | 38-20 | 38 |
| 5. ჭიათურა | 19 | 10 | 2 | 7 | 32-27 | 32 |
| 6. სამგურალი | 20 | 8 | 4 | 8 | 34-38 | 28 |
| 7. ლოკომოტივი | 19 | 8 | 2 | 9 | 45-30 | 26 |
| 8. საბურთალო | 20 | 7 | 4 | 9 | 30-27 | 25 |
| 9. კოლხეთი (ხ) | 20 | 7 | 4 | 9 | 27-43 | 25 |
| 10. ბეთლემი | 19 | 7 | 3 | 9 | 22-25 | 24 |
| 11. სტუ | 20 | 6 | 2 | 12 | 32-45 | 20 |
| 12. დილა 2 | 20 | 5 | 4 | 11 | 23-37 | 14 |
| 13. ბახმარო | 20 | 1 | 7 | 12 | 23-57 | 10 |
| 14. სულორი | 18 | 1 | 2 | 15 | 8-45 | 5 |




ვეტერანი ფეხბურთელები და უახლოესი მეგობრები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ, ვეტერანი ფეხბურთელის, თბილისის „მრეტების", „მერანი 91"-ის, „ლოკომოტივის", „დინამოს" წევრის, საქართველოს ჩემპიონის, 1990 წელს საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების შემადგენლობაში იტალიის ქალაქ რეჯინას საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულის -

**დავით (გოდორა) გოდერძიშვილის**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

*დაკრძალვა შაბათს, 5 აპრილს 14 საათზე, დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ მალაროში.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპალიგა. 1/4 ფინალი. I მატჩები



ბონუჩის გამარჯვების გოლი

# ლეონარდო, ედუარდო და ელიაკიმი

**ალკმაარი (ჰოლ)–ბენფიკა (პორ) 0:1**

**გოლი:** 0:1 სალვიო (48)

**ალკმაარი (4-3-3):** ალვარადო - მ. იოჰანსონი, გუველეუ, ვირგევერი, პოულსენი (49. გუდმუნდსონი) - გუდელი (81. ჰენრიკსენი), ორტისი, ელმი - ბეერენსი, ა. იოჰანსონი, ბერგუისი

**ბენფიკა (4-3-3):** არტური - პერეირა, ლუიზაო, გარაი, სიკეირა - სალვიო, ამორიმი (39. ალმეიდა), გაიტანი - ა. გომეში, კარდოსო (64. ლიმა), როდრიგო (77. მარკოვიჩი)

**გაფრთხილება:** მ. იოჰანსონი - გაიტანი, სიკეირა, სალვიო, პერეირა

**კუთხური:** 4-5; **ჯარიმა:** 12-18; **თამაშგარე:** 6-1; **კარში დარტყმა:** 9-13 (5-6); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 16 906

**ბაზელი (შვე)–ვალენსია (ესპ) 3:0**

**გოლები:** 1:0 დელგადო (34), 2:0 დელგადო (38), 3:0 შტოკერი (91)

**ბაზელი (4-3-3):** ზომერი - პ. დეგენი (46. ფ. ფრაი), შარი (72. ემბოლო), საფერო, ალიჯი - ჯაკა, დიე, დიასი - დ. დეგენი, დელგადო (58. ელ ნენი), შტოკერი

**ვალენსია (4-4-2):** გუაიტა - პერეირა, სენდეროსი (25. ბარაგანი), მატიო, ბერნატი - ფეგული, კეიტა, პარეხო, კარტაბია (70. პიატი) - პ. ალვარესი, ვარგასი

**გაფრთხილება:** დიე, ემბოლო - სენდეროსი

**კუთხური:** 4-7; **ჯარიმა:** 12-8; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 10-10 (6-4); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 350

**პორტუ (პორ)–სევილია (ესპ) 1:0**

**გოლი:** 1:0 მანგალა (31)

**პორტუ (4-1-2-3):** ფაბიანო - დანილო, რეიესი, მანგალა, ალექს სანდრო - ფერნანდო - დეფური (70. ერერა), ედუარდო (57. კინტერო) - ვარელა (77. ღილასი), ჯ. მარტინესი, კვარეშმა

**სევილია (4-2-3-1):** ბასტოსი - კოკე, პარეხა, ნავარო, მორენო - იბორა (63. ფიგეირაში), კარიშო - რეიესი (74. ვიტოლო), რაკიტიჩი, მარინი (63. გამეირო) - ბაკა

**გაფრთხილება:** მარტინესი, ფერნანდო - მორენო, რეიესი

**გაძევება:** ფერნანდო (87)

**კუთხური:** 9-3; **ჯარიმა:** 15-14; **თამაშგარე:** 0-0; **კარში დარტყმა:** 11-5 (5-3); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 31 122

**ლიონი (საფ)–იუვენტუსი (იტა) 0:1**

**გოლი:** 0:1 ბონუჩი (85)

**ლიონი (4-2-3-1):** ლოპეში - ტოლისო, კონე, უმტიტი, ბედიმო - ფერი, გონალონსი - მალბრანკი (86. ფეკირი), ლაკაზეტი (75. გომისი), მვუემბა - ბრიანი (89. ნიე)

**იუვენტუსი (3-1-4-2):** ბუფონი - კასერესი, ბონუჩი, კიელინი - პირლო - ისლა (78. ლიხტშტაინერი), პოგბა, მარკიზიო, ასამოა - ოსვალდო (62. ჯოვინკო), ტევესი (55. ვუჩინიჩი)

**გაფრთხილება:** ტოლისო, ლოპეში - ჯოვინკო, ვუჩინიჩი

**კუთხური:** 7-9; **ჯარიმა:** 13-21; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 6-10 (4-6); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 37 084

**წუხელ ევროპალიგის პირველი მეოთხედფინალური მატჩები გაიმართა. ტურინული ფინალისკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა „ბებერმა ქალბატონმა“, ვერ გაამართლა „ვალენსიამ“, რომელიც სტუმრად მდუმარე ტრიბუნების წინ ეთამაშებოდა მეტოქეს, იყოჩაღეს პორტუგალიურმა კლუბებმა...**

ოთხიდან მხოლოდ ერთი თამაში გამოდგა უხვგოლიანი და სწორედ იმ თამაშზე არ იყო არც ერთი გულშემატკივარი ოფიციალური პირებისა და ჟურნალისტების გარდა - „ბაზელმა“ „ვალენსიას“ ამის მიუხედავად, სამი უპასუხო გოლი გაუტანა. ტრიბუნები კი ცარიელი „ბაზელის“ ქომაგების მიერ ავსტრიაში ჩადენილი უგვანი საქციელის გამო იყო. წლეულს, „ვალენსია“ არ ვარგა, საკვირველი უფრო ის არის, რომ „ღამურებმა“ აქამდე მიაღწიეს. ახლა **ხუან ანტონიო პიცის** გუნდის ნახევარფინალში გასვლის შანსი მიზერულია. დუბლი „ბაზელის“ არგენტინელმა ათიანმა **მატიას დელგადომ** შეასრულა, ანგარიში გამანადგურებელი კი **ვალენტინ შტოკერმა** გახადა.

ლეონარდო, ედუარდო და ელიაკიმი მათ ჰქვიათ, ვინც დანარჩენ სამ შეხვედრაში გამარჯვების გოლები გაიტანეს და მატჩის გმირები გახდნენ.

ლეონარდო „იუვენტუსის“ მცველი **ლეონარდო ბონუჩია.** „ლიონთან“ მატჩის 85-ე წუთზე **ანდრეა პირლომ** კუთხური მოაწოდა, ცოტა ხანში ბურთი საჯარიმოში დადარაჯებულ ბონუჩის მიუვიდა და მცველმაც ისე გაისროლა, „სტად დე ჟერლანი“ დაადუმა - 0:1 და ბუნებრივია, ტურინული მატჩის წინ „ბებერი ქალბატონი“ ცალი ფეხით ნახევარფინალშია.

პორტუში, „დრაგაუზე“ 31-ე წუთი მიმდინარეობდა, როცა **კვარეშმას** მარცხნიდან ჩაწოდებულს ფრანგი **ელიაკიმ მანგალა** ვარდნაში თავით შეეგება და გამარჯვებისა გაიტანა. „პორტუმ“ 10 კაცით დაასრულა მატჩი, რადგან **ფერნანდო** გაუძევეს, ახლა „სევილიამ“ „სანჩეს პისხუანზე“ შურისძიებისთვის უნდა იზრუნოს.

ალკმაარში „არწივებს“ არგენტინელმა **ედუარდო სალვიომ** მოაგებინა - მან მეორე ტაიმის დასაწყისში საოცრად ლამაზ ვარდნაში გაუტანა მასპინძელთა გუნდს და „ბენფიკა“ თითქმის სამშვიდობოს გაიყვანა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ამბები

## ბენტეკე მუნდიალს გამოტოვებს?

ცუდია ამბავია **კრისტიან ბენტეკეს** თავს. ბელგიელი ფორვარდი „ასტონ ვილას“ რიგითი ვარჯიშისას დაშავდა და ექიმების ვარაუდით შესაძლოა, მსოფლიოს ჩემპიონატის გამოტოვებაც მოუხდეს. 23 წლის ფორვარდმა აქილევსის მყესი გაიწყვიტა და მედიკოსების წინასწარი დიაგნოზით, იგი პრემიერლიგის მიმდინარე სეზონში ბირმინგემელებს ნამდვილად ვერ დაეხმარება, ხოლო მუნდიალზე გამგზავრების შანსი კი ძალიან მცირე აქვს. უფრო დეტალური ინფორმაცია უახლოეს დღეებში სპეციალური გამოკვლელევის შემდეგ გახდება ცნობილი.

## მანჩინი შესაძლოა, ინტერს დაუბრუნდეს

**ექტორ რაულ კუპერი**, რომელიც ახლა დუბაიში მოღვაწეობს და „ალ ვასლის“ მთავარი მწვრთნელია, თავის ყოფილ კლუბთან „ინტერთან“ და მილანელთა კიდევ ერთ ექსმწვრთნელ **რობერტო მანჩინისთან** დაკავშირებით საინტერესო ინფორმაციას ავრცელებს.

*„ის „გალათასარაიში“ არც ისე კმაყოფილია და იტალიაში დაბრუნება სურს. „ინტერი“ კი მანჩინის კლუბში მეორე მოსვლით დაინტერესებულია, მათ შორის მლაპარაკებები უკვე დაიწყო და არ გამოვრიცხავ, რობერტომ უახლოეს მომავალში „ნეროაძურისგან“ ოფიციალური შეთავაზება მიიღოს“* - განაცხადა საქართველოს ნაკრების ყოფილმა თავკაცმა.

58 წლის არგენტინელი სპეციალისტის სიტყვები შესაძლოა, სულაც არ არის აზრსმოკლებული, რადგან „ინტერში“ დიდი ცვლილებები იგეგმება. **ვალტერ მაცარის** მუშაობით კმაყოფილი არ არიან.

**გიორგი კაკაბაძე**

იტალია. სერია A. XXXII ტურის წინ

# იუვეს იოლი ნადავლი?

## რომა სარდინიაზე და დერბი ვერონაში

**5 აპრილი**

**კიევო–ვერონა 20.00**

**დისკვალიფიკაცია:** ფრეი - ალბერტაცი.
**ტრავმა:** გუანა - გონსალესი.

ბოლო 6 შეხვედრა

2-0-4 | 1-1-4

ურთიერთშეხვედრები

**სულ 7 თამაში: +2=1-4, (8-9)**

**ინტერი–ბოლონია 22.45**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ.
**ტრავმა:** კამპანიარო - დელა როკა.

ბოლო 6 შეხვედრა

2-3-1 | 1-2-3

ურთიერთშეხვედრები

**სულ 32 თამაში: +20=5-7, (60-37)**

**6 აპრილი**

**ლაციო–სამპდორია 14.30**

**დისკვალიფიკაცია:** ლედესმა (ლაციო).
**ტრავმა:** ედერსონი, დიასი, გონსალესი, ნოვარეტი, პერეირინია - გასტალდელო.

ბოლო 6 შეხვედრა

3-1-2 | 4-1-1

ურთიერთშეხვედრები

**სულ 32 თამაში: +17=7-8, (51-36)**

**ატალანტა–სასუოლო 17.00**

**დისკვალიფიკაცია:** სტენდარდო (ატალანტა).
**ტრავმა:** კაცოლა, ბრივიო, მორალესი - ალექსე, აჩერბი, მანფრედინი, მარონე, პუჩინო, ფლორო ფლორესი, ბიანკო.

ბოლო 6 შეხვედრა

6-0-0 | 1-1-4

ურთიერთშეხვედრები

**სულ 25 თამაში: +10=3-12, (35-38)**

**კალიარი–რომა 17.00**

**დისკვალიფიკაცია:** როსეტინი (კალიარი).
**ტრავმა:** ადრიანი, საუ - ბალცარეტი, სტროტმანი.

ბოლო 6 შეხვედრა

2-1-3 | 5-0-1

ურთიერთშეხვედრები

**სულ 31 თამაში: +9=9-13, (47-57)**

**კატანია–ტორინო 17.00**

**დისკვალიფიკაცია:** რინაუდო - ჟილე.
**ტრავმა:** კასტრო, ალმირონი, სპოლი, ფრიზონი - ლარონდო, მაზიელო, პასკუალე.

ბოლო 6 შეხვედრა

0-1-5 | 2-0-4

ურთიერთშეხვედრები

**სულ 18 თამაში: +3=6-9, (19-37)**

06.04. პარმა. ენიო ტარდინი **22:45**

**პარმა**

ბოლო 6 მატჩი

+2=1-3 | +4=1-1

ურთიერთშეხვედრები

**სულ 25 თამაში: +10=3-12, (37-33)**

**ნაპოლი**

სავარაუდო შემადგენლობები




**დისკვალიფიკაცია:** ამაური, ლუკარელი (პარმა).
**ტრავმა:** გარგანო, ვერგარა, პოცი - რაფაელი, მაჯო.



გონსალო იგუაინი „პარმას“ შეუტევს

**ფიორენტინა–უდინეზე 17.00**

**დისკვალიფიკაცია:** სავიჩი (ფიორენტინა).
**ტრავმა:** პეგაზი, როსი, რებიჩი, გომესი, პასკუალი, კომპერი, პისარო, ვარგასი - დი ნატალე.

ბოლო 6 შეხვედრა

2-1-3 | 3-1-2

ურთიერთშეხვედრები

**სულ 36 თამაში: +17=6-13, (57-47)**

**7 აპრილი**

**იუვენტუსი–ლივორნო 21.00**

**დისკვალიფიკაცია:** ვიდალი (იუვენტუსი).
**ტრავმა:** პელუზო, ბარცალი, ოგბონა, პეპე - ლუჩი, ემერსონი.

ბოლო 6 შეხვედრა

5-0-1 | 1-2-3

ურთიერთშეხვედრები

**სულ 9 თამაში: +7=2-0, (25-8)**

**ჯენოა–მილანი 23.00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ.
**ტრავმა:** მათუზალემი, დონარუმა, ვრსალკო, კუჩკა - ელ შაარავი, დე შილიო, პეტანია, მონტოლივო, აბატე, ამელია, მუნტარი.

ბოლო 6 შეხვედრა

2-1-3 | 2-1-3

ურთიერთშეხვედრები

**სულ 10 თამაში: +2=5-3, (9-10)**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 31 | 26 | 3 | 2 | 67-22 | 81 |
| 2. რომა | 31 | 22 | 7 | 2 | 62-17 | 73 |
| 3. ნაპოლი | 31 | 19 | 7 | 5 | 59-32 | 64 |
| 4. ფიორენტინა | 31 | 15 | 7 | 9 | 49-32 | 52 |
| 5. ინტერი | 31 | 12 | 13 | 6 | 49-23 | 49 |
| 6. პარმა | 31 | 12 | 11 | 8 | 51-41 | 47 |
| 7. ატალანტა | 31 | 14 | 4 | 13 | 37-39 | 46 |
| 8. ლაციო | 31 | 12 | 9 | 10 | 40-40 | 45 |
| 9. ვერონა | 31 | 13 | 4 | 14 | 46-52 | 43 |
| 10. ტორინო | 31 | 11 | 9 | 11 | 45-40 | 42 |
| 11. მილანი | 31 | 11 | 9 | 11 | 47-43 | 42 |
| 12. სამპდორია | 31 | 11 | 8 | 12 | 40-43 | 41 |
| 13. ჯენოა | 31 | 10 | 9 | 12 | 34-39 | 39 |
| 14. უდინეზე | 31 | 11 | 5 | 15 | 34-42 | 38 |
| 15. კალიარი | 31 | 7 | 11 | 13 | 29-41 | 32 |
| 16. კიევო | 31 | 7 | 6 | 18 | 26-46 | 27 |
| 17. ბოლონია | 31 | 5 | 11 | 15 | 24-48 | 26 |
| 18. ლივორნო | 31 | 6 | 7 | 18 | 34-58 | 25 |
| 19. სასუოლო | 31 | 5 | 6 | 20 | 29-61 | 21 |
| 20. კატანია | 31 | 4 | 8 | 19 | 23-55 | 20 |

**ბომბარდირები:** 18 - კარლოს ტევესი (იუვენტუსი); 17 - ჩირო იმობილე (ჯენოა); 14 - ჯუზეპე როსი (ფიორენტინა), გონსალო იგუაინი (ნაპოლი), როდრიგო პალასიო (ინტერი); 13 - ლუკა ტონი (ვერონა), ალბერტო ჯილარდინო (ჯენოა), მარიო ბალოტელი (მილანი).

**როგორც იქნა, „რომა“-“პარმას“ გადადებული მატჩი გაიმართა და სატურნირო ცხრილმა სრულყოფილი სახე მიიღო. დედაქალაქელებს ჯერ კიდევ სჯერათ, რომ სკუდეტოს მოპოვება შეუძლიათ, მოახლოებული ბატალიები კი ან გაამტკიცებს ამ რწმენას, ან დაასამარებს. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს „პარმა“-“ნაპოლის“ დაპირისპირება და სწორედ აქედან დავიწყოთ...**

### ცენტრალური მატჩი

იტალიელ საფეხბურთო ჟურნალისტთა შეფასებით, ტურის ცენტრალური მატჩი „ენიო ტარდინიზე“ გაიმართება, სადაც „პარმა“ „ნაპოლის“ უმასპინძლებს. **რობერტო დონადონის** გუნდი ევროპალიგის საგზურს უმიზნებს, „ნაპოლი“ კი „რომას“ მისდევს და ჩემპიონთა ლიგაზე საკვალიფიკაციო ეტაპის გარეშე სურს მოხვედრა. თუ „გაძეტა დელო სპორტს“ დავუჯერებთ, ორივე გუნდი შეტევაზე გააკეთებს აქცენტს და წესით, კარგი ბურთაობა უნდა გაჩაღდეს.

**რაფა ბენიტესს** საბრძოლო შემადგენლობა ჰყავს, დონადონის კი **კარვალიო ამაურის** სახით სერიოზული ძალა აკლია. ბოლო ხანს, „პარმამ“ მოუკლო და ევროპალიგის საგზური სათუო გაიხადა, ამიტომ, ემილიელები ჩავარდნის დაძლევას „ნაპოლისთან“ ტრიუმფით აპირებენ. ვნახოთ, რით დასრულდება ეს საინტერესო დაპირისპირება...

### შაბათის ბატალიები

შაბათს ორი მატჩია და ორივე მეტად საინტერესო. სიყვარულის ქალაქში „კიევო“ „ვერონას“ შეასკდება, ეს კი დერბია, რომელიც ყოველთვის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. „ვერონა“ ევროსაგზურისთვის იბრძვის, „კიევო“ გადარჩენისთვის და წესით, ფიცხელი ბრძოლა უნდა გაჩაღდეს.

„ინტერი“ „ბოლონიას“ უმასპინძლებს, რაც ასევე ძალიან საინტერესოა. „ნერაძური“ კრიზისშია, სამი მატჩია, ვერ იგებს და სატურნირო ცხრილშიც მკვეთრად გაიუარესა მდგომარეობა. „პარმას“ მსგავსად, ევროპალიგის ზონაში ადგილი მილანელებსაც დასაცავი აქვთ და ამ გზაზე „ბოლონიას“ ძლევა აუცილებელია. მით უმეტეს, **ალესანდრო დიამანტის** წასვლის შემდეგ, „როსობლუ“ ღრმა კრიზისში ჩაეფლო და გავარდნის კანდიდატია. ერთი სიტყვით, „ინტერს“ ალმართზე შედგომის კარგი შანსი აქვს, დანარჩენი კი მოედანზე გამოჩნდება.

### ბოლო აკორდი

კვირას, ორი მატჩი გაიმართება: „იუვენტუსი“ „ლივორნოს“ მიიღებს და „მილანი“ „ჯენოას“ ესტუმრება. ნეაპოლში მარცხის შემდეგ, „ვეკია სენიორას“ გულშემატკივრები მხოლოდ გამარჯვებას ითხოვენ, რათა გაცოცხლებულ ინტრიგაზე საუბრები საბოლოოდ ჩაკლან. **ანტონიო კონტეს კარლოს ტევესი** დაუბრუნდა, რომელსაც თავდასხმაში **მირკო ვუჩინიჩი** შეუწყვილდება. დიახ, „გაძეტა დელო სპორტის“ მტკიცებით, **ფერნანდო ლორენტე** თადარიგში დარჩება და სასტარტო შემადგენლობაში სწორედ ჩერნოგორიელ ფორვარდს ვიხილავთ.

**კლარენს ზეედორფი** არ უარყოფს, რომ „მილანის“ მესვეურებმა მას ევროპალიგის საგზურის მოპოვება მოსთხოვეს. შესაბამისად, „როსონერის“ ერთადერთი მიზანი გენუაში მოგება იქნება. ზე ისევ 4-2-3-1 სქემას აირჩევს, წინ **მარიო ბალოტელი** იმოქმედებს, გამთამაშებლის პოზიციაზე **რიკარდო კაკა**, ფლანგებზე კი **ადელ ტაარაბტი** და **კეისუკე ჰონდა**.

**ლაშა ნიკლაური**

ესპანეთი. ლა ლიგა. XXXII ტურის წინ

# ლა რეალი რეალის წინააღმდეგ



წინა სეზონში, „სოსიედადის“ და „რეალის“ შეხვედრაში ექვსი გოლი გავიდა - 3:3

## 4 აპრილი

### ალმერია–ოსასუნა 23:00

**დისკვალიფიკაცია:** ტორსილიერი (ალმერია), ლოტიე (ოსასუნა), ე. არმენტეროსი (ოსასუნა)

**ტრავმა:** დუბარბიერი, ჰ. მარტინესი - სისი.

ურთიერთშეხვედრები

**სულ 13 თამაში: +5 =2 -6 (15:18)**

ბოლო 6 მატჩი

+1 =1 -4 (9-16) +0 =1 -5 (2-15)

## 5 აპრილი

05.04. სან სებასტიანი ანოეტა 22:00

### სოსიედადი

ურთიერთშეხვედრები

**სულ 36 თამაში: +8 =9 -19 (49:75)**

ბოლო 6 მატჩი

+2 =1 -3 (8-9) +3 =1 -2 (15-8)

### რეალი

სავარაუდო შემადგენლობები

სოსიედ.

ბრავო

ნ. გონსალესი ი. მარტინესი

ქ. მარტინესი ხოსე ანხელი

ბერგარა რუბენ პარდო

ველა

კანალესი გრიზმანი

აგირეჩე

ბენზემა

ბეილი ქ. რონალდო

ჩაბი ალონსო

მოდრიჩი დი მარია

ფ. კოენტრაო კარვახალი

სერხიო რამოსი პეპე

დიეგო ლოპესი

რეალი

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** გრანერო - მარსელო, არბელოა, ხუდირა, ხესე როდრიგესი

### ატლეტიკო–ვილიარეალი 18:00

**დისკვალიფიკაცია:** გაბი (ატლეტიკო), ხაუმე კოსტა (ვილიარეალი)

**ტრავმა:** მანკილიო, დიეგო კოშტა - ჟოვანი დოს სანტოსი, ხ. აკინო, დორადო, მუსაჩიო, მარიო, პ. ინიგესი

ურთიერთშეხვედრები

**სულ 25 თამაში: +9 =6 -10 (41:39)**

ბოლო 6 მატჩი

+5 =1 -0 (10-3) +1 =3 -2 (5-7)

### ბარსელონა–ბეტისი 20:00

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** ა. სონგი, ვალდესი, ჟონათან დოს სანტოსი, კუენკა, პუიოლი, პიკე - სალვა სევილია, ამაია, პერკისი, დიდაკ ვილა, ხოსე კარო, ნოსა იგიებორი, ჩული, ნაჩო, ხავი ტორესი

ურთიერთშეხვედრები

**სულ 37 თამაში: +21 =8 -8 (92:48)**

ბოლო 6 მატჩი

+5 =0 -1 (19-5) +2 =2 -2 (7-6)

### ვალეკანო–სელტა 00:00

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** ტიტო, გალეანო - კაბრალი

ურთიერთშეხვედრები

**სულ 23 თამაში: +11 =7 -5 (29:19)**

ბოლო 6 მატჩი

+4 =1 -1 (9-9) +2 =0 -4 (2-8)

## 6 აპრილი

### მალაგა–გრანადა 14:00

**დისკვალიფიკაცია:** დუდა (მალაგა)

**ტრავმა:** ტისონე - ტიაგო ილორი

ურთიერთშეხვედრები

**სულ 5 თამაში: +2 =0 -3 (10:6)**

ბოლო 6 მატჩი

+3 =1 -2 (8-5) +2 =1 -3 (6-10)

### ელჩე–ხეტაფე 19:00

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** მანუ დელ მორალი, მანტეკონი, ლომბანი, ედუ ალბაკარი, აარონ ნიგესი, ა. ხიმენესი - სამირი, გავილანი, რ. ლაგო, დიეგო კასტრო, მოია

ურთიერთშეხვედრები

**სულ 10 თამაში: +1 =7 -2 (11:15)**

ბოლო 6 მატჩი

+1 =3 -2 (3-5) +1 =2 -3 (6-8)

### სევილია–ესპანიოლი 21:00

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** ბეტუ, კრისტოფორო, ჩერიშევი (სამივე „სევილია“)

ურთიერთშეხვედრები

**სულ 37 თამაში: +20 =8 -9 (65:42)**

ბოლო 6 მატჩი

+5 =0 -1 (12-5) +2 =2 -2 (5-4)

### ვალიადოლიდი–ვალენსია 23:00

**დისკვალიფიკაცია:** მატიო (ვალენსია)

**ტრავმა:** ს. კეიტა, დიეგო ალვეში, ვიქტორ რუისი, რ. კოშტა (ყველა „ვალენსია)

ურთიერთშეხვედრები

**სულ 31 თამაში: +9 =9 -13 (34:46)**

ბოლო 6 მატჩი

+2 =2 -2 (5-7) +1 =2 -3 (6-9)

## 7 აპრილი

### ლევანტე–ბილბაო 00:00

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** მ. სისოკო - ეკისა, გურპეგი, კიკე სოლა, იბაი გომესი

ურთიერთშეხვედრები

**სულ 13 თამაში: +4 =1 -8 (14:19)**

ბოლო 6 მატჩი

+2 =1 -3 (5-7) +2 =3 -1 (8-4)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ატლეტიკო | 31 | 24 | 4 | 3 | 69-22 | 76 |
| 2. ბარსელონა | 31 | 24 | 3 | 4 | 89-25 | 75 |
| 3. რეალი | 31 | 23 | 4 | 4 | 86-32 | 73 |
| 4. ბილბაო | 31 | 16 | 8 | 7 | 53-34 | 56 |
| 5. სევილია | 31 | 14 | 8 | 9 | 55-46 | 50 |
| 6. სოსიედადი | 31 | 14 | 8 | 9 | 54-44 | 50 |
| 7. ვილიარეალი | 31 | 14 | 7 | 10 | 51-37 | 49 |
| 8. ესპანიოლი | 31 | 11 | 7 | 13 | 34-36 | 40 |
| 9. ვალენსია | 31 | 11 | 7 | 13 | 44-45 | 40 |
| 10. ლევანტე | 31 | 10 | 10 | 11 | 29-38 | 40 |
| 11. სელტა | 31 | 10 | 6 | 15 | 34-44 | 36 |
| 12. მალაგა | 31 | 9 | 8 | 14 | 31-39 | 35 |
| 13. გრანადა | 31 | 10 | 4 | 17 | 28-42 | 34 |
| 14. ვალეკანო | 31 | 10 | 3 | 18 | 34-68 | 33 |
| 15. ელჩე | 31 | 7 | 11 | 13 | 25-42 | 32 |
| 16. ხეტაფე | 31 | 8 | 7 | 16 | 29-48 | 31 |
| 17. ვალიადოლიდი | 31 | 6 | 12 | 13 | 32-50 | 30 |
| 18. ალმერია | 31 | 8 | 6 | 17 | 33-58 | 30 |
| 19. ოსასუნა | 31 | 8 | 6 | 17 | 26-52 | 30 |
| 20. ბეტისი | 31 | 5 | 7 | 19 | 27-61 | 22 |

**ბომბარდირები:** 28 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 25 - დიეგო კოშტა (ატლეტიკო); 23 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 17 - ქარიმ ბენზემა (რეალი), ალექსის სანჩესი (ბარსელონა); 15 - ანტუან გრიზმანი (სოსიედადი); 14 - კარლოს ბაკა (სევილია), პედრო (ბარსელონა)

**პრიმერა დივიზიონის 32-ე ტური დღეს, აუტსაიდერების ჯახით დაიწყება და ორშაბათს, ტრადიციულად, ბილბაოს „ატლეტიკის“ თამაშით დასრულდება. ჩემპიონთა ლიგის სამივე მონაწილე შაბათს ითამაშებს - „ბარსელონა“ „ბეტისს“ შეხვდება, „ატლეტიკო“ „ვილიარეალს“, მადრიდის „რეალი“ კი სან სებასტიანში ჩავა...**

## გადამწყვეტი თამაში ანოეტაზე

„რეალ სოსიედადი“ ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძვის და მეოთხე ადგილზე მყოფ ბილბაოს „ატლეტიკს“ 6 ქულით ჩამორჩება. მადრიდის „რეალთან“ სათამაშოდ ბასკებს ზედმეტი მოტივაცია სულაც არ სჭირდებათ, მაგრამ ის ფაქტი, რომ კლუბმა ქულები უნდა დააგროვოს, შეხვედრას კიდევ უფრო დიდ ინტრიგას სძენს. **კარლო ანჩელოტის** გუნდს დარჩენილი შვიდი ტურიდან, ყველაზე რთული მატჩი სწორედ ხვალ, „ანოეტაზე“ ელის. გამარჯვების შემთხვევაში, „სამეფო კლუბი“ ძალიან კარგ პოზიციაში აღმოჩნდება, რადგან დარჩენილ ექვს მატჩში მადრიდელებს ექვსი გამარჯვების მოპოვება არ უნდა გაუჭირდეთ. მოკლედ, სან სებასტიანში ორივე გუნდისთვის, პრაქტიკულად, გადამწყვეტი თამაშია.

„ლოს მერენგესის“ გულშემატკივრებისთვის სამწუხაროდ, ჯერ კიდევ უცნობია, ითამაშებს თუ არა **კრიშტიანო რონალდო**. ჩემპიონატის და ჩემპიონთა ლიგის საუკეთესო ბომბარდირმა „ბორუსიასთან“ ტრავმა მიიღო, რომლის გამოც შესაძლოა „ანოეტაზე“ ვერ ვიხილოთ. თუ პორტუგალიელი მზად არ იქნება, მას **ისკო** შეცვლის, რომელიც ნახევარდაცვაში დადგება, ფორვარდის პოზიციაზე კი **ანხელ დი მარია** ითამაშებს.

აღსანიშნავია, რომ „ბარსელონასგან“ განსხვავებით, რომელსაც ამ სტადიონზე 2007 წლის შემდეგ არ მოუგია და ბოლო ოთხიდან სამი მატჩი წაგებული აქვს, „რეალს“ „სოსიედადთან“ თამაში არ უჭირს. ბოლოს, ბასკებმა სახელოვანი მეტოქე 2004 წლის მაისში, ისიც „სანტიაგო ბერნაბეუზე“ დაამარცხეს, შინ კი „რეალს“ „სოსიედადმა“ უკანასკნელად იმავე 2004 წელს, იანვარში **ვალერი კარპინის** ერთადერთი გოლის წყალობით მოუგო. მას შემდეგ, „ანოეტაზე“ ამ გუნდებს შორის ექვსი მატჩი გაიმართა, რომელთაგანაც ორი ფრედ დასრულდა, ოთხჯერ კი სამი ქულით მადრიდში გაემგზავრა.

## ბარსა და ატლეტიკო

ჩემპიონთა ლიგის საგზურის მაძიებელს ეთამაშება „ატლეტიკოც“, თუმცა თანაქალაქელისგან განსხვავებით, „როხიბლანკო“ შინ ითამაშებს, თანაც მას მეტოქედ ის „ვილიარეალი“ ჰყავს, რომელმაც ბოლო დროს აშკარად მოუკლო და თან, „ყვითელ წყალქვეშა ნავს“ ტრავმების გამო საკმაოდ ბევრი ფეხბურთელი აკლია.

**დიეგო სიმეონეს** გუნდს ჩემპიონთა ლიგის საპასუხო მეოთხედფინალური მატჩი კი ელის, მაგრამ ნაკლებად სავარაუდოა, რომ არგენტინელმა სპეციალისტმა ლა ლიგის ლიდერობა რისკის ქვეშ დააყენოს და როტაციას მიმართოს. მასპინძლებს არ ეყოლებათ **დიეგო კოშტა**, რომელმაც „ბარსასთან“ შეხვედრაში ტრავმა მიიღო, რომლის გამოც 7-დან 10 დღემდე ვერ ითამაშებს. როგორც ხედავთ, შაბათს მისი ასპარეზობა გამორიცხულია.

გაცილებით იოლი მატჩი ელის „ბარსელონას“, რომელიც ცალი ფეხით სეგუნდა დივიზიონში მყოფ „ბეტისს“ უმასპინძლებს. **ხერარდო მარტინოს ჟერარდ პიკე** არ ეყოლება, ვინც გუნდს ერთი თვე დააკლდება, „ბეტისს“ კი იმდენი ფეხბურთელი აკლია, რომ მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

„ბარსელონას“ და „ატლეტიკოს“ გულშემატკივრებს იმედი აქვთ, რომ მათი საყვარელი გუნდები მორიგ სამ ქულას მოიპოვებენ, მოგვიანებით კი „სოსიედადი“ საჩუქარს გაუკეთებს და „რეალს“ მინიმუმ ორ ქულას მაინც დააკარგვინებს. ვნახოთ, წინ მართლაც საინტერესო ტური გველის.

**ტატო ბაციკაძე**

## არგენტინა. ტორნეო ფინალი. XI ტური

### კილმესი–ბელგრანო 1:0

**გოლი:** 1:0 ტურუსი (31-საკ. კარში)

**გაძევება:** ლოლო (90. ბელგრანო)

### ოლიმპო–ველესი 1:2

**გოლები:** 0:1 დესაბატო (23), 0:2 ჯისი (53-საკ. კარში), 1:2 მირალიესი (78)

**გაძევება:** ფ. კარდოსო (61. ველეს სარსფილდი)

### რასინგი–ესტუდიანტესი 3:3

**გოლები:** 1:0 საველიჩი (2), 1:1 კარილიო (16), 2:1 დე პაული (61), 2:2 ხ. ოლივერა (79), 2:3 პ. როდრიგესი (85), 3:3 კამპი (90)

### გოდოი კრუსი–ლანუსი 1:0

**გოლი:** 1:0 ობოლო (17-პენ)

### როსარიო–ბოკა 2:1

**გოლები:** 0:1 ჟიგლიოტი (14), 1:1 ნილი (72), 2:1 დონატი (76)

### კოლონი–ოლ ბოისი 1:0

**გოლი:** 1:0 ლანდა (82)

**გაძევება:** კარეაგა (54. ოლ ბოისი), ლუკე (89. კოლონი)

### რივერი–ნიუელსი 1:0

**გოლი:** 1:0 კარბონერო (8)

### არ. ხუნიორსი–ატლ. რაფაელა 0:0

ხიმნასია-ტიგრე გვ. დასრულდა

სან ლორენ-არსენალი გვ. დასრ

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კოლონი | 11 | 6 | 3 | 2 | 10-6 | 21 |
| 2. ველესი | 11 | 6 | 2 | 3 | 22-15 | 20 |
| 3. რივერი | 11 | 6 | 2 | 3 | 13-10 | 20 |
| 4. გოდოი კრუსი | 11 | 5 | 4 | 2 | 13-8 | 19 |
| 5. ესტუდიანტესი | 11 | 4 | 6 | 1 | 10-7 | 18 |
| 6. ლანუსი | 11 | 5 | 1 | 5 | 12-15 | 16 |
| 7. სან ლორენსო | 10 | 4 | 3 | 3 | 10-9 | 15 |
| 8. როსარიო | 11 | 4 | 3 | 4 | 13-13 | 15 |
| 9. ოლიმპო | 11 | 4 | 3 | 4 | 9-9 | 15 |
| 10. ნიუელსი | 11 | 3 | 5 | 3 | 12-9 | 14 |
| 11. ატლ. რაფაელა | 11 | 3 | 5 | 3 | 14-13 | 14 |
| 12. ოლ ბოისი | 11 | 3 | 4 | 4 | 8-12 | 13 |
| 13. ბოკა | 11 | 3 | 3 | 5 | 10-11 | 12 |
| 14. ხიმნასია | 10 | 3 | 3 | 4 | 12-14 | 12 |
| 15. არ. ხუნიორსი | 11 | 2 | 6 | 3 | 5-7 | 12 |
| 16. ბელგრანო | 11 | 2 | 6 | 3 | 13-16 | 12 |
| 17. კილმესი | 11 | 3 | 2 | 6 | 6-10 | 11 |
| 18. ტიგრე | 10 | 1 | 7 | 2 | 4-5 | 10 |
| 19. არსენალი | 10 | 3 | 1 | 6 | 9-13 | 10 |
| 20. რასინგი | 11 | 2 | 3 | 6 | 13-16 | 9 |

**ბომბარდირები:** 7 - მ. სარატე (ველეს სარსფილდი); 5 - კარილიო (ესტუდიანტესი); 4 - ბლანდი (სან ლორენსო), კასტელანი (გოდოი კრუსი), კავენაგი (რივერ პლეიტი), გრასიანი (კოლონი), ობოლო (გოდოი კრუსი), პისკულიჩი (არგენტინოს ხუნიორსი), დ. ვერა (ატლეტიკო რაფაელა)

## ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ეტაპი. V ტური

### II ჯგუფი

#### ბოტაფოგო–უნ. ესპანიოლა 0:1

**გოლი:** 0:1 გ. კანალესი (72-პენ)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. უნ. ესპანიოლა | 5 | 2 | 3 | 0 | 6-4 | 9 |
| 2. ბოტაფოგო | 5 | 2 | 1 | 2 | 5-4 | 7 |
| 3. ინდ. დელ ვალე | 5 | 1 | 2 | 2 | 5-6 | 5 |
| 4. სან ლორენსო | 5 | 1 | 2 | 2 | 3-5 | 5 |

### V ჯგუფი

#### რეალ გარსილასო–დეფენსორი 0:2

**გოლები:** 0:1 ამადო (50), 0:2 დე არასკაეტა (54)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დეფენსორი | 5 | 3 | 1 | 1 | 10-4 | 10 |
| 2. უნ. დე ჩილე | 4 | 3 | 0 | 1 | 5-6 | 9 |
| 3. კრუზეირო | 4 | 1 | 1 | 2 | 8-7 | 4 |
| 4. რ. გარსილასო | 5 | 1 | 0 | 4 | 4-10 | 3 |

### VI ჯგუფი

#### ატლ. ნასიონალი–გრემიო 0:2

**გოლები:** 0:1 დუდუ (53), 0:2 ბარკოსი (69)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გრემიო | 5 | 3 | 2 | 0 | 7-1 | 11 |
| 2. ნიუელსი | 5 | 2 | 2 | 1 | 9-4 | 8 |
| 3. ატლ. ნასიონალი | 5 | 2 | 1 | 2 | 4-7 | 7 |
| 4. ნასიონალი | 5 | 0 | 1 | 4 | 4-12 | 1 |

### VII ჯგუფი

#### ემელეკი–ფლამენგო 1:2

**გოლები:** 0:1 ალექსანდრო (9-პენ), 1:1 სტრაკვალურსი (66-პენ), 1:2 პაულინიო (90)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბოლივარი | 5 | 2 | 2 | 1 | 6-5 | 8 |
| 2. ლეონი | 5 | 2 | 1 | 2 | 7-5 | 7 |
| 3. ფლამენგო | 5 | 2 | 1 | 2 | 8-7 | 7 |
| 4. ემელეკი | 5 | 2 | 0 | 3 | 6-10 | 6 |

**ბომბარდირები:** 4 - ხულიო დოს სანტოსი (სერო პორტენიო), ფალკონი (სამორა), ფელიპე გედოსი (დეფენსორი)

**ტატო ბაციკაძე**

● გერმანია. ბუნდესლიგა. XXIX ტურის წინ

# ჰამბურგის ბოლო შანსი?

## ვოლფსბურგს ჩემპიონთა ლიგა უნდა

### 4 აპრილი

**ჰამბურგი–ლევერკუზენი 22:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** იანსენი, ლამი, რაიკოვიჩი, ილიჩევიჩი, ბაისტერი, ლასოგა - თოფრაქი, ჰეგელერი, კრუსი, რაინარტცი, სემი

ბოლო 6 მატჩი

+1=2-3 | +1=2-3

ურთიერთშეხვედრები

**სულ 69 თამაში: +25=19-25, (88:101)**

### 5 აპრილი

**შტუტგარტი–ფრაიბურგი 17:30**

**დისკვალიფიკაცია:** ნიდერმაიერი - შუსტერი

**ტრავმა:** კირშბაუმი, როხასი, სარარერი - მუიჯა, პილარი, ჰანკე

ბოლო 6 მატჩი

+1=2-3 | +3=2-1

ურთიერთშეხვედრები

**სულ 29 თამაში: +17=2-10, (45:36)**

**ვერდერი–შალკე 17:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** ფ. კროოსი, იოზ. ილდირიმი - აოგო, ფელიპე სანტანა, ფუხსი, ჰიოვედესი, კირხჰოფი, უჩიდა, კლემენსი, ჰიოგერი, ფარფანი

ბოლო 6 მატჩი

+3=1-2 | +4=1-1

ურთიერთშეხვედრები

**სულ 89 თამაში: +38=18-33, (128:106)**

**ნიურნბერგი–გლადბახი 17:30**

**დისკვალიფიკაცია:** პოგატეცი, შტარკი (ორივე ნიურნბერგი)

**ტრავმა:** ჩენდლერი, მარკოს ანტონიო, ნილსონი, კამპანა, გებჰარტი, ჰასებე, გინჩეკი - შტრანცლი, ვენდტი

ბოლო 6 მატჩი

+1=0-5 | +3=1-2

ურთიერთშეხვედრები

**სულ 57 თამაში: +23=9-25, (72:84)**

**აუგსბურგი–ბაიერნი 17:30**

**დისკვალიფიკაცია:** ჰანი (აუგსბურგი)

**ტრავმა:** კლავანი, მორავეკი, ტო. ვერნერი, ჟი - ბადშტუბერი, კონტენტო, ტიაგო ალკანტარა

ბოლო 6 მატჩი

+1=2-3 | +5=1-0

ურთიერთშეხვედრები

**სულ 5 თამაში: +0=5-5, (2:12)**

05.04. დორტმუნდი სიგნალ იდუნა პარკი **20:30**

**დორტმუნდი**

ბოლო 6 მატჩი

+4=1-1 | +2=2-2

ურთიერთშეხვედრები

**სულ 33 თამაში: +17=8-8, (64-44)**

**ვოლფსბურგი**

სავარაუდო შემადგენლობები




დისკვალიფიკაცია: არავინ

ტრავმა: შმელცერი, სუბოტიჩი, ს. ბენდერი, ბლაშჩიკოვსკი, გოუნდოგანი - ბენალიო, კლოზე, მედოიევიჩი, ვიეირინია, დოსტი



ჰამბურგელთა ერთ-ერთი უმთავრესი იმედი მეკარე რენე ადლერია

**აინტრახტი–მაინცი 17:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** ანდერსონი, ოჩიპკა, კიტელი, როდე, შვეგლერი - ბაუმგარტლინგერი, დ. შაჰინი

ბოლო 6 მატჩი

+3=1-2 | +3=1-2

ურთიერთშეხვედრები

**სულ 11 თამაში: +2=6-3, (11:14)**

### 6 აპრილი

**ბრაუნშვაიგი–ჰანოვერი 17:30**

**დისკვალიფიკაცია:** შმიდებახი (ჰანოვერი)

**ტრავმა:** პეტკოვიჩი, ბელარაბი, ერვიგდრიუპელი, ხელიფი, პფიცტნერი, კორტე, იორლი - მილერი, ფელიპე, მ. დიუფი, ა. ზობიეხი

ბოლო 6 მატჩი

+1=4-1 | +1=2-3

ურთიერთშეხვედრები

**სულ 21 თამაში: +5=8-8, (27:34)**

**ჰერტა–ჰოფენჰაიმი 19:30**

**დისკვალიფიკაცია:** ჩიგერჩი (ჰერტა)

**ტრავმა:** ლუსტენბერგერი - აბრაამი, ვუკჩევიჩი, შიპლოკი

ბოლო 6 მატჩი

+0=2-4 | +3=1-2

ურთიერთშეხვედრები

**სულ 7 თამაში: +4=1-2, (10:11)**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 28 | 25 | 3 | 0 | 82-16 | 78 |
| 2. დორტმუნდი | 28 | 17 | 4 | 7 | 62-31 | 55 |
| 3. შალკე | 28 | 16 | 6 | 6 | 53-37 | 54 |
| 4. ლევერკუზენი | 28 | 15 | 3 | 10 | 47-34 | 48 |
| 5. ვოლფსბურგი | 28 | 14 | 5 | 9 | 48-42 | 47 |
| 6. გლადბახი | 28 | 13 | 6 | 9 | 49-34 | 45 |
| 7. მაინცი | 28 | 13 | 5 | 10 | 41-43 | 44 |
| 8. აუგსბურგი | 28 | 11 | 6 | 11 | 40-43 | 39 |
| 9. ჰოფენჰაიმი | 28 | 9 | 9 | 10 | 63-62 | 36 |
| 10. ჰერტა | 28 | 10 | 6 | 12 | 36-39 | 36 |
| 11. აინტრახტი | 28 | 8 | 8 | 12 | 35-48 | 32 |
| 12. ჰანოვერი | 27 | 8 | 5 | 14 | 35-49 | 29 |
| 13. ფრაიბურგი | 28 | 7 | 8 | 13 | 33-50 | 29 |
| 14. ვერდერი | 27 | 7 | 8 | 12 | 31-53 | 29 |
| 15. ნიურნბერგი | 28 | 5 | 11 | 12 | 34-52 | 26 |
| 16. შტუტგარტი | 28 | 6 | 6 | 16 | 42-57 | 24 |
| 17. ჰამბურგი | 28 | 6 | 6 | 16 | 43-59 | 24 |
| 18. ბრაუნშვაიგი | 28 | 5 | 7 | 16 | 25-50 | 22 |

**ბომბარდირები:** 17 - მარიო მანჯუკიჩი (ბაიერნი); 16 - იოზიპ დრმიჩი (ნიურნბერგი), რობერტ ლევანდოვსკი (დორტმუნდი), ადრიან რამოსი (ჰერტა); 14 - შტეფან კისლინგი (ლევერკუზენი), რაფაელი (გლადბახი), რობერტო ფირმინო (ჰოფენჰაიმი).

**გერმანიის ჩემპიონატში გადარჩენისთვის და ევროტურნირებისთვის ბრძოლა გრძელდება. 29-ე ტურის პარასკევის მატჩი ერთ-ერთი ყველაზე დამაინტრიგებელია: მძიმე მდგომარეობაში მყოფი „ჰამბურგი" ასევე ცუდ ფორმაში მყოფ „ლევერკუზენს" მასპინძლობს. შაბათს ორი მძაფრი დერბი გველის: „შტუტგარტი"-"ფრაიბურგი" და „აინტრახტი"-"მაინცი". დერბია კვირასაც: „ბრაუნშვაიგი" „ჰანოვერს" მასპინძლობს. მანჩესტერმოვლილ „ბაიერნს" ამჯერად „აუგსბურგთან" ექნება საქმე, ტურის** ცენტრალურ მატჩად კი „დორტმუნდისა" და „ვოლფსბურგის" დუელი უნდა შევრაცხოთ, რომელიც შაბათს საღამოს გაიმართება.

### ჰამბურგის და ჰიიპიას ბოლო შანსი?

პარასკევის მატჩი ტურის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო დაპირისპირებაა. „ჰამბურგი" გადარჩენისთვის იბრძვის და ბუნდესლიგის უკანასკნელი „დინოსთვის" თითოეული ქულა ძალიან ძვირად ფასობს, მეტოქე „ლევერკუზენს" მეოთხე ადგილიდან ჩამოქვეითებისა და, შესაბამისად, ჩემპიონთა ლიგის საგზურის დაკარგვის საფრთხე ემუქრება.

*„მხოლოდ პოზიტიურად უნდა ვიფიქროთ,"* - აცხადებს ჰამბურგელთა კაპიტანი **რაფაელ ვან დერ ვაარტი**. *„ჩვენი შესაძლებლობების უნდა გვჯეროდეს,"* - ეს ჩრდილოგერმანული კლუბის მცველის, **ჰაიკო ვესტერმანის** სიტყვებია. მათი მწვრთნელი **მირკო სლომკა** კი ამბობს, რომ „ლევერკუზენთან" გამარჯვება უკიდურესად აუცილებელია.

ჰამბურგელებს იმის იმედიც აქვთ, რომ ლევერკუზენი საშინელ ფორმაშია და უკანასკნელ 8 ტურში მხოლოდ 5 ქულას მოუყარა თავი. თავის მხრივ, ეს იმას ნიშნავს, რომ „ბაიერის" თავკაცი **სამი ჰიიპია** უმძიმესი წნეხის ქვეშაა. შესაბამისად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს მატჩი ჰიიპიასთვისაც გადამწყვეტია: თუ „ლევერკუზენი" საუკეთესო ოთხეულიდან გამოვა, ფინელს გათავისუფლების საფრთხე დაემუქრება.

### შტუტგარტის ერთ-ერთი ბოლო შანსი

„ჰამბურგის" არ იყოს, „შტუტგარტიც" მეორე ბუნდესლიგისკენ მიექანება. ფაქტია, შვაბებისთვის მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითება კატასტროფა იქნებოდა. გადარჩენისთვის ბრძოლაში „შტუტგარტისთვის" უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ ტურში მოგებას, რადგან უშუალო კონკურენტს, „ფრაიბურგს" მასპინძლობს. შვაბთა თავკაც **ჰუუბ სტევენსს** უკანა ხაზში იმპროვიზირება მოუწევს, რადგან დაცვის ბურჯი **გეორგ ნიდერმაიერი** დისკვალიფიცირებულია. „ფრაიბურგი" შედარებით უკეთეს მდგომარეობაშია: ბრაისგაუელებმა ბოლო 4 მატჩში 10 ქულას მოუყარეს თავი და გასავარდნ ზონას ხუთი ქულის დისტანციაზე მოშორდნენ. თუ „ფრაი" შტუტგარტშიც გაძლებს და მინიმუმ არ წააგებს, **კრისტიან შტრაიხი** და მისი შეგირდები შვებით ამოისუნთქავენ.

ბრემენის „ვერდერი" გასავარდნი ზონისგან უკვე ძალიან შორსაა. „მუსიკოსები" მე-16 ადგილზე მყოფ „შტუტგარტს" 8 ქულით უსწრებენ, რაც 29-ე ტურის წინ საკმაოდ სოლიდური უპირატესობაა. თუმცა „ვერდერს" ელიტაში ადგილი ჯერ არ დაუზღვევია და ამ ტურში „შალკესთან" მედგრად უნდა იბრძოლოს. თავის მხრივ, „შალკე" ვიცე-ჩემპიონობისთვის იბრძვის და გელზენკირხენულ კლუბსაც მოგება სჭირდება.

*„ბაიერნმა" ბუნდესლიგა ისეთ დღეში ჩააგდო, რომ მეორე ადგილი ჩემპიონობასავითაა. თანაც, ჩვენი მიზანი ყოველთვის „დორტმუნდზე" წინ ყოფნაა და ამიტომ, მეორე ადგილისთვის ბრძოლა განსაკუთრებით დამაინტრიგებელია,"* - აცხადებს „შალკეს" შემტევი ნახევარმცველი **მაქს მაიერი.**

„ჰამბურგის" და „შტუტგარტის" შემდეგ ყველაზე მეტად „ნიურნბერგს" უჭირს. ფრანკები მე-15 ადგილზე არიან და ხსენებულ კონკურენტებს მხოლოდ 2 ქულით უსწრებენ. შესაბამისად, არც „ნიურნბერგს" აქვს წაფორხილების უფლება. **გერტიან ვერბეეკის** გუნდი ამ ტურში „გლადბახს" მასპინძლობს - გუნდს, რომელსაც ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვების შანსი ისევ გაუჩნდა.

### აუგსბურგი ბაიერნთან გოლეადორების გარეშე

„აუგსბურგი" დიდხანს კარგად მიდიოდა და ევროპალიგის საგზურის მოპოვების საკმაოდ კარგი შანსი ჰქონდა, მაგრამ ბოლო ტურებში აურია (მხოლოდ 1 ქულა ბოლო 4 მატჩში) და ახლა მეექვსეადგილოსან „გლადბახს" უკვე 6 ქულით ჩამორჩება, რაც იმას ნიშნავს, რომ აუგსბურგელები ველარც საუკეთესო ექვსეულს და ევროპას შესწვდებიან და, ცხადია, არც ვარდებიან. „ბაიერნთან" მატჩში „აუგსბურგს" მთავარი გოლეადორები, **ჰანი** (დისკვალიფიცირებულია) და **ვერნერი** (ტრავმა) დააკლდება. ამ ორ ფეხბურთელს ერთად 19 გოლი აქვს გატანილი და შეგახსენებთ, რომ „აუგსბურგის" ანგარიშზე სულ 40 გოლია. მიუნხენელებმა ჩემპიონთა ლიგაში მძიმე ბრძოლა (1:1 მანჩესტერში) გადაიტანეს და იმასაც შეგახსენებთ, რომ „ბაიერნმა" ბუნდესლიგის წინა ტურშიც ვერ მოიგო (3:3 „ჰოფენჰაიმთან").

### ვოლფსბურგს მეოთხე ადგილი უნდა

ტურის ცენტრალურ მატჩად „ვოლფსბურგისა" და „დორტმუნდის" დუელი შევრაცხეთ. მიზეზი: ვოლფსბურგელთა მთავარმა მწვრთნელმა **დიტერ ჰეკინგმა** უკვე ოფიციალურად გამოაცხადა, რომ მისი გუნდის მიზანი საუკეთესო ოთხეულში შესვლა და ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებაა. ეს იმას ნიშნავს, რომ „მგლებმა" დორტმუნდში სამი ქულისთვის უნდა იბრძოლონ. აქვე ისიც ვთქვათ, რომ „ბორუსია" გადაღლილია, რადგან ოთხშაბათს მადრიდში ითამაშა (0:3). თუმცა, იმ შეხვედრისგან განსხვავებით, **რობერტ ლევანდოვსკი** კვლავ **იურგენ კლოპის** განკარგულებაშია.

**გოტფრიდ ლენცი**

● ამბები

## ბაიერნის კონტრაქცია: ინგლისელი ჟურნალისტები აკრედიტაციას ვერ მიიღებენ

„ბაიერნისა" და „მანჩესტერ იუნაიტედის" საპასუხო მატჩს ორი პრესტიჟული ბრიტანული გამოცემის „სანისა" და „დეილი მირორის" ჟურნალისტები ვერ დაესწრებიან. ყოველ შემთხვევაში, აკრედიტაციების საშუალებით, რადგან მიუნხენური გუნდი მათ აკრედიტაციებს არ გამოუყოფს. ამის მიზეზი ისაა, რომ ეს გამოცემები **ბასტიან შვაინშტაიგერის** უხეშობას და **უეინ რუნისთან** შეკამათებას შეურაცხმყოფელი სათაურებით გამოეხმაურნენ. პირველს პირველ გვერდზე „You Schwein" ეწერა, ხოლო მეორეს „You Dirty Schwein". შეგახსენებთ, რომ სიტყვა „Schwein" გერმანულად „ღორს" ნიშნავს. ასე რომ, გამოვიდა შვაინშტაიგერს „ღორი" და „ბინძური ღორი" უწოდეს.

*„საფეხბურთო კლუბი „ბაიერნი" ასეთ დამოკიდებულებას და საქციელს ვერ მიიღებს. საფეხბურთო ოჯახში ერთმანეთს პატივს უნდა ვცემდეთ, უეფაც ამისკენ მოგვიწოდებს. ჩვენ შეურაცხმყოფელი ბანერებისთვის მივიღეთ სასჯელი, რომლიც 700-კაციანი ტრიბუნის დისკვალიფიკაციასა და 10 ათასი ევროთი დაჯარიმებას მოიცავს და ეს სწორი იყო. ახლა კი ასეთი გადაწყვეტილება უნდა მიგვეღო, ყველა მოთამაშე ატარებს მაისურს რომელზედაც სიტყვა RESPECT წერია და პატივისცემა მართლაც აუცილებელია"* - ნათქვამია კლუბის განცხადებაში.




ასე შეურაცხყვეს ინგლისურ პრესაში ბასტიან შვაინშტაიგერი

## ჰალილოვიჩი ბარსაში მაინც გადავა

17 წლის ხორვატი ტალანტის, **ალენ ჰალილოვიჩის** აგენტის **ჟან ლუი დიუპონის** თქმით, ის სასჯელი, რომელიც „ბარსელონამ" ფიფასგან მიიღო მისი კლიენტის ტრანსფერს ხელს არ შეუშლის და ზაგრების „დინამოს" ვარსკვლავი „კამპ ნოუზე" მაინც გადაბარგდება, მიუხედავად „ბარსელონას" 14-თვიანი დისკვალიფიკაციისა.

*„მე ვერ წარმომიდგენია, რომ ამ სანქციებმა ჩემი კლიენტის ტრანსფერი ჩაშალოს, რადგან ყველაფერი უკვე გაფორმებული და გადაწყვეტილი იყო ფიფას განაჩენამდე. კარგია, რომ მსგავს პრობლემაზე მუშაობა მიდის და ხარვეზები აღმოჩენილია, მაგრამ ახალგაზრდა მოთამაშეების განვითარებისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისთვის ხელის შეშლა, არ მგონია შესაბამისი და სწორი წამალი იყოს"* - აღნიშნა დიუპონმა.

**გიორგი პაპაბაძე**



ალენ ჰალილოვიჩი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრემიერლიგას წარმოგიდგენთ europe-bet.com

ინგლისი. პრემიერლიგა. XXXIII ტურის წინ

# პრემიერლიგა და გამონაკლისი

## 5 აპრილი

**სიტი-საუთჰემპტონი 15:45**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ბოიატა, ნასტასიჩი, რიჩარდსი - კლაინი, დევისი, იოშიდა, ვანიამა

ბოლო 6 მატჩი
+4=2-0 +3=0-3

ურთიერთშეხვედრები
**სულ 56 თამაში: +18=17-21 (71-76)**

**ასტონ ვილა-ფულჰემი 18:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ელ აჰმადი, ჰერდი, ნზოგბია, ოკორე, კოზაკი - კარაგუნისი, ბერნი, მიტროღლუ, დაფი, ბრიგსი

ბოლო 6 მატჩი
+2=1-3 +1=1-4

ურთიერთშეხვედრები
**სულ 45 თამაში: +16=16-13 (67-59)**

**კარდიფი-პალასი 18:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ჰადსონი, ნუნი, ფაბიო - გეილი, შამახი

ბოლო 6 მატჩი
+1=1-4 +1=2-3

ურთიერთშეხვედრები
**სულ 21 თამაში: +9=5-7 (21-19)**

**ჰალი-სუონსი 18:00**

**დისკვალიფიკაცია:** მაკგრეგორი -
**ტრავმა:** ბრეიდი, მაკშეინი, ფიგეროა - ბარტლი

ბოლო 6 მატჩი
+2=0-4 +1=2-3

ურთიერთშეხვედრები
**სულ 24 თამაში: +6=8-10 (24-30)**

**ნიუკასლი-იუნაიტედი 18:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ს. ამეობი, რემი, ობერტანი, რ. ტეილორი, დებუში, კრული - ვან პერსი, ევანსი, სმოლინგი

ბოლო 6 მატჩი
+3=0-3 +4=0-2

ურთიერთშეხვედრები
**სულ 137 თამაში: +34=36-67 (205-263)**

**ნორვიჩი-ვესტ ბრომვიჩი 18:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** იობო, ფერი, ბენეტი - ანიჩებე, ბრანტი, იაკობი, ჯონსი

ბოლო 6 მატჩი
+2=1-3 +1=3-2

ურთიერთშეხვედრები
**სულ 46 თამაში: +16=12-18 (52-56)**

**ჩელსი-სტოკი 20:30**

**დისკვალიფიკაცია:** რამირესი -
**ტრავმა:** ეტოო, ვან გინკელი, ე. კოული - ჰუთი, ასაიდი

ბოლო 6 მატჩი
+4=0-2 +4=1-1

ურთიერთშეხვედრები
**სულ 67 თამაში: +32=15-20 (102-91)**

## 6 აპრილი

**ვესტ ჰემი-ლივერპული 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** კოლინსი, ბორიელო, ობრაიენი - ხ. ენრიკე

ბოლო 6 მატჩი
+3=0-3 +6=0-0

ურთიერთშეხვედრები
**სულ 104 თამაში: +20=27-57 (96-178)**

## 7 აპრილი

**ტოტენჰემი-სანდერლენდი 23:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** უოლკერი, კაპუ, ვერტონგენი, კირიკეში, პაულინიო, ლამელა - ს. ფლეტჩერი, ვესტვუდი

ბოლო 6 მატჩი
+2=0-4 +0=1-5

ურთიერთშეხვედრები
**სულ 100 თამაში: +38=27-35 (132-133)**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლივერპული | 32 | 22 | 5 | 5 | 88-39 | 71 |
| 2. ჩელსი | 32 | 21 | 6 | 5 | 62-24 | 69 |
| 3. სიტი | 30 | 21 | 4 | 5 | 80-28 | 67 |
| 4. არსენალი | 32 | 19 | 7 | 6 | 56-37 | 64 |
| 5. ევერტონი | 31 | 17 | 9 | 5 | 49-31 | 60 |
| 6. ტოტენჰემი | 32 | 17 | 5 | 10 | 40-44 | 56 |
| 7. იუნაიტედი | 32 | 16 | 6 | 10 | 52-38 | 54 |
| 8. საუთჰემპტონი | 32 | 13 | 9 | 10 | 49-40 | 48 |
| 9. ნიუკასლი | 32 | 14 | 4 | 14 | 38-47 | 46 |
| 10. სტოკი | 32 | 10 | 10 | 12 | 37-45 | 40 |
| 11. ვესტ ჰემი | 32 | 10 | 7 | 15 | 36-42 | 37 |
| 12. ასტონ ვილა | 31 | 9 | 7 | 15 | 34-46 | 34 |
| 13. სუონსი | 32 | 8 | 9 | 15 | 45-48 | 33 |
| 14. ჰალი | 32 | 9 | 6 | 17 | 33-40 | 33 |
| 15. ნორვიჩი | 32 | 8 | 8 | 16 | 26-51 | 32 |
| 16. პალასი | 31 | 9 | 4 | 18 | 20-39 | 31 |
| 17. ვესტ ბრომვიჩი | 31 | 5 | 14 | 12 | 36-48 | 29 |
| 18. კარდიფი | 32 | 6 | 8 | 18 | 29-61 | 26 |
| 19. სანდერლენდი | 30 | 6 | 7 | 17 | 28-48 | 25 |
| 20. ფულჰემი | 32 | 7 | 3 | 22 | 31-73 | 24 |

**ბომბარდირები:** 29 - ლუის სუარესი (ლივერპული), 20 - დენიელ სტარიჯი (ლივერპული), 17 - იაია ტურე (მანჩესტერ სიტი)

06.04. ლივერპული
გუდისონ პარკი
16:30

### ევერტონი

ბოლო 6 მატჩი
+5=0-1 +2=2-2

ურთიერთშეხვედრები
67 თამაში: +32=15-20 (102-91)

### არსენალი

სავარაუდო შემადგენლობები




**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ტრაორე, პიენაარი, კონე, გიბსონი, ბერკლი, ოვიედო - კოშელნი, მაიაჩი, უილშირი, დიაბი, რემსი, იოზილი, უოლკოტი, მონრეალი

კვირას „გუდისონ პარკზე“ „ევერტონი“-“არსენალის“ შეხვედრა ბევრ შეკითხვას გასცემს პასუხს. გარკვეულწილად ტრადიციასავით არის, რომ ინგლისის პრემიერლიგას ჩემპიონთა ლიგაში მხოლოდ ყველასათვის ნაცნობი გრანდები წარმოადგენენ. გამონაკლისი მხოლოდ „ტოტენჰემი“ იყო და ისიც რამდენიმე წლის წინ. „ევერტონს“ კიდევ ერთხელ შეუძლია ტრადიციის დარღვევა. აქ რამდენიმე ფაქტორის აღნიშვნაა აუცილებელი: მერსისაიდელთა მთავარ პლუსად ის მიგვაჩნია, რომ ჩემპიონატის ფინიშს ისინი კარგ ფორმაში ხვდებიან. „არსენალი“ კი 31-ე ტურში „ჩელსისთან“ 0:6-ის შემდეგ ნოკდაუნიდან ჯერ კიდევ ვერ გამოვიდა. მეორე მხრივ, „მეთოფეებმა“ ბევრად უკეთ იციან, თუ როგორ უნდა ჩაატარონ სეზონის გადამწყვეტი ეტაპი. **არსენ ვენგერის** გუნდმა ეს შარშანაც დაამტკიცა, როცა ზედიზედ მეთოთხმეტედ მოიპოვა ევროპის ყველაზე პრესტიჟული საკლუბო გათამაშების საგზური. არ ვამტკიცებთ, რომ ისტორია წელსაც აუცილებლად განმეორდება, თუმცა ამის შანსი ნამდვილად არის. აი, სწორედ აქ უნდა თქვას თავისი სიტყვა **რობერტო მარტინესმა**. გუნდები წელს ორჯერ უკვე შეხვდნენ ერთმანეთს. პირველ წრეში „ემირეიტსზე“ სტუმარმა დრამატულ ბრძოლაში მოიპოვა ქულა, ასოციაციის თასის 1/4-ფინალში კი ისევ საკუთარ მოედანზე ჩრდილოლონდონელებმა მეტოქეს შანსი არ დაუტოვეს (4:1).

**ლევან ბიბილაშვილი**

პსჟ

# პარიზული ავანტიურა

## გმირი პასტორე, დაშავებული იბრა და უჭკუო ვერატი

„პარი სენ-ჟერმენმა“ შესანიშნავად ითამაშა და ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალისკენ დიდი ნაბიჯი გადადგა. დედაქალაქელებს შემტევი სტილი აქვთ, ხშირად რისკავენ და გარკვეულ ავანტიურაზე მიდიან, მაგრამ **ლორან ბლანი** მაინც არ იყო ბოლომდე კმაყოფილი: ზედმეტად ვფრთხილობდითო... თუმცა ლონდონში საპასუხო მატჩი ჯერ წინ არის და „ჩელსი“ ასე ადვილად არაფერს დათმობს.

*„უკეთესად თამაში ყოველთვის შეიძლება, მაგრამ ვფიქრობ, რომ დღეს ბიჭები ბოლომდე დაიხარჯნენ. ცოტა ზედმეტად ვფრთხილობდით, რადგან განსაკუთრებით ვუფრთხოდით „ჩელსის“ კონტრშეტევებს. ლონდონელებს ძალიან მძლავრი გუნდი ჰყავთ. მეტოქე დავღალეთ და ბოლოს აქეთ გავუტანეთ. ჩემი აზრით, მეორე ტაიმში მოვუმატეთ. ართმევაზეც უკეთ ვთამაშობდით და ბოლოს დაგვიფასდა. ხავიერ პასტორემ ფანტასტიკური გოლი გაიტანა, ძალიან მახარებს მისი წარმატება, რადგან ჰქონდა აღმასვლები და დაღმასვლები, ბევრი სირთულე გადალახა, მან დაიმსახურა ასეთი განსაკუთრებული გოლი. მესამე ბურთი უმნიშვნელოვანესი იყო, ჩვენ ვცდილობდით მის გატანას და მივაღწიეთ კიდეც მიზანს. ნახევარდაცვამაც მშვენივრად იმუშავა. იბრაჰიმოვიჩმა ფეხი აიტკია, ახლა შესაბამისი გამოკვლევებია საჭირო, მაგრამ ფაქტია, რაღაც პერიოდი დასვენება მოუწევს. „სტემფორდ ბრიჯზე“ რთული თამაში გველოდება. სამჯერ გავიტანეთ, მაგრამ ისიც დავინახეთ, რომ ჩვენც შეიძლება გავუშვათ. სერიოზული ბრძოლა იქნება და ამ გამოცდისთვის*


ზლატანი საპასუხო მატჩს გამოტოვებს

ჩელსი

# დასაკარგი აღარაფერია


ჟოზე მოურინიო დანებებას არ აპირებს

თუკი „პარკ დე პრენსზე“ „პარი სენ-ჟერმენი“-“ჩელსის“ შეხვედრას უყურეთ, დაგვეთანხმებით, რომ საბოლოო შედეგი ლონდონელთა უსაშველოდ ბევრმა ინდივიდუალურმა შეცდომამ განაპირობა. პირველ გოლზე მეტოქეს ბურთი **ჯონ ტერიმ** ჩააბარა, მერე **დავიდ ლუისმა** დალაშქრა საკუთარი კარი, მესამეზე კი ნახევარი „ჩელსი“, უკაცრავად არ ვიყოთ და, პირდაღებული უყურებდა, როგორ უსწორდებოდა **ხავიერ პასტორე** მეტოქეებს. უხეშად შეცდა **პეტრ ჩეხიც**. ვეტერანმა ბურთი ახლო კუთხეში გაუშვა. განმეორებითი შეხვედრის წინ ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა ის, რომ შესაძლოა, ტრავმის გამო დააკლდეს გუნდს „ლურჯ-წითელთა“ ლიდერი **ზლატან იბრაჰიმოვიჩი**. აი, როგორ აფასებს საკუთარი გუნდის თამაშს „ჩელსის“ თავკაცი:

- ჩემმა გუნდმა ყველაზე რთულ ამოცანას გაართვა თავი და იბრაჰიმოვიჩი თამაშიდან მთლიანად გამოთიშა. შვედი იძულებული ხდებოდა, ბურთის მისაღებად ღრმად დაეხია, სადაც ის უკვე აღარ წარმოადგენდა განსაკუთრებულ საფრთხეს. იმავეს თქმა შეიძლება ედინსონ კავანიზეც. რამდენჯერმე მოვახერხეთ ცენტრში ბურთის ჩაჭრა, თუმცა საქმე ნახევრადმომენტებამდეც კი ვერ მივიყვანეთ. სამივე გოლი უხეში შეცდომების შედეგად გავუშვით. მეტიც, მესამე გოლში ჩემმა ფეხბურთელებმა არანაკლები წილი დაიდეს, ვიდრე პასტორემ თავისი ინდივიდუალური ოსტატობით. ასეთი დონის თამაშებში მსგავსი უყურადღებობა კი ყოველთვის ისჯება. უცნაური იყო მხოლოდ ის, რომ სწორედ იქ შევცდით, სადაც სეზონის განმავლობაში ყველაზე დამაჯერებლად ვგრძნობდით თავს.

შიურლე შეტევაში იმიტომ ვათამაშე, რომ ჩემი თავდამსხმელების ასპარეზობით უკმაყოფილო ვარ. როცა გერმანელი მოედანზეა, იმაში მაინც შემიძლია დარწმუნებული ვიყო, რომ ბურთის დამჭერი ერთით მეტი ფეხბურთელი მყავს. ის არ არის სუფთა თავდამსხმელი, თუმცა ფეხბურთი ხომ მხოლოდ შემტევების მიერ გატანილი გოლებით არ საზრდოობს. 3:1-ის მიუხედავად შანსი ჯერ კიდევ არსებობს. თანაც დასაკარგი უკვე აღარაფერი გვაქვს. დარწმუნებული ვარ, არც პარიზელები ფიქრობენ, რომ უკვე 1/2-ფინალში არიან.

**ლევან ბიბილაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

მზად უნდა ვიყოთ“ - განაცხადა ბლანმა.

შთამბეჭდავი მოგების პარალელურად, ცუდი ამბავი პსჟ-სთვის იბრაკადაბრას ტრავმაა. ჯერ დაზუსტებით უცნობია, რამდენი ხნით იუქმებს იგი, მაგრამ ექიმების წინასწარი ვარაუდით, რამდენიმე კვირა მოუწევს დასვენება. შესაბამისად, შვედი საპასუხო მატჩში ნამდვილად ვერ ითამაშებს. ასევე დაშავდა **მარკო ვერატი**. სხვათა შორის, ახალგაზრდა იტალიელ ნახევარმცველზე თავისი აზრი გამოთქვა ექსცენტრიულმა **ჯოი ბარტონმა**, პსჟ-სა და „ჩელსის“ მატჩით შთაგონებულმა ინგლისელმა თავის „ტვიტერზე“ დაწერა: *„ვერატი ზედმეტად ბევრჯერ ეხება ბურთს იმისთვის, რომ ტოპ-ფეხბურთელი იყოს. ამას ჯერ კიდევ მაშინ მივხვდი, როდესაც „მარსელში“ ვთამაშობდი. მას მერე პროგრესი არ ჰქონია. ვერატი ჯერ კიდევ ძალიან პატარაა ჭკუის მხრივ“.*

შეცვლაზე შესული **პასტორეს** მიერ მე-4 დამატებულ წუთზე გატანილი ბურთი მართლაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო. 24 წლის შემტევმა შესანიშნავი სოლო რეიდი შემოგვთავაზა, ტექნიკის დემონსტრირება მოახდინა **და პეტრ ჩეხს** ახლო კუთხეში გაუტანა. ამ გოლმა შესაძლოა, პსჟ ნახევარფინალში გაიყვანოს.

*„მეტოქემ გოლის გატანა მოახერხა, მაგრამ ამის მიუხედავად, მე მგონი, ჩვენთვის ძალიან კარგი შედეგი დაფიქსირდა, ორბურთიანი უპირატესობა ცუდი არ არის. მშვენიერი მატჩი ჩავატარეთ, ბოლოსკენ ცოტა დავილალეთ, მაგრამ გატანა მაინც მოვახერხეთ, რაც მნიშვნელოვანია და მიხარია, რომ თავი გამოვიჩინე. გოლი მართლაც ლამაზი გამოვიდა და შესაძლოა ჩემს კარიერაში ყველაზე მნიშვნელოვანიც, თუ ნახევარფინალში გავალთ, მაშინ ნამდვილად ასე იქნება. თუმცა მთავარი გუნდური კარგი თამაში და მისალები შედეგით გამარჯვება იყო“* - თქვა პასტორემ.

**გიორგი პაპაბაძე**

● რეალი-ბორუსია. გამოხმაურება.

# კმაყოფილი ისკო და რონალდოს რეკორდი

„რეალმა“ დორტმუნდის „ბორუსიას“ ისეთი ანგარიშით მოუგო, რომ ეჭვი ცოტას თუ ეპარება - „სამეფო კლუბი“ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გავა. დიდი ანგარიშით გამარჯვებაში თავისი წვლილი შეიტანა **ისკომ**, რომელიც ძირითად შემადგენლობაში **ანხელ დი მარიას** ტრავმის გამო გამოჩნდა. ახალგაზრდა ფეხბურთელმა მეორე გოლი გაიტანა და მთლიანობაში, კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

*„შედეგი ძალიან კარგია. მნიშვნელოვანი იყო, რომ კარი მშრალად შეგვენახა, რაც მოვახერხეთ კიდეც. ვფიქრობ, კარგად ვითამაშე. ბედნიერი ვარ იმის გამო, რომ გოლი გავიტანე და გუნდს დავეხმარე. ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ გუნდმა მოიგო. ნახევარფინალთან ახლოს ვართ, მაგრამ გადაწყვეტილი ჯერ არაფერია - წინ საპასუხო მატჩია, რომელშიც შეიძლება ყველაფერი მოხდეს. „ბორუსიას“ წინაალმდეგ თავის გამოჩენა განსაკუთრებით სასიამოვნოა, რადგან ამ გუნდმა შარშან ჯერ „მალაგა“ გააგდო, შემდეგ კი „რეალი“,* - განაცხადა მატჩის შემდეგ ისკომ.

გუნდის გარჯით და საბოლოო შედეგით კმაყოფილი იყო **კარლო ანჩელოტიც**:

*„გუნდის თამაშით და შედეგით კმაყოფილი ვარ. შეხვედრა იოლი არ ყოფილა. კარგად დავიწყეთ, მაგრამ ამის შემდეგ, ტემპი დავაგდეთ და თამაშის სადავეები ხელში „დორტმუნდმა“ იგდო, რომელმაც რამდენჯერმე კარგად შემოგვიტია. ისინი სწრაფ და სახიფათო კონტრშეტევებს ახორციელებდნენ, თუმცა ჩვენი დაცვა დღეს მშვენივრად თამაშობდა. გარდა ამისა, მეტოქეს შორეული პასების გაკეთების საშუალებასაც არ ვაძლევდით. კარგი მატჩი ჩაატარა ისკომ, რომელიც დაცვას ხშირად ეხმარებოდა. მადრიდში ყველა მეათე ჩემპიონთა თასზე ფიქრობს. რა თქმა უნდა, ფინალში თამაშზე ვოცნებობთ, მაგრამ იქამდე კიდევ სამი მატჩია. საპასუხო შეხვედრის წინ ფავორიტები ვართ, თუმცა დორტმუნდში ფრთხილად უნდა ვიყოთ“.*


ლუკა მოდრიჩი და კრიშტიანო რონალდო მორიგ გოლს ხარობენ

## რონალდო

„ბორუსიასთან“ მესამე გოლი **კრიშტიანო რონალდომ** გაიტანა, რომელმაც მოგვიანებით ტრავმა მიიღო და მოედანზე მის ნაცვლად **ალვარო მორატა** გავიდა. დაზიანება მძიმე არაა; თუმცა შაბათს, „სოსიედადთან“ კრიშტიანოს თამაში საეჭვოა. ყველაფერი უშუალოდ მატჩის წინ გაირკვევა.

„დორტმუნდთან“ კი პორტუგალიელმა ამ სეზონის ჩემპიონთა ლიგაში თავისი მე-14 გოლი გაიტანა, რითაც ერთ სეზონში გატანილი ბურთების მიხედვით **ლიონელ მესის** რეკორდი გაიმეორა. არგენტინელმა 14 გოლი 2011/12 წლების სეზონში შეაგდო, რაც აქამდე საუკეთესო შედეგი იყო. საინტერესოა, რომ „ბორუსიასთან“ შეხვედრა რონალდოსთვის მე-100 იყო ჩემპიონთა ლიგაში. მის გარდა, საიუბილეო მატჩი **ფრენკ ლემპარდმაც** ჩაატარა. სულ ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში 100 ან მეტი მატჩი უკვე 21 ფეხბურთელს ჩაუტარებია. ლიდერი **რაულია**, 142 მატჩით, მეორე ადგილზე კი **რაიან გიგზი** გახლავთ, ვინც „რეალის“ ლეგანდას მხოლოდ ერთი შეხვედრით ჩამორჩება.

**ტატო ბაციკაძე**




მიიღე მონაწილეობა ყატარის ავიახაზების ვიქტორინაში
გაიმარჯვე და გაემგზავრე ბარსელონაში!

კითხვებზე პასუხი გამოაგზავნეთ 2014 წლის 1 მაისამდე. გამარჯვებული მიიღებს უფასო ავიაბილეთს ბარსელონას მიმართულებით.

აგრეთვე გათამაშდება წამახალისებელი პრიზები: ბარსელონას კლუბის მაისურები, ბურთები და სხვა ატრიბუტიკა.

გამოაგზავნეთ პასუხები მისამართზე: infotbs@ge.qatarairways.com და მიუთითეთ საკუთარი სახელი, გვარი და ელექტრონული ფოსტის მისამართი.

1.რომელი კომპანია არის საფეხბურთო კლუბ ბარსელონას სატიტულო სპონსორი და რომელი წლიდან?

2. რა გამარჯვება იყო ყველაზე დიდი ბარსელონას ისტორიაში, რომელ წელს, რომელ ტურნირში და რომელ მეტოქეზე?

3. რომელ წელს გაიტანა ბარსელონამ ესპანეთის ჩემპიონატის ერთ სეზონში გოლების ყველაზე დიდი რაოდენობა და რამდენი?

4. რომელ წელს გაუშვა ბარსელონამ ესპანეთის ჩემპიონატში ყველაზე ნაკლები გოლი და რამდენი?

5. ვინ გახდება 2013/14 წლის ბარსელონას საუკეთესო ბომბარდირი ესპანეთის ჩემპიონატში და რამდენ გოლს გაიტანს?

6. რომელ ადგილზე დაამთავრებს ბარსელონა 2013/14 წლის ესპანეთის ჩემპიონატს?

7. რამდენ გამარჯვებას მოიპოვებს ბარსელონა 2013- 2014 წლის ესპანეთის ჩემპიონატში?

გისურვებთ წარმატებას!

საფრანგეთი. ლიგა 1. XXXII ტურის წინ

# რა მოხდება ტულუზში?

ჩემპიონატში მთავარი ინტრიგა ახლა მესამე ადგილისთვის მებრძოლ „ლილსა“ და „სენტ ეტიენს“ შორისაა. ამ გუნდებს 3 ქულა აშორებთ და ტურმა შესაძლოა, სიტუაცია კიდევ უფრო დაძაბოს, რადგან ლილელებს ძალიან მძიმე საგარეო თამაში ელით „ტულუზის“ წინააღმდეგ, ხოლო „მწვანეებმა“ უმოტივაციო „ნიცას“, წესით, უნდა სძლიონ.

ტულუზელები ძალიან კარგ ფორმაში არიან, ხუთმატჩიანი waugebeli სერია აქვთ და ევროზონაში მოხვედრის შანსს ინარჩუნებენ. შესაბამისად, **ალენ კაზანოვა** შეეცდება „ლილს“ ცხოვრება გაუმწაროს. **რენე ჟირარის** ბიჭებმა წინა ტურში ბოლო წამებზე იმარჯვეს „გენგამთან. მათ შეტევაში თამაში არც ისე ადვილად გამოსდით. ამიტომაც, **სალომონ კალუმ** და კომპანიამ განსაკუთრებით უნდა მოინდომოს.

„სენტ ეტიენმა“ „ეჟრლანზე“ გმირული გამარჯვება მოიპოვა. საძულველ „ლიონთან“ მოგება **კრისტოფ გალტიეს** ბიჭებს ისეთ მუხტს მისცემდა, რომ ეს მათ დიდხანს გაჰყვებათ და ბოლომდე იბრძოლებენ სანუკვარი საგზურისთვის. ისე, საინტერესოა, რომ „ნიცას“ „მწვანეებთან“ ბოლო 3 სტუმრობიდან 2 მოგებული აქვს.

იმისათვის, რომ სიტუაცია ცხრილის ქვედა ნაწილშიდაც დაიძაბოს „ვალანსიენმა“ შინ „ლიონს“ უნდა მოუგოს, რაც, სხვათა შორის, ბოლო წლებში საკმაოდ წარმატებით გამოსდის - უკანასკნელი 3 საშინაო მატჩიდან 2-ში იმარჯვა. ლიონელებს რაც შეეხებათ, „დერბი დუ რონის“ წაგების მერე, გუნდმა ფაქტობრივად საბოლოოდ დაკარგა მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაზე მოხვედრის შანსი და ახლა მხოლოდ ევროპალიგის საგზურისთვის თუ იბრძოლებს.

თუ თასის მატჩსაც ჩავთვლით, „რენს“ ზედიზედ სამი მოგება აქვს, აი „ბორდოს“ კი 5 შეხვედრაა, არ უმარჯვია. ბრეტონელებს სატურნირო მოტივაცია აღარ აქვთ, ხოლო ჟირონდელებს ბოლომდე ხელი ჯერ არ ჩაუქნევიათ და ევროზონაში მოხვედრის შანსი კიდევ შემორჩათ, ოღონდ მის შესანარჩუნებლად **ფრანსის ჟიიოს** გუნდმა ეს დუელი აუცილებლად უნდა მოიგოს.

ტურს „მარსელისა“ და „აიაჩოს“ მატჩი გახსნის. „ველოდრომის“ ბინადრებს უკვე 5 ტურია, გამარჯვების გემო არ გაუსინჯავთ და თუ დიდი დანაკლისის მქონე, გამოკვეთილ აუტსაიდერ „აიაჩოსაც“ ვერ სძლიეს საკუთარ კედლებში, მაშინ ევროსაგზურს მართლაც არ იმსახურებენ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, „მარსელს“ შინ გამართული ბოლო ორი მატჩი წაგებული აქვს და თანაც გოლიც არ გაუტანია.

სათქმელი ისღა დაგვრჩა, რომ „ჩელსისთან“ მოგებით ეიფორიაში მყოფი „პარი სენ-ჟერმენი“ „რეიმსს“ დაუხვდება, ხოლო ტური „ლუი მეორეზე“ დასრულდება, სადაც „მონაკო“ „ნანტს“ უმასპინძლებს. რეალურად არც პირველ და არც მეორე მატჩს დიდი სატურნირო მნიშვნელობა და დატვირთვა არ გააჩნია.

| 4 აპრილი | |
|---|---|
| მარსელი-აიაჩო | 22:30 |
| **5 აპრილი** | |
| პსჟ-რეიმსი | 19:00 |
| ტულუზი-ლილი | 22:00 |
| ბასტია-სოშო | 22:00 |
| ბორდო-რენი | 22:00 |
| გენგამი-მონპელიე | 22:00 |
| ლორიანი-ევიანი | 22:00 |
| **6 აპრილი** | |
| სენტ ეტიენი-ნიცა | 16:00 |
| ვალანსიენი-ლიონი | 19:00 |
| მონაკო-ნანტი | 23:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსჟ | 31 | 23 | 7 | 1 | 71-18 | 76 |
| 2. მონაკო | 31 | 18 | 9 | 4 | 50-26 | 63 |
| 3. ლილი | 31 | 16 | 9 | 6 | 35-19 | 57 |
| 4. სტ. ეტიენი | 31 | 16 | 6 | 9 | 43-28 | 54 |
| 5. ლიონი | 31 | 13 | 9 | 9 | 46-37 | 48 |
| 6. მარსელი | 31 | 12 | 9 | 10 | 40-33 | 45 |
| 7. რეიმსი | 31 | 11 | 11 | 9 | 39-40 | 44 |
| 8. ტულუზი | 31 | 11 | 11 | 9 | 40-43 | 44 |
| 9. ბორდო | 31 | 11 | 10 | 10 | 37-35 | 43 |
| 10. ბასტია | 31 | 11 | 7 | 13 | 33-46 | 40 |
| 11. ნიცა | 31 | 11 | 5 | 15 | 27-35 | 38 |
| 12. რენი | 31 | 9 | 10 | 12 | 38-37 | 37 |
| 13. ლორიანი | 31 | 10 | 7 | 14 | 37-42 | 37 |
| 14. ნანტი | 31 | 10 | 7 | 14 | 27-33 | 37 |
| 15. მონპელიე | 31 | 6 | 17 | 8 | 35-36 | 35 |
| 16. გენგამი | 31 | 9 | 8 | 14 | 28-32 | 35 |
| 17. ევიანი | 31 | 8 | 10 | 13 | 30-45 | 34 |
| 18. ვალანსიენი | 31 | 7 | 8 | 16 | 32-49 | 29 |
| 19. სოშო | 31 | 6 | 8 | 17 | 27-54 | 26 |
| 20. აიაჩო | 31 | 3 | 10 | 18 | 30-57 | 19 |

**ბომბარდირები**: 25 - ზლატან იბრაჰიმოვიჩი (პსჟ); 14 - ალექსანდრ ლაკასეტი (ლიონი), ედინსონ კავანი (პსჟ)



ასე იზეიმა კრისტოფ გალტიემ წინა ტურში დერბის მოგება

გიორგი პაპაბაძე

ამბები

## კურტუას იჯარა გაგრძელდება

მადრიდის „ატლეტიკო“ **ტიბო კურტუას** ალბათ შეინარჩუნებს, მაგრამ იჯარის წესით. „ათლეტებს“ 21 წლის ბელგიელის გამოსყიდვა სურდათ, მაგრამ ეს არ გამოვა. ახალგაზრდა გოლკიპერს ისედაც კარგი ფასი აქვს და მისი გამოსასყიდი თანხა კიდევ უფრო გაიზრდება მას მერე, რაც „ჩელსი“ კურტუასთან კონტრაქტს გაახანგრძლივებს. დიახ, ლონდონელებს კურტუას გაშვება არ სურთ, მას სამომავლოდ ინახავენ, ხოლო იქამდე, სანამ **პეტრ ჩეხი** ჯანზეა, კურტუას კვლავ გაანათხოვრებენ. „ატლეტიკოზე“ უკეთეს ვარიანტს კი ალბათ ვერ იპოვიან. ამბობენ, რომ კურტუამ „ჩელსისთან“ ახალ კონტრაქტზე წინასწარი თანხმობა უკვე განაცხადა.

## ლალანას მსურველთა ოთხეული

**ადამ ლალანა** ბოლო ორი სეზონია, ბრწყინვალედ გამოიყურება, უკვე ინგლისის ნაკრების ფეხბურთელია და დიდი შანსია, „საუთჰემპტონის“ კაპიტანმა ზაფხულში კლუბიც გამოიცვალოს და რომელიმე გრანდში გადაბარგდეს. მართალია, „წმინდანებმა“ მასთან კონტრაქტი 2018 წლამდე გაახანგრძლივეს, მაგრამ მცირე სატრანსფერო ბიუჯეტიდან გამომდინარე, შესაძლოა, ლალანას 20 მილიონ ფუნტზე მეტად შეელიონ. მსურველები კი ნახეთ, როგორები არიან - „მანჩესტერ იუნაიტედი“, „ტოტენჰემი“, „ლივერპული“ და „ჩელსი“. ვნახოთ, ვინ აჯობებს და ვის აირჩევს თავად 25 წლის ნახევარმცველი.

## მანჩესტერის სკაუტები ლისაბონში

როგორც ირკვევა, შაბათს „მანჩესტერ იუნაიტედის“ სკაუტები ლისაბონის „სპორტინგისა“ და „პასუშ დე ფერეირაში“ მატჩს დაესწრებიან. ამით „წითელი ეშმაკები“ ერთბაშად სამ კურდღელს დაიჭერენ... უპირველეს ყოვლისა, ისინი „ლომების“ 21 წლის ნახევარმცველს **უილიამ კარვალიოს** დააკვირდებიან, რომელიც არაერთი გრანდის სამიზნეა. გარდა ამისა, „ოლდ ტრაფორდის“ ბინადრები „სპორტინგის“ 20 წლის შემტევით **კარლოს მანეთი** ყოფილან დაინტერესებულნი. „მესამე კურდღელი“ კი **ბებეა**, რომელიც „პასუშ დე ფერეირაში“ სწორედ „მანჩესტერიდან“ არის განათხოვრებული და 23 წლის ფეხბურთელმა ბოლო დროს შედარებით მოუმატა.

გიორგი პაპაბაძე

თავისუფალი ჭიდაობა. ევროპის ჩემპიონატი



დავით მოძმანაშვილი

# მძიმე უმედლო დღე

**გუშინ ფინეთში, „თავისუფლად“ მოჭიდავეთა ევროპირველობაზე უმედლოდ დავრჩით იმის მიუხედავად, რომ დავით მოძმანაშვილი (125) ნახევარფინალში გავიდა. დამამშვიდებელში გააგრძელა ასპარეზობა იაკობ მაქარაშვილმაც (74), მაგრამ ისიც უმედლოდ დარჩა.**

როგორც ეტყობა, მოძმანაშვილმა ვერა და ვერ გადალახა საკუთარ თავთან ჭიდილის ბარიერი, თორემ აზერბაიჯანელ **ჯამალედდინ მაგომედოვთან** მოგების შემდეგ რუს **ალან ხუგაევთან** წაგებას ნაკლებად ველოდით. ევროპისა და მსოფლიოს პრიზიორი ავარელი მაგომედოვი, რომელიც თავის დროზე რუსეთიდან გადაიბირეს ბაქოში, უტიტულო ხუგაევს შედეგებით ხომ ალემატება, მასზე მეტი ტალანტიც გვგონია. ამიტომ ჩვენებურისთვის ის უფრო საშიშ კონკურენტად მიგვაჩნდა, ვიდრე ხუგაევი ან უნგრელი ევროპის ვიცე-ჩემპიონი **დანიელ ლიგეტი**, ვისთანაც ბრინჯაოსთვის პაექრობა წააგო. მათთან მარცხი მით უფრო გულდასაწყვეტია, რომ იმათ ჩვენი ახალგაზრდები ლამის მუდმივად უგებენ.

მოლოდინისამებრ, მოძმანაშვილმა პირველ წრეში იოლად დაამარცხა მოლდოველი **ანდრეი რომანოვი** - 8:0. ამასობაში მაგომედოვმა კიდევ უფრო გაილალა ლატვიელ **დმიტრის მიხაილოვსთან** და წმინდად მოუგო - 10:0. ვერ ვიტყვით, რომ მოძმანაშვილმა აზერბაიჯანელთან იოლად იმარჯვა. პირიქით - საკმაოდ დაძაბული ბრძოლა გამოდგა, თუმცა ჩვენმა ოლიმპიურმა ვერცხლის მედალოსანმა მეტოქე ბოლოს მაინც გატეხა - 5:2. აი, ამის შემდეგ დადგა ნახევარფინალი და ის საბედისწერო შეხვედრა ხუგაევთან, სადაც ყველაფერი გაფრთხილებებმა გადაწყვიტეს - 3:2 მეტოქის სასარგებლოდ. მან ბოლო ქულა ჩვენების პროტესტის გამო მიიღო, რომელიც მსაჯებმა არ დააკმაყოფილეს და წესისამებრ, ქულით დავისაჯეთ. მოძმანაშვილმა ვერც ლიგეტისთან პაექრობა ჩაატარა ალმავლობით და საკმაოდ შებოჭილად ჭიდაობდა. თავიდან მეტოქეებმა თითო ქულა ერთმანეთის პასივობა-გაფრთხილებების ხარჯზე მიიღეს, მეორე პერიოდში კი უნგრელმა ერთადერთი კარგი შესვლით (მანამ მეტი რეალური მცდელობა არც ყოფილა მთელ შეხვედრაში) 4-ქულიანზე გადააგდო - 1:5. მოძმანაშვილმა ანაგრიში ისევ გაფრთხილებით მოპოვებული ერთი ქულით შეამცირა და სულ ეს იყო, დავრჩით უმედლოდ.

მძიმე წონაში შთამბეჭდავად იასპარეზა თურქმა **ტაჰა აკგულმა** - ფინალში გორგოლასავით ატრიალა ხუგაევი და რამდენიმე წამში ქულებით წმინდად დაამარცხა. მსოფლიოს პრიზიორი აკგული ზედიზედ მესამედ გახდა ევროპის ჩემპიონი.

მაქარაშვილს რომ პირველივე წრეში უძლიერესი მეტოქე ერგო, გუშინაც ვწერდით - რუსთა ევროპის მოქმედი ჩემპიონი **ანიუარ გედუევი**. მაქარაშვილმა სენსაცია ვერ შემოგვთავაზა და 2:12 წააგო. მოგვიანებით ჩვენებური სანუგეშოში კი გადავიდა, მაგრამ იქაც პირველივე პაექრობა დათმო პოლონელ **კრისტიან ბრზოზოვსკისთან** - 4:9.

აკგულის არ იყოს, აქაც შეინარჩუნა ტიტული მოქმედმა ჩემპიონმა - გედუევმა შარშან თბილისში მოპოვებული ჯილდო წარმატებით დაიცვა აზერბაიჯანელი **ჯაბრაილ ჰასანოვის** შემოტევისგან.

თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ტურნირი დღეს დასრულდება ისევ ორივე სქესის 2-2 წონის წარმომადგენელთა გამოსვლით. ჩვენგან 70 კილოგრამში გუნდის დებიუტანტი **დიმიტრი ბასილაშვილი** იჭიდავებს, ვინც პირველ წრეში უკრაინელ **სემენ რადულოვს** შეხვდება, მასთან წარმატების შემთხვევაში კი მასპინძელ **იერე კუნასსა** და რუმინელ **იონუტ ადრიან მოისეს** შორის მოგებულს დაეჭიდება.

დღეს ჩვენი იმედები მაინც ევროპის ორგზის ჩემპიონს, მსოფლიოსა და ოლიმპიურ ბრინჯაოს პრიზიორ **დავით მარსაგიშვილს** (86) უკავშირდება. ის პირველ წრეში ავსტრიელ **დომინიკ პეტერს** ხვდება, მომდევნო წრეში გასვლის შემთხვევაში კი მეტოქედ გერმანელ **გაბრიელ სერეგელისა** და ფინელ **ვილლე ჰეინოს** წყვილში უძლიერესი ელოდება. ვერ ვიტყვით, რომ ჩვენებურს წილისყრამ გაუმართლა - მის ბადეში მოხვდნენ აზერბაიჯანელი **გამზათ ოსმანოვი** (მასთან წაგებები აქვს) და რუსი **აბდულრაშიდ სადულაევი**, ვინც წლეულს ორი ძლიერი შეჯიბრება მოიგო - ივან იარიგინის ტურნირი და იაშარ დოგუს მემორიალი. ამ მხარესაა უნგრელი მსოფლიოს პრიზიორი **იშტვან ვერებიც**. ჭიდაობს **მიხეილ ცოცელაშვილიც** ისრაელიდან, ოღონდ ის ბადის ზედა მხარესაა.

შაბათ-კვირას ევროპის ჩემპიონატში ბერძენ-რომაელები იჭიდავებენ. ჩვენი ნაკრები ასეთი შემადგენლობით გამოვა: **ლაშა გოგიტაძე** (59), **რევაზ ლაშხი** (66), **მანუჩარ ცხადაია** (71), **ზურაბ დათუნაშვილი** (75), **გიორგი ცირეკიძე** (80), **რობერტ კობლიაშვილი** (85), **ვასილ იმერლიშვილი** (98) და **გურამ ფერსელიძე** (130). შაბათს 59, 66, 98 და 130-ის ფალავნები იასპარეზებენ, დანარჩენები კი კვირას იჭიდავებენ.

**კვარცხლბეკი**

**ვაჟები**

**74 კგ**

1. ანიუარ გედუევი (რუსეთი);
2. ჯაბრაილ ჰასანოვი (აზერბაიჯანი);
3. სონერ დემირტასი (თურქეთი), კრისტიან ბრზოზოვსკი (პოლონეთი);
7. იაკობ მაქარაშვილი (საქართველო)

**125 კგ**

1. ტაჰა აკგული (თურქეთი);
2. ალან ხუგაევი (რუსეთი);
3. დანიელ ლიგეტი (უნგრეთი), ალექსანდრ ხოციანოვსკი (უკრაინა);
5. დავით მოძმანაშვილი (საქართველო)

**ქალები**

**55 კგ**

1. სოფია მატსონი (შვედეთი);
2. ანა ზვირიდოვსკა (პოლონეთი);
3. ირინა ოლოგონოვა (რუსეთი), მიმი ხრისტოვა (ბულგარეთი).

**69 კგ**

1. ნატალია ვოროზიოვა (რუსეთი);
2. იანა კრატიჩი (ისრაელი);
3. ალინა სტადნიკი-მახნინა (უკრაინა), ლაურა სკუჯინა (ლატვია).

ირაკლი თავაძე

ხელბურთი

# ფოთი საქართველოს ჩემპიონია

სასპორტო კომპლექს „არენაში" დამთავრდა 2000-2001 წლებში დაბადებულ ხელბურთელ გოგონათა საქართველოს პირველობა. ფოთის გუნდმა (მწვრთნელები **დარეჯან გეფერიძე, თემურ ჭანტურია**) ფინალურ ეტაპზე ზედიზედ ორ მეტოქეს სძლია: „იმედს" 19:3 და „ყვარელს" 15:3. გუშინ კი გადამწყვეტი შეხვედრა ჰქონდა უშუალო კონკურენტ „მამულთან" (მწვრთნელი **ჯული კასიანი**). ორთაბრძოლა დაძაბულად წარიმართა და ბოლო წამებზე ზღვისპირელთა გატანილმა გოლმა მატჩის ბედი სტუმრების სასარგებლოდ გადაწყვიტა.

**ფოთი-მამული 9:8**

**ფოთი:** დიანა აბშილავა, ნანა ხურცილავა, ნინო სურგულაძე-5, ანა სიგუა-1, ანა ჯახია-1, ნენო ჯგერენაია-1, თეონა კუბლაშვილი-1, ქეთი გეგენავა, თამარ ბერაია, მარიამ გვათუა, შორენა შურღაია, ლიზი ნოლაიდელი.

**მამული:** ანა შამბე, მარი ხონელიძე-4, ანა ომიაძე-3, თამთა ხოკერაშვილი-1, ნინო შახულოვი, კესო შოშიტაშვილი, მირანდა ნათენაძე, ანა ქებაძე, ნინო კეკუტია, ქეთი იაშვილი, ელენე ჯავახიშვილი.

**მსაჯები:** ინა ჭკუასელი, გაგა დემეტრაშვილი.

ამ გამარჯვებით ფოთელებმა 8 ქულა მოაგროვეს და ჩემპიონობა მოიპოვეს. 6 ქულით მეორე ადგილი „მამულს" ხვდა, 4 ქულით ბრინჯაო „ქარიშხალას" (მარიამ ბაბალაშვილი, მარიამ არაბაჯევა, თეკლა რატიანი, თინათინ სამანაშვილი, ბაია ტყეშელაშვილი, ქეთევან კერესელიძე, ანა ფოფხაძე, მარიამ ელბაქიძე, ლილი ბარათელი, ნინო მაკაროვა, მწვრთნელები - ირმა ციცქიშვილი, თამაზ ჩხაიძე) ერგო. „ყვარელი" (2 ქულა) და „იმედი" (0 ქულა) მეოთხე-მეხუთე ადგილებზე გავიდნენ.

საგულისხმოა, რომ „ფოთსა" და „მამულს" 1998-1999 წლებში დაბადებულ ხელბურთელ გოგონათა საქართველოს პირველობის ფინალურ ეტაპზეც, რომელიც აპრილის შუა რიცხვებში გაიმართება, ფავორიტებად მიიჩნევენ.

**ვაჟა დანელია**



ჩემპიონი ფოთის გუნდი

# ოვიედოში დღეს იწყება

საქართველოს 20 წლის ხელბურთელ ვაჟთა ნაკრები ამჟამად ესპანურ ოვიედოში იმყოფება და დღეს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირში ჩაებმება. როგორც გაუწყეთ, ჩვენს გუნდს ფინალური ეტაპის ორი საგზურისთვის მასპინძლებთან ერთად მეტოქეობას გაუწევენ ნორვეგიელები და ჩერნოგორიელები. ქართველები დღეს სწორედ ჩერნოგორიელებით იწყებენ. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ესპანეთში მიზნის მისაღწევად ასეთი შემადგენლობით იბრძოლებს - **მეკარეები:** ჯონი ცერცვაძე (1994, სტუ), არჩილ სამიტაშვილი (1994, „თელავი"), ზურაბ ცინცაძე (1996, „პეგასი"), ირაკლი ხიდეშელი (1996, სტუ), **უკანა სამეული:** ზურაბ სიმონია (1994, სტუ), შალვა სტურუა (1994, სტუ), თემურ ორჯონიკიძე (1996, სტუ), ალექსანდრე ცხვარაშვილი (1996, „პეგასი"), გივი გიორგაძე (1996, „იმედი"), **გარემარბები:** ზურაბ აბრამიშვილი (1994, სტუ), ირაკლი გოგოლაძე (1996, სტუ), ომიკო ალანია (1995, „იმედი"), იოსებ სამიტაშვილი (1994, „თელავი"), გიორგი დიხამინჯია (1997, „პეგასი"), **ხაზი:** გიგა კოხრეიძე (1996, „პეგასი"), ჯაბა ხაჟომია (1996, „სამტრედია"), ლაშა არსენაშვილი (1997, სტუ), **მწვრთნელები:** ბექა ორჯონიკიძე, ლევან გელაშვილი, ჯორჯე რაშიჩი.

**ჩვენი გუნდის შეხვედრათა კალენდარი**

**4 აპრილი,** 19:45. საქართველო - ჩერნოგორია
**5 აპრილი,** 21:15. საქართველო - ნორვეგია
**6 აპრილი,** 20:15. საქართველო - ესპანეთი.

ფინალური ეტაპი ავსტრიაში 2014 წლის 24 ივლისიდან 3 აგვისტომდე გაიმართება.

**ვაჟა დანელია**

წყალხტომა

# ოთხეული ამსტერდამის თასზე

შვიდი აპრილიდან ამსტერდამი წყალმხტომელთა საერთაშორისო ტურნირს - „ამსტერდამის თასს" უმასპინძლებს. შეჯიბრებაში 14 ქვეყნის 27 გუნდი მიიღებს მონაწილეობას. მოასპარეზეთა შორის ოთხი ქართველიც იქნება. უფროსებში გამოვა **ჭოლა ჭანტურია,** რომელიც ინდივიდუალურში ერთ და სამმეტრიანი ტრამპლინებიდან მოსინჯავს ძალებს, ხოლო სინქრონულში **სანდრო მელიქიძესთან** ერთად იბრძოლებს მედლებისთვის. ასევე, უფროსებს გაუწევს მეტოქეობას **ალექსანდრე გუჯაბიძე** ერთმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში. 19-წლამდელებში იასპარეზებენ მელიქიძე (3-მეტრიანი ტრამპლინიდან) და **თამარ სიჭინავა** (3-მეტრიანი ტრამპლინიდან და 10-მეტრიანი კოშკურიდან). „ამსტერდამის თასზე" ქართველი წყალმხტომელები 2005 წლის შემდეგ არ გამოსულან. მაშინ ჭანტურიამ 14-წლამდელებში სამი ოქროს მედალი დაიმსახურა. იგი ახლაც საპრიზო ადგილებისთვის იბრძოლებს, თან ახალ ხტომას გამოცდის - უკანა დგომიდან წინ სამ-ნახევარი მალაყი მუხლდაკრეფით. აღსანიშნავია, რომ ჭოლა ემზადება ევროპის ჩემპიონატისთვის, რომელიც 18-24 აგვისტოს ბერლინში გაიმართება, მანამდე კი ორ გრან პრიც ელის კანადასა და იტალიაში.

**ვაჟა დანელია**


ჭოლა ჭანტურია

# გაზეთი მემატიანე

## დრო, მოვლენები და ფაქტები

პუბლიკაციები ეძღვნება გაზეთ „ლელოსა" და ქართული სპორტის თანაცხოვრების 80 წლის საიუბილეო თარიღს

დასაწყისი „ლელო" № 16-19, 21-23, 38-39, 41-43, 46-49, 51-52, 55-63

# ლელოელები

**ახლა, როცა უკვე თვალი გადავავლეთ ქართული სპორტისა და გაზეთ „ლელოს" ერთად გამოვლილ ეპოქას, გვინდა მკითხველის ყურადღება იმ ადამიანებზეც შევაჩეროთ, რომლებსაც დიდი ამაგი მიუძღვით, როგორ „ლელოს", ისე ქართული სპორტის განვითარებაში.
მოწიწებით მინდა მოვიხსენიო „ლელოს" შემოქმედი ადამიანები.**

### მიხეილ კაკაბაძე

ადრე უკვე ვთქვი, თუ რაოდენ დიდია **მიხეილ კაკაბაძის** დამსახურება პირველი ქართული სპორტული გაზეთისთვის ეროვნული იმპულსის შემცველი სახელის შერჩევასა და დამკვიდრებაში. „ლელოს" სახელით გამომავალი ამ გაზეთის პირველი რედაქტორი გახლდათ მიხეილ კაკაბაძე და, რაც კარგი და ღირსეული შემორჩა, რაც გაითავისა „ლელომ", ეს უპირველესად ჭეშმარიტად დიდი რედაქტორის მიხეილ კაკაბაძის დამსახურებაა. ალღო ჰქონდა შეუდარებელი და ეს ყველაფერში იგრძნობოდა - კადრების, ძარღვიანი, მფეთქავი რუბრიკების თუ თემების შერჩევა იყო. ის დროს უსწრებდა, იცოდა, რა და როგორ მიეტანა ხალხის გულებამდე, რაც თითოეულ ადამიანში ეროვნული სიამაყის განცდას გამოიწვევდა.


1967 წ. ნონა გაფრინდაშვილი და მიხეილ კაკაბაძე

ჯერ კიდევ გასული საუკუნის პირველ მეოთხედში **გიორგი ნიკოლაძემ** და მისმა თანამედროვე ქართული სპორტის მოამაგეებმა დაიწყეს სპორტული ტერმინოლოგიის დახვეწაზე ზრუნვა. მიხეილ კაკაბაძემ მიზნად დაისახა ამ ტერმინოლოგიის არა მხოლოდ დახვეწა-სრულყოფა, არამედ სათავე დაუდო გაზეთში ქართული ენის სიწმინდის დაცვას, რასაც ჯეროვნად უფასებდნენ ენათმეცნიერები. და კიდევ, 1959 წელს მიხეილ კაკაბაძის თაოსნობით ჩაეყარა საქართველოში საფუძველი სპორტულ ჟურნალისტიკაში საზოგადოებრივ-პროფესიულ-შემოქმედებითი ორგანიზაციის დაფუძნებას, რომელიც დღეს საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის სახელით აგრძელებს თავის საქმიანობას. ის იყო ერთადერთი რედაქტორი, რომელიც მეორედ დააბრუნეს რედაქციაში.

მიხეილ კაკაბაძე სამაგალითოდ უფრთხილდებოდა გაზეთისა და თითოეული თანამშრომლის ავტორიტეტს. კრიტიკული წერილების ავტორებს მუდამ უტევდნენ. აი, აქ განსაკუთრებით შეუვალი იყო რედაქტორი, ჟურნალისტს არავის დააჩაგვრინებდა. ეს არაერთხელ გამოვცადე საკუთარ თავზე. ერთი ფაქტი განსაკუთრებით დამამახსოვრდა. საგანგაშო სიგნალის შესასწავლად საჩხერეში ჩავედი. ფაქტი დადასტურდა - ერთ-ერთი სკოლის სპორტულ დარბაზში გახსნილი იყო მალაზია. კრიტიკულ წერილს რაიკომის მდივნის რისხვა მოჰყვა. ცეკას შეხმიანებია და უთქვამს, რომ პუბლიკაცია ცილისმწამებლურია, მოითხოვდა კომისიის ჩასვლას. რედაქტორი ცეკაში დაიბარეს. მას კომისიაში ჩემი, როგორც წერილის ავტორის ჩართვა მოუთხოვია. ცალკე წავედი. ერთმანეთს შევხვდით იმ სპორტულ დარბაზში.

- აბა, სად არის მაღაზია, სად! ზვაობდა რაიკომის მდივანი და დასძინა, ხომ ყველაფერი გასაგებია, მორჩა წავედით!

და ამ დროს ამოვიღე გულის ჯიბიდან ფოტოსურათი. ნახეთ, ვეუბნები კომისიას, კედელზე ხომ ჩანს ბზარი, მის ფონზე აგერ დგას ორძელი, რომელზედაც ფართალია გადაკიდებული. მეტი რა გინდათ! გაოგნდნენ, ის ფოტო წერილთან ერთად გაზეთში ვერ დაიბეჭდა, რადგან უხარისხო გამოვიდა, თუმცა მტკიცებულებისთვის შესანიშნავი სამსახური გამიწია. ზამთარი იყო და სხვათა შორის, გამგზავრების წინ შინ პალტოს გარეთა ჯიბეები ამოვაკერინე. მოსალოდნელი იყო პროვოკაცია, შეიძლებოდა მექრთამეობა დაებრალებინათ. მასპინძლები იმითაც გავაწბილე, რომ სადილზეც არ დავრჩი, უმალვე თბილისში მარტო დავბრუნდი.

### ბიჭიკო ქორქია

მწერალ **როდიონ ქორქიას** შვილს ეს სახელი ბავშვობიდან შემორჩა და ყველა, მისდამი გაუნელებელი სიყვარულით სიცოცხლის ბოლომდე მიმართავდა ასე. ოფიციალურად მამის მოსახელე იყო. პუბლიკაციებში გვარის წინ ზოგჯერ როდიონს წერდა, ზოგჯერ ბიჭიკოს.

თამამად ვიტყვი და ყველა დამეთანხმება, რომ საქართველოში საფეხბურთო მიმოხილვებისა და საგაზეთო რეპორტაჟების ფუძემდებლად სწორედ ბიჭიკო ქორქია მიიჩნევა. მისი ეს დამსახურება ჯეროვნად შეაფასა და დააფასა ჩვენმა საზოგადოებამ, როცა რეფერენდუმის შედეგებით იგი XX საუკუნის ფეხბურთზე მწერალ საუკეთესო ჟურნალისტად დაასახელა.

ბიჭიკო უაღრესად განათლებული და დიდად ერუდირებული პიროვნება გახლდათ. სწორედ ამიტომ გამორჩეული ინტელიგენციის წრე იყო მისი სამეგობრო. ყველგან, ყოველთვის და ყველასთან სასურველი სტუმარი იუმორითაც გამოირჩეოდა.

ბიჭიკო ქორქიას პროფესიული სიმაღლე დიდხანს მიუწვდომელი რჩებოდა. თაობებმა, ცხადია, თავისებურად, შეითვისეს მისი წერის სტილი და მანერა, დახვეწილი საფეხბურთო ტერმინოლოგია, მაგრამ ღირსეულ მემკვიდრედ, ალბათ, ვერავის მიიჩნევდა. აი, მაშინ კი გულით გაიხარა, როცა „ლელოში" უბრწყინვალესი კალმოსანი, **ირაკლი ბერიაშვილი** გამოჩნდა. ირაკლი ახლებურად ხედავდა ფეხბურთს არა მხოლოდ როგორც სპორტულ ფენომენს, გამორჩეული იყო მისი აზროვნება, ნიუანსებში წვდომა, ბევრისთვის შეუცნობადის შეცნობა, მსჯელობის ლოგიკა. ახალგაზრდებიდააფიქრა, რომ ფეხბურთის თამაშის მსვლელობის რადიორეპორტაჟული აღწერა შორს დგას ჭეშმარიტი ჟურნალისტისაგან. ბიჭიკო ქორქია ბედნიერი იყო იმით, რომ ირაკლი ბერიაშვილით დაიწყო ახლებური აზროვნება საერთოდ, სპორტულ ჟურნალისტიკაში და დაიწყო იგი იქიდან, საიდანაც უნდა დაწყებულიყო - „ლელოდან"

„ლელოში" ახალ-ახალ ინფორმაციაზე „ნადირობას" მინდა დავუბრუნდე. მახსენდება, გამომცემლობაში სალამოს როგორ ჩამოივლიდნენ სხვა გაზეთებიდან და, რაც ყველაზე საინტერესო გვქონდა იწერდნენ (სისტემატურად კი ფეხბურთში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის გამზადებული ცხრილები მიჰქონდათ). ერთხელ ბიჭიკო ქორქიამ ასეთი ოინი მოაწყო - ცხრილში განგებ აურია მონაცემები იმ ვარაუდით, რომ მერე, გაზეთის დასაბეჭდად გაგზავნის წინ, კვლავ ჩაასწორებდა. ასეთი შეცდომის გამო ხომ წარმოგიდგენიათ, რა ამბავი ატყდებოდა გარეთ იმ გაზეთების მკითხველ ფეხბურთის გულშემატკივრებში და შიგნით რედაქციებში. „ლელოს," ცხადია, ვერავინ დაადანაშაულებდა. რაღა თქმა უნდა, ამ ხუმრობის შემდეგ, ყველა ფრთხილობდა და მზამზარეულით ხელალებით სარგებლობასაც ერიდებოდნენ...

**თენგიზ გაჩეჩილაძე**

გაგრძელება იქნება


ბიჭიკო ქორქია (მარცხნივ) და ბასა ლოლობერიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფეხბურთელი ქვევრში

ამას წინათ „ფეისბუქზე“ გამოქვეყნდა სტადიონის ფოტო, რომელმაც ზამთარში, მარშრუტულ ტაქსში გადახდენილი ამბავი გამახსენა.



ყვარლის სტადიონი: ინტერიერი და ექსტერიერი

ბილეთი ავიღე და უკანა სკამებიდან ერთ-ერთში ჩავიჭედე. შუა ხნის მამაკაცის გვერდში აღმოვჩნდი, რომელმაც ორი ვაშლი გამომიწოდა და ვალიკოდ გამეცნო. კახელი კაცი ვარ და იყო დრო, ფეხბურთის მთელ საქართველოს გარს ვუვლიდიო.

*- ერთხელ, ჩვენი გუნდი ყვარელს რომ ეთამაშებოდა, იმდენი გულშემატკივარი ჩავყევით, ტრიბუნებზე ტევა აღარ იყო...*

ეს თქვა და გაეცინა, ყვარლის სტადიონს სად აქვს ტრიბუნები, ციხესიმაგრის კედლებს შორისაა მოქცეული და მეც ყველაზე მაღალ კედელზე ავედი თამაშის კარგად დასანახადო.

*- სტადიონი ცეხესიმაგრეში! აბა, ასეთ რამეს ქართველის გარდა ვინ მოიფიქრებდა? უნდა გენახათ, რა „მაგარი“ იყო ძველ სიმაგრეში გაჩაღებული ფეხბურთის ყურება. აღარ მახსოვს, მოვიგეთ, თუ წავაგეთ, მაგრამ ის კი არასოდეს დამავიწყდება, შუა თამაშისას ჩვენს მოთამაშეს ფეხი ძველებურ ქვევრში რომ ჩაუვარდა...*


სტადიონი ინგლისში

მოსასმენად საინტერესო ამბავი იყო, მაგრამ საკითხავია - რამდენად სარწმუნო. თავს ვერ დავდებ, რომ თანამგზავრმა არაფერი გააფორმა, მაგრამ აქ მთავარი ფაქტია: სტადიონი ციხესიმაგრეში.

ყურში ჩამრჩა მისი ნათქვამი - ქართველის გარდა ვინ მოიფიქრებდაო. გადავქექე ინტერნეტი და მხოლოდ ერთი პარალელი აღმოვაჩინე: ინგლისში მდინარის პირას მდებარე ციხესიმაგრეში ერთბაშად ორი სტადიონია. ოღონდ, მასთან შედარებით ყვარლისას ერთი დიდი უპირატესობა აქვს - კედლები მოედნის კიდეზეა და „კედლის გათამაშებით“ კაცის მოტყუება თავისუფლად შეიძლება...

● კალათბურთი. ქართველი NBA-ში

# ლებრონმა და ზაზამ ერთმანეთისკენ გაიწიეს!

## ...და კიდევ ერთი რეკორდი - 16

**ზაზა ფაჩულიას** „მილუოკი ბაქსი“ მსოფლიოს ჩემპიონ „მაიამი ჰიტს“ სტუმრად დაუპირისპირდა. როგორც მოსალოდნელი იყო, გაიმარჯვეს მაიამელებმა - 96:77.

შეხვედრა საინტერესო ეპიზოდებით დაიხუნძლა, ვიხილეთ **ლებრონ ჯეიმსის** ეფექტური ჩატენვები, საფინალო სირენასთან ერთად რეალიზებული ტყორცნები... გაწევ-გამოწევა, რომლის ეპიცენტრში ლებრონთან ერთად ფაჩულია აღმოჩნდა: მეორე პერიოდის დასრულებამდე 4:44 წუთით ადრე ჯეიმსი მილუოკელთა ფარქვეშ შეიჭრა, თუმცა ზაზა ფაჩულიამ ჩატენვა არ დაანება - შებოჭა და მსაჯებისგან არასპორტული შენიშვნაც დაიმსახურა, თუმცა ვიდეოგამეორების შემდეგ ფოლს „არასპორტულის“ სტატუსი მოუხსნეს. ვიდეოგამეორებამდე კი შებოჭვით გაბრაზებული ჯეიმსი ფაჩულიას მიუხტა, არც ქართველი ჩამორჩა, თუმცა საქმეში მალევე ჩაერივნენ თანაგუნდელები და სიტუაცია მალევე განიმუხტა.

მკითხველს შევახსენებთ, რომ 2012 წელსაც დაფიქსირდა მსგავსი ინციდენტი: ზაზა და ლებრონი ერთდროულად დავარდნენ მოედანზე. ამერიკელი სწრაფად წამოხტა და ქართველს მივარდა. ვიდრე ზაზა წამოდგებოდა, მისმა ატლანტელმა თანაგუნდელებმა „გაურჩიეს საქმე“ „მეფეს“.

17 ქულა, 8 პასი, ასეთი იყო „მილუოკისთან“ გუშინდელ შეხვედრაში ჯეიმსის მონაგარი. ზაზამ კი სეზონის რეკორდი დაამყარა - ბურთი 16-ჯერ მოხსნა. პირველი ტაიმის შემდეგ მას 4 ქულა და 9 მოხსნა ჰქონდა და ძალიან ახლოს იყო სეზონის მეხუთე ორმაგ დუბლთან, მაგრამ საბოლოოდ 2 ქულა დააკლდა. აი, მისი სრული მონაგარი: 25 წუთი, 8 ქულა (5/3 ორქულიანი, 2/2 საჯარიმო), 16 მოხსნა (10 დაცვაში), 4 პასი. პასივში მხოლოდ 2 ფოლი ჩაიწერა.

ვიდრე მომდევნო თამაშის ანონსს დავწერდეთ, გეტყვით, რომ ფაჩულიას ამერიკული რეკორდი 20 მოხსნაა, რომელიც ორი წლის წინათ „იუტასთან“ ოთხოვერტაიმიან მატჩში დააფიქსირა. „მილუოკი“ 4 აპრილს „ჩიკაგოს“ ესტუმრება. ვნახოთ, შედგება თუ არა დიდი ხნის ნანატრი ფაჩულია-შენგელიას NBA-ური დუელი.


ზაზა ფაჩულია და ლებრონ ჯეიმსი

● კალათბურთი. სიტუაცია



# ტომ ტიბოდო: შენგელიას შანსი აუცილებლად გამოუჩნდება

## საიდუმლო კაცი ჩიკაგოდან

საქართველოს ნაკრების ფორვარდი **თორნიკე შენგელია** „ბრუკლინ ნეთსიდან“ „ჩიკაგო ბულსში“ 21 იანვარს გადავიდა. მაშინ გვქონდა იმედი, რომ თოკოს ჩიკაგოელთა შემადგენლობაში თავის გამოჩენის საშუალება მიეცემოდა, მაგრამ ამაოდ - მწვრთნელ **ტომ ტიბოდოს** იგი მოედანზე მხოლოდ მაშინ შეჰყავს, როცა თამაშის ბედი გადაწყვეტილია. არადა, 22 წლის ქართველმა „ბრუკლინშიც“ დაამტკიცა, რომ NBA-ს დონეზე თამაში ნამდვილად შეუძლია.

როგორც თავად თორნიკე ამბობს, მაშინ, როცა გუნდს კვირაში 3-4 თამაშის გამართვა უწევს, ძნელია, ვარჯიშებზე მოახერხო გუნდთან შეწყობა-შეთამაშება, რადგან დატვირთული მატჩების გამო ვარჯიშები მეტად მსუბუქად მიმდინარეობს.

*- თუმცა დამატებითაც ბევრს ვვარჯიშობ და მწვრთნელები მეუბნებიან, რომ „ჩიკაგოს“ თავკაცი ტომ ტიბოდო ჩემი ამბებით მუდმივად ინტერესდება, მოსწონს როგორ ვმუშაობ, - დასძინა თოკომ.*

კიდევ უფრო საინტერესოა, რას ფიქრობს ტიბოდო შენგელიას შესახებ. მას შემდეგ, რაც ქართველი „ჩიკაგოში“ ჩაირიცხა, „ბულსის“ მთავარმა მწვრთნელმა ყველაზე ვრცლად მის შესახებ გუშინ ილაპარაკა. აი, რა უთხრა ტიბოდომ გამოცემა „დეილი ჰერალდის“ კორესპონდენტს (პუბლიკაციის სახელწოდებაა „ჩიკაგოს საიდუმლი კაცი“):

*- შენგელია ძალიან მოგვწონს. თუმცა მის სარგებლიანობას მონაგარის მიხედვით არ განვიხილავთ. თორნიკეს შეუძლია გუნდში დიდი ენერგიის შემოტანა, რაც მეტად დასაფასებელია. იგი ყოველდღიურად შემართებული მოდის გუნდში და თანაგუნდელებზეც დადებითად მოქმედებს, კარგი კოლეგაა. ვარჯიშებზე ბევრს შრომობს, ახალგაზრდაა და ჯერაც სწავლობს.*

რამდენადაც კარგად უნდა ვარჯიშობდეს, მაინც ძნელია კალათბურთელის შესაძლებლობებზე მსჯელობა, მაშინ, როცა თამაში თითქმის არ უწევს. როგორც თავად აღნიშნავს, ტომ ტიბოდო მის თამაშს „ერთსეზონიან პროექტად“ არ განიხილავს...

*- NBA-ში ვერ მოხვდები, თუ შესაბამისი ნიჭი არ დაგყვა. შენგელიას კარგი მონაცემები აქვს და თუ ვარჯიში ასევე განაგრძო, სერიოზულ პროგრესსაც უნდა ველოდეთ და შანსი აუცილებლად გაუჩნდება. თორნიკე კი მზად უნდა იყოს შანსის გამოყენებისთვის.*

რა კომენტარი შეიძლება მოვარგოთ „ჩიკაგოს“ თავკაცის სიტყვებს? მას შემადგენლობაში 13 ვარსკვლავი რომ ჰყავდეს, შესაძლოა ახალგაზრდა შენგელიას უთამაშებლობა არც გაგვკვირვებოდა, მაგრამ ტიბოდო ხომ ძირითადად 7-8 კალათბურთელით თამაშობს და ნამდვილად შეუძლია ქართველი თავდამსხმელის გუნდთან თამაშ-თამაშ შეჩვევა.

თორნიკეს მამასთან, **კახა შენგელიასთან** პირად საუბარში უთამაშებლობის არაერთ მიზეზზე ვიმსჯელეთ, თუმცა ოკეანის გამოღმიდან მაინც ძნელია იმის ამოცნობა, რას ფიქრობს მწვრთნელი, რაზე აკეთებს გათვლას.

ასეა თუ ისე, ივლისის დადგომასთან ერთად შენგელიას „ჩიკაგოსთან“ კონტრაქტის ვადა ეწურება. მისი გადაბირებით ზამთარში NBA-ს ორი აუტსაიდერი იყო დაინტერესებული, თუმცა თორნიკესთვის ამ ეტაპზე მთავარია სათამაშო პრაქტიკა. ზაფხულში ისეთ გუნდს მოძებნის (ამერიკაში თუ არა, ევროპაში), სადაც თამაშის საშუალება მიეცემა.

...მაგრამ, არ უნდა დაგვავიწყდეს „ჩიკაგო ბულსი“. ტომ ტიბოდო თოკოს შეუსწავლელად არ აიყვანდა. აკი თქვა: შანსი აუცილებლად მიეცემაო?! ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ მომავალ სეზონშიც სურს შენგელიას „ჩიკაგოში“ დატოვება?

უნდა გავიხსენოთ **ვლადიმერ სტეფანიას** სიტყვები: „NBA დიდი ბიზნესია. ზოგჯერ ასეც ხდება - სეზონის ბოლოს ამა თუ იმ მოთამაშეს საერთოდ არ ათამაშებენ, რათა სხვა კლუბების ინტერესი არ გაჩნდეს, სატრანსფერო ფანჯრის გახსნასთან ერთად კი შედარებით იაფიან კონტრაქტზე ითანხმებენ.

თუმცა შენგელიასთვის სადღეისოდ გადამწყვეტი არა ფული, არამედ სათამაშო დროა...

გვერდი მოამზადა
ვაჟა **სიმონიშვილმა**


თორნიკე შენგელია



ეროვნული ბიბლიოთეკა

● "ლელოს" სტუმარი. ნანა კირეულიშვილი

## სპორტი და გენეტიკა

# გენეტიკური პასპორტი და სპორტის მომავალი

**სქესობრივი გზით გადამდები ბაქტერიებისა და ვირუსების დიაგნოსტიკა პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციის (PRS) მეთოდით, მისი გამოყენებით ყოველგვარი ექსპერტიზა, გენეტიკური დაავადებების დიაგნოსტიკა და ამავე დროს თანამედროვე სპორტული გენეტიკის - ნუტრიოგენომიკის (გენეტიკური დიეტის), ფარმაკოგენეტიკისა და ჯანმრთელობის სრული გენეტიკური პასპორტის შექმნა - აი, ის უმნიშვნელოვანესი საკითხები, რომლებიც საფუძვლად უდევს ლაბორატორია "დნმ-დიაგნოსტიკის" საქმიანობას. დღეს გაზეთ "ლელოს" სტუმარია ამ ლაბორატორიის ხელმძღვანელი ნანა კირეულიშვილი, რომელმაც სპორტის გენეტიკასთან დაკავშირებულ საინტერესო კითხვებზე გასცა პასუხები.**

გენეტიკური ტესტირების შედეგად შესაძლებელია მომავალი სპორტული წარმატებების პროგნოზირება. აღსანიშნავია, რომ ადამიანის ფიზიკური მონაცემების ფორმირება, განვითარება და გამოვლინება დამოკიდებულია გენეტიკური და გარეგანი ფაქტორების ურთიერთქმედების რთულ ჯაჭვზე. მრავალწლიანი სპორტული მომზადების პროცესისას გარეგან ფაქტორებში იგულისხმება ვარჯიში, დატვირთვა შეჯიბრებებისას და აღდგენისათვის აუცილებელი ღონისძიებ:ბი.

გენეტიკური ტესტირება მიზნად ისახავს ინდივიდუალური გენეტიკური თავისებურებების განსაზღვრას ფიზიკური შრომისუნარიანობის მართვისთვის. იგი საშუალებას იძლევა, არა მარტო განისაზღვროს გენეტიკური მიდრეკილებები სხვადასხვა ფიზიკური მონაცემებისადმი (ძალა, ამტანობა, სისწრაფე), არამედ შეირჩეს სავარჯიშო



ნანა კირეულიშვილი

- დღემდე აქტუალურ შეკითხვად რჩება, არის თუ არა ფიზიკური დატვირთვა სპორტსმენისთვის უსაფრთხო. ბევრი იწერება სპორტსმენის უეცარის სიკვდილის შესახებ... ცნობილია, რომ პროფესიული სპორტისას ორგანიზმი ეგუება ფიზიკურ დატვირთვას. ორგანიზმი კი, თავის მხრივ, კორექციას უკეთებს ორგანოების მუშაობას. თუ ამ ადაპტაციას გენები ეწინააღმდეგება, მაშინ იწყება პათოლოგიური ხასიათის ცვლილებები. ბოლო წლებში მაღალტექნოლოგიური, მოლეკულურ-ბიოლოგიური კვლევების დანერგვამ გარკვეულწილად შეუწყო ხელი სპორტული გენეტიკის განვითარებას.

**გენეტიკური ტესტირების შედეგად შესაძლებელია მომავალი სპორტული წარმატებების პროგნოზირება**

ტერმინი „ფიზიკური აქტივობის გენეტიკა" პირველად ამერიკელმა მეცნიერმა კლოდ ბუშარმა გამიყენა 1983 წელს. პირველი შრომები სპორტულ გენეტიკაზე ჰიუ მონტგომერმა და მისმა თანამოაზრეებმა გამოიყენეს. საგულისხმოა ისიც, სპორტული გენეტიკა ოფიციალურად 1980 წელს მოიხსენიეს თბილისში სამეცნიერო კონფერენციაზე - "სპორტული გენეტიკისა და სომატოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოება".

პროცესის მოცულობა და რეაბილიტაციის ადეკვატური მეთოდები, რაც განსაკუთრებით აქტუალურია ადრეულ ასაკში, როდესაც ბავშვებს ეძლევათ მათთვის შეუსაბამო დიდი დატვირთვა, რაც იწვევს ტრავმებს. დღეისთვის ცნობილია 150 გენი, ამა თუ იმ სახით დაკავშირებული სპორტულ საქმიანობასთან. გენის თანამიმდევრობაში მცირე ცვლილებებიც კი აისახება სპორტსმენის გამძლეობაზე, კუნთოვან მასასა და რეაქციის სისწრაფეზე. სწორედ ასეთი ცვლილებების გამოკვლევებზეა დამყარებული გენეტიკური ანალიზი.

**- სპორტის რომელი სახეობები ექვემდებარება გენურ ანალიზს?**

-სპორტული ცურვა გრძელ და მოკლე დისტანციებზე, ჩოგბურთი, ფეხბურთი, ფრენბურთი, წყალბურთი მძლეოსნობა (სირბილი საშუალო და გრძელ დისტანციებზე), ველოსპორტი, ნიჩბოსნობა (ბაიდარები, კანოე, აკადემიური ნიჩბოსნობა).

**- ცნობილია, რომ ადრეულ ასაკში იმედისმომცემი სპორტსმენების დიდი ნაწილი გალებულ ავანსებს ვერ ამართლებს. რა უნდა იყოს ამის მიზეზი?**

- დადგენილია, რომ სპორტული წარმატებების მიღწევა მხოლოდ 15-25 პროცენტითაა დამოკიდებული ფიზიკურ ვარჯიშზე, გენოტიპობრივი ფაქტორი კი 75-85 პროცენტს აღწევს. ამით ახსნება, რომ ზოგიერთი სპორტსმენი ადრეულ ასაკში დიდ იმედებს იძლევა, თუმცა მოგვიანებით წარმატებას ვერ აღწევს. გენეტიკური, ლაბორატორიული და ფუნქციური გამოკვლევების საფუძველზე ექიმი-გენეტიკოსები ადგენენ სპორტსმენის გენეტიკურ პასპორტს, რომელიც

მრავლამხრივ ინფორმაციას გვაძლევს ვარჯიშის პირობებში სპორტსმენის ინდივიდუალური ფიზიოლოგიური პარამეტრების შესახებ. გენეტიკური ტესტირება სპორტული მომზადების ყოველ ეტაპზე აწვდის მწვრთნელს პირველად ინფორმაციას, თუ რომელ სპორტულ სექციაში ჩართოს მომავალი სპორტსმენი.

**- მაინც, რისი განსაზღვრა შეიძლება გენების მეშვეობით?**

- როგორია სწრაფვა სპორტისკენ, ნერვულ-ფსიქიური მდგრადობა;

მიდრეკილება სისწრაფისა და კუნთოვანი მასის გაზრდისადმი;

გენები ავლენენ სპორტსმენის ამტანობის განვითარებას, ვლინდება რისკ-ფაქტორები: წნევის მატება, გულის იშემიური დაავადებები, უეცარი სიკვდილი. მარცხენა პარკუჭის ჰიპერტროფია... სპორტსმენებსა და მწვრთნელებს ეძლევათ რეკომენდაციები შესაბამისი სავარჯიშო პროგრამის შესარჩევად.

გარკვეულ რეკომენდაციებს ღებულობენ დამწყები სპორტსმენის მშობლები, რომლებსაც შეეძლებათ:

ა) შვილებისთვის სპორტის სახეობის შერჩევა,

ბ) პროფესიული სპორტით დაკავების მიზანშეწონილობა,

გ) კვების რაციონის კორექტირება,

დ) მაღალი რისკის დაავადებების პროფილაქტიკა.

**- გენეტიკური პასპორტი რის შესაძლებლობას იძლევა?**

- გვაძლევს მრავალმხრივ ინფორმაციას ვარჯიშის პირობებში სპორტსმენის ინდივიდუალური ფიზიოლოგიური პარამეტრების შესახებ. სპორტსმენის სისწრაფე განისაზღვრება „ნელი" და „სწრაფი" კუნთების რაოდენობრივი თანაფარდობით და არა კუნთოვანი მასის ზრდით. შეცდომაა, როდესაც მწვრთნელი ცდილობს, სპრინტერის

**გენეტიკური ტესტირება სპორტული მომზადების ყოველ ეტაპზე აწვდის მწვრთნელს პირველად ინფორმაციას, თუ რომელ სპორტულ სექციაში ჩართოს მომავალი სპორტსმენი**

კუნთოვანი მასა გაზარდოს შედეგის გასაუმჯობესებლად. ამ შემთხვევაში დიდი ალბათობით შეიძლება მივილოთ საწინააღმდეგო შედეგი. გენეტიკური ტესტირება მწვრთნელს აწვდის პირველად ინფორმაციას სპორტულ სექციებში სპორტსმენის ინდივიდუალური შერჩევისა და ვარჯიშების ინტენსივობის შესახებ.

. ერთ-ერთი გენის ანალიზი საშუალებას იძლევა დაიყოს სპორტსმენები მათი შესაძლებლობის და მომავალი წარმატების მიხედვით ორ ჯგუფად - სტაიერებად და სპრინტერებად. გრძელ დისტანციებზე მორბენლებსა და ველოსპორტსმენებს სხვა გენოტიპი აქვთ, მოკლე დისტანციებზ მორბენლებსა და მოცურავეებს კი - სხვა.

სპორტსმენთა შერჩევის ასეთი პრინციპი უკვე 10 წელია, რაც დაინერგა ოლიმპიური რეზერვის შერჩევისას. ასე მოიქცნენ ჩინელები - პეკინის სპორტის უნივერსიტეტის რექტორმა პროფ. იანგ ხუმ აღნიშნა, რომ 10 წლის წინათ მათ გამოიყენეს გენეტიკური შერჩევის მეთოდი ბავშვების სექციებში განაწილებისას, რამაც საუკეთესო შედეგი მოუტანა მათს ქვეყანას პეკინის ოლიმპიადაზე, რომელშიც 204 ქვეყანა მონაწილეობდა. ოქროს მედლების რაოდენობით მაშინ ყველას მასპინძლებმა აჯობეს, რასაც ჩინეთში სპორტული გენეტიკის სწრაფ განვითარებას უკავშირებენ.

სასურველია რომ მსოფლიოში მიმდინარე გლობალურ ცვლილებებს არც საქართველო ჩამორჩეს და აქტიურად გამოვიყენოთ გენეტიკური მეცნიერების თანამედროვე მიღწევები. ჩვენი ლაბორატორია უზრუნველყოფს უცხოეთში სპორტის გენეტიკის გამოკვლევას ათლეტთა გენეტიკური პასპორტის ასაღებად.

კითხვაზე, ვინ გამოვა მომავალ ოლიმპიადებზე? ექსპერტების პასუხი ასეთია: უახლოეს წლებში - სპორტსმენები, ჯერ კიდევ ბავშვობაში გადარჩეულნი გენეტიკური პასპორტებით. ასე რომ, ამ საკითხებზე ღირს დროული დაფიქრება.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა დანელიამ**
ავტორის ფოტო

● ჩოგბურთი



ოქსანა კალაშნიკოვა

## კალაშნიკოვა ნახევარფინალშია

თბილისელი ჩოგბურთელი **ოქსანა კალაშნიკოვა** კანადაში მონტერეის საერთაშორისო ტურნირზე (საპრიზო ფონდი 500.000 დოლარი) წყვილებში გაბრიელა დობროვსკისთან ერთად ცდის ძალებს. გუშინ ჩვენებურმა მეოთხედფინალურ პაექრობაში ამანდინ ჰესეს (საფრანგეთი) და ჩიე-იუ ჰსუს (აშშ) დუეტი დაამარცხა და ნახევარფინალში გავიდა, რითაც პარტნიორთან ერთად 110-110 სარეიტინგო ქულა გამოიმუშავა. მე-2 ნომრად განთესილი ქართულ-კანადური დუეტი ფინალის საგზურისთვის ტურნირის მე-3 ნომერ დარია იურკისა (ხორვატია) და მეგან მულტონ-ლევის (აშშ) შეხვდება. გამარჯვების შემთხვევაში ოქსანა და გაბრიელა 180-180 ქულას დაიმსახურებენ.

■ ■ ■

წყვილთა ნახევარფინალში ითამაშებენ **სოფიო ქვაცაბაია** და **ეკატერინე გორგოძე** ანტალიის საერთაშორისო ტურნირში (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი). ჩვენებურებმა გუშინ ანგელინა გაბუევა და მაია გავერინა (ორივე-რუსეთი) დაამარცხეს - 6:3, 6:4 და ნახევარფინალში გავიდნენ, სადაც მეტოქეობას გაუწევენ დენისა ალერტოვას (ჩეხეთი) და ჩანთალ სკამლოვას (სლოვაკეთი). ამით ქვაცაბაიას, რომელმაც ერთეულთა თანრიგის სტარტზე ასპარეზობის რეიტინგფავორიტი ჩამოიშორა გზიდან, რევანშის შანსი ეძლევა, რადგან გუშინ მე-2 წრეში სწორედ ალერტოვასთან დამარცხდა - 6:7, 2:6. წყვილთა შორის მეორე ნახევარფინალში მელის სეზერი, იპეკ სოილუ (ორივე - თურქეთი) და ანა კლასენი, შარლოტე კლასენი (ორივე-გერმანია) გაარკვევენ ერთმანეთთან ურთიერთობას.

■ ■ ■

კოლუმბიაში მედელინის 50.000-იან საერთაშორისო ტურნირს დაემშვიდობა **სოფიო შაფათავა.** ერთეულების მე-2 წრეში მან ესპანელ ლარა არუბარენასთან წააგო - 4:6, 6:4, 3:6. ქართველმა ჩოგბურთელმა ვერც წყვილებში იყოჩაღა - რუს მარინა მელნიკოვასთან შეამხანაგებულმა მეოთხედფინალური შეხვედრა მონიკა ადამჩაკისა (ავსტრალია) და მარინა შამაიკოს (რუსეთი) ტანდემთან დათმო - 1:6, 3:6.

■ ■ ■

ყაზახეთში ჩოგბურთელ ვაჟთა 10.000-იან ტურნირს ქართველთაგან მხოლოდ **ალექსანდრე მეტრეველი** იყო შემორჩენილი. გუშინ მან ანდრეი პლოტნისთან (რუსეთი) პირველი სეტი 4:6 დათმო, მეორე ხელს 0:4-ს რომ აგებდა, ტრავმა მიიღო და შეჯიბრების გაგრძელება ვერ შეძლო.

■ ■ ■

თურქეთში ახალგაზრდა ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირში სამი ქართველი ცდიდა ძალებს. **ირაკლი მეტრეველი** პირველსავე წრეში დანებდა მეტოქეს, **გიორგი დათაშვილმა** პირველი ბარიერი გადალახა, მაგრამ მეორეში მას ალექსის კანტერმა (დიდი ბრიტანეთი) აჯობა 6:2, 6:1. გოგონებში **მედეა პეტრიაშვილმაც** მე-2 წრიდან გადაინაცვლა მაყურებლებში მას შემდეგ, რაც მე-2 ნომრად განთესილ მასპინძელ აილა აკშუსთან ვერაფერს გახდა - 3:6, 2:6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტი და მედიცინა


ადამ ოქრუაშვილი ახალ სპორტული მედიცინის ცენტრში

# ახალი სიტყვა

8 იანვრიდან ქართულ სპორტს ერთი მეტად მნიშვნელოვანი ბაზა შეემატა – სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრი. სამწუხაროდ, ინფრასტრუქტურით განებივრებულნი არც სპორტში ვართ და არც სხვა სფეროებში, თუმცა ეს სწორედ ისაა, რაც ჰაერივით გვაკლდა. ქვეყანაში აქამდეც იყო ამ პროფილის რამდენიმე ცენტრი, მაგრამ ახლანდელი ბევრად უფრო კომპლექსურია და, რაც მთავარია, გაცილებით უფრო თანამედროვე აპარატურითაა აღჭურვილი.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამ ცენტრის ერთ-ერთი უმთავრესი სტრატეგია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებზე ზრუნვაა, რაშიც ჩვენი ქვეყანა გვარიანად ჩამორჩება თანამედროვე სტანდარტებს. ასეთი პაციენტებისთვის აქ ყველა პირობაა შექმნილი - გადაადგილებიდან დაწყებული, ნებისმიერი სერვისით დამთავრებული. ბუნებრივია, როგორც ისინი, ასევე სხვებიც ექიმთა მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ გადიან ყველა პროცედურას.

ცენტრის დაარსების იდეა ცნობილ ექიმს – **დავით ტატიშვილს** ეკუთვნის, რომელიც ქართულ სპორტთან აქამდეც ინტენსიურად თანამშრომლობდა - წლების განმავლობაში მისი სამედიცინო ცენტრი ქართველ სპორტსმენთა ერთ-ერთი ძირითადი დიაგნოსტიკურ-სამკურნალო ცენტრი იყო. ამდენად, ის რიგით ადამიანთა თუ იმავე შეზღუდული შესაძლებლობების პირთა გვერდით კარგად იცნობდა სპორტსმენთა პრობლემებსაც, რაშიც რეაბილიტაცია უპირველესია... ამიტომ თავის მეგობარ **დავით ფანჯაკიძესთან** ერთად ხელი მოჰკიდა ამ საქმეს და სურვილი რეალობადაც აქცია – საქართველოს ბანკიდან შენობის ასაშენებლად კრედიტი აიღეს. აპარატურის შესაძენად მიზნობრივი კრედიტი (ლიზინგი) თიბისი-ბანკმა გასცა, დანარჩენი კი დროის საქმე იყო.

ცენტრში რეაბილიტაციისთვის საჭირო ყველა მიმართულებაა დანერგილი. დანესებულება მთლიანად ადგილობრივი კადრებითაა დაკომპლექტებული. არსებული კონტიგენტი აკმაყოფილებს მოთხოვნებს და უცხოეთიდან სპეციალისტთა მოწვევა არ იგეგმება. თუ დამატებით დასჭირდებათ გარკვეული სპეციფიური მიმართულების ექიმები, ხელშეკრულებით ისევ ადგილობრივ კოლეგებს მიწვევენ.

**ირაკლი თავაძე**

ცურვა

# ნანჯინგისთვის ბრესტში

წლეულს 8-12 აპრილს ბრესტი ახალგაზრდა მოცურავეთა ბელარუსის ღია პირველობას უმასპინძლებს. ეს შეჯიბრება იმით არის მნიშვნელოვანი, რომ იქ ნანჯინგის 2014 წლის მსოფლიო ახალგაზრდობის ოლიმპიური თამაშების საგზურები გათამაშდება. ბრესტში საასპარეზოდ გაემგზავრება 1996-1998 წლებში დაბადებულ მოცურავეთა საქართველოს ნაკრები (მწვრთნელი **ირინე ბენდელიანი**). ბელარუსში ოთხი ქართველი მოსინჯავს ძალებს: **აკაკი ვაშაკიძე** (რუსთავი, 50, 100, 200 მ ბატერფლაი), **დავით შახნაზაროვი** (50 და 100 მ თავისუფალი ყაიდითა და ბატერფლაით), **გიორგი ბიგანიშვილი** (50, 100 მ თავისუფალი ყაიდით, 50 მ გულაღმა) და **ვასილ ხიზანიშვილი** (სამივე-თბილისი, 50, 100, 200 მ ბრასით და 200 მ კომპლექსი). ამ სპორტსმენთაგან ვაშაკიძეს 200 მეტრზე ბატერფლაით შესრულებული აქვს ახალგაზრდების ოლიმპიური თამაშების ნორმატივი, ოღონდ არასალიცენზიო შეჯიბრებაზე. ამიტომ სპეციალისტები იმედოვნებენ, რომ აკაკის ბრესტში ნანჯინგის საგზურის მოპოვება არ გაუჭირდება.

**ვაჟა დანელია**

მილოცვები

**დემიკო ლოლაძე** 70 წლისაა! ათეული წლებია საქართველოს სპორტული სამყარო და მკითხველი ინტერესით ეცნობა ამ შესანიშნავი პუბლიცისტის, მწერლისა და ფოტოხელოვანის შემოქმედებას. მისი ავტორობით გამოცემულმა წიგნებმა და ალბომებმა სამარადჟამოდ დაიმკვიდრეს ადგილი ქართული სპორტის მატიანეში, როგორც თვითმხილველის მიერ შექმნილმა ბრწყინვალე ნამუშევრებმა.

დემიკო ლოლაძე კვლავაც ახალგაზრდული შემართებით ემსახურება ქართული სპორტისა და საყოველთაო სიყვარულით გარემოსილი მისი ღირსეული წარმომადგენლების წარმატებების ხალხის გულებამდე მიტანის პატრიოტულ საქმეს.

გილოცავთ, ბატონო დემიკო!

„ლელოს" რედაქცია

იუბილარი „ლელოს" სტუმარი იქნება სამშაბათს, 8 აპრილს.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაბადების დღეს ულოცავს ამავე ორგანიზაციის ყოფილ პრეზიდენტს, ამჟამად საპატიო პრეზიდენტს, ქართული სპორტის ღვაწლმოსილ მუშაკს, ბრწყინვალე პიროვნებას **ჯანსულ (ჯანო) ბაგრატიონს.**

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# აღმოსავლეთში დიდი ომია

გუშინდელი სათამაშო დღის პროგრამაში 13 მატჩი იყო და საქმეში ვიხილეთ აღმოსავლეთის პლეი ოფის ზონაში მოხვედრის ათივე კანდიდატი. კონფერენციის სათავეში ცვლილება არ მომხდარა: „ინდიანამ" და „მაიამიმ" უპრობლემოდ დაამარცხეს „დეტროიტი" და „მილუოკი". სხვათა შორის, „პეისერსმა" 15 მარტის შემდეგ პირველად შეძლო მატჩში 100 ქულის დაგროვება. ლიდერთა ქვემოთაც შენარჩუნდა სტატუს-ქვო: „ჩიკაგომ" და „ტორონტომ" სინქრონულად მოიგეს თავიანთი მატჩები. კანადელებმა შინ არ დაინდეს „ჰიუსტონი", ხოლო „ხარებმა" სტუმრად დაამარცხეს „ატლანტა" (ამ მატჩში „ბულზის" მთავარმა მწვრთნელმა **ტომ ტიბოდომ** კარიერაში მე-200 გამარჯვება იზეიმა). იმის გათვალისწინებით, რომ „ნიუ იორკმა" „ბრუკლინს" მოუგო, „ატლანტა" კონფერენციაში მეცხრე ადგილამდე ჩამოქვეითდა, ხოლო პლეი ოფის ზონაში „ნიუ იორკმა" შეაბიჯა.

ოდნავ ქვემოთ იმყოფებდა „კლივლენდი", რომელმაც იოლად დაძლია „ორლანდოს" წინააღმდეგობა. სავარაუდოდ, სწორედ ეს გუნდი უნდა გახდეს „ნიქსის" მთავარი კონკურენტი პლეი ოფის მერვე საგზურისთვის ბრძოლაში. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს გუნდის ლიდერის **კაირი ირვინგის** დაბრუნება, რომელიც 16 მარტიდან მოყოლებული იმყოფებოდა ლაზარეთში. დაახლოებით ნახევართვიანი პაუზის შემდეგ, პირველ შეხვედრაში ირვინგმა 17 ქულით, 6 მოხსნითა და 8 პასით შეიტანა წვლილი „ორლანდოს" ძლევაში.

ირვინგის დაბრუნების გარდა, „კლივლენდის" ფავორიტობას მერვე საგზურისთვის ბრძოლაში ამ გუნდის კალენდარიც განაპირობებს. დარჩენილ ექვს შეხვედრაში „კავალიერზი" მხოლოდ ორჯერ ხვდება პლეი ოფის ზონაში მყოფ გუნდებს. „ატლანტას" რვა დარჩენილი შეხვედრიდან ოთხი ასეთი მატჩი აქვს, თან ერთხელ „კლივლენდს" უნდა დაუპირისპირდეს. ყველაზე რთულ სიტუაციაშია „ნიქსი" - ექვსივე მატჩი მას პლეი ოფის ზონის გუნდებთან უწევს.

ასევე უნდა ვთქვათ „ვაშინგტონის" წარმატების შესახებ - ეს გუნდი 2007-08 წლების სეზონის შემდეგ პირველად გავიდა პლეი ოფში.

■ ■ ■

ამასობაში, რა ხდება დასავლეთში? ლიგის ლიდერი „სან ანტონიო" „გოლდენ სტეიტს" ხვდებოდა. იმის მიუხედავად, რომ მომდევნო დღეს „სპურსს" „ოკლაჰომასთან" უწევდა შეხვედრა, **გრეგ პოპოვიჩმა** მაინც არ მისცა თავის ლიდერებს დასვენების საშუალება. თუმცა ტექსასელთა წაყვან მოთამაშეებს დიდი ხანი მოედანზე ყოფნა არ მოუწიათ. მეოთხე წუთიდან მოყოლებული, მასპინძლები მუდმივად წინ იყვნენ და ხანდახან, მათი უპირატესობა 20 ქულას ცდებოდა. შესაბამისად, **დანკანმა** მოედანზე მხოლოდ 20 წუთი დაჰყო, რომლის დროსაც 15 ქულა და 8 მოხსნა დააგროვა. გარდა ამისა, **დიაოს** გარდა, „სან ანტონიოს" რიგებში ნახევარ საათზე მეტი არავის ურბენია. *„დღეისთვის ეს საუკეთესო გუნდია ლიგაში"*, - განაცხადა „გოლდენ სტეიტის" ლიდერმა **სტივენ კარიმ**. „სან ანტონიომ" ზედიზედ მე-19 მოგებით საკლუბო რეკორდი დაამყარა.

მტკივნეული მარცხი იწვნია მინეაპოლისში პლეი ოფის ზონაში მოსახვედრად მებრძოლმა „მემფისმა".. დასავლეთი კონფერენციის შარშანდელმა ფინალისტებმა სეზონში ერთ-ერთი უარესი მატჩი ჩაატარეს. **ზაკ რენდოლფმა** რვიდან შვიდი სროლა ააცილა და ოთხი ქულა დააგროვა, **მაიკ კონლიმ** 15-ჯერ ისროლა და მხოლოდ სამჯერ ზუსტად. სტუმრები მხოლოდ ექვსჯერ დადგნენ საჯარიმოს ხაზზე. „მინესოტას" გამარჯვების მთავარი შემოქმედი **კევინ ლავი** გახდა, რომელმაც 24 ქულით, 16 მოხსნითა და 10 პასით სეზონში მესამე სამმაგი დუბლი შეასრულა.

**ინდიანა-დეტროიტი 101:94**

28:27, 22:19, 23:28, 28:20

**ი:** ჯორჯი (27+13 მოხსნა), უესტი (15), ჰილი (12), სტივენსონი (11), ჰიბერტი (11), მაინმი (10).

**დ:** სმიტი (24), მონრო (17+16 მოხსნა), სტაკი (16), დრამონდი (13+14 მოხსნა), ჯენინგსი (12+9 პასი), სინგლერი (10).

**ნიუ იორკი-ბრუკლინი 110:81**

29:20, 34:18, 19:23, 28:20

**ნ-ი:** სმიტი (24), ენტონი (23+10 მოხსნა), ჰარდუეი (17), სტაუდმაიერი (13), შამპერტი (10+5 ჩაჭრა).

**ბ:** ჯონსონი (16), უილიამსი (12), ანდერსონი (11).

**ორლანდო-კლივლენდი 98:119**

27:35, 20:35, 21:24, 30:25

**ო:** ოლადიპო (16), ლემბი (14), ჰარისი (11), მური (10), ჰარკლესი (10).

**კ:** უეიტერსი (26), ჰოიესი (20), ტომპსონი (20+11 მოხსნა), ირვინგი (17), ჯეკი (13).

**ფილადელფია-შარლოტი 93:123**

19:31, 19:32, 25:25, 30:35

**ფ:** კარტერ-უილიამსი (22), სიმსი (15), უილიამსი (12), იანგი (11).

**შ:** ჯეფერსონი (25+10 მოხსნა), ტოლივერი (16), ნილი (15), დაგლას-რობერტსი (14), ჰენდერსონი (14).

**ტორონტო-ჰიუსტონი 107:103**

23:25, 32:25, 35:30, 17:23

**ტ:** დეროზანი (29), ვალანჩუნასი (15), ვასკესი (15), როსი (14), სალმონსი (12).

**ჰ:** ჰარდენი (26), პარსონსი (20), ლინი (16), მოტეიუნასი (13), აშიქი (9+15 მოხსნა).

**ვაშინგტონი-ბოსტონი 118:92**

29:21, 28:25, 32:16, 29:30

**ვ:** გორტატი (22), ბილი (19), არიზა (18), უოლი (13+10 პასი), ჰარინგტონი (12), ბუკერი (10).

**ბ:** სალინჯერი (25), ოლინიკი (14), რონდო (13), გრინი (13).

**ატლანტა-ჩიკაგო 92:105**

31:31, 18:26, 23:21, 20:27

**ა:** მილსეპი (22+11 მოხსნა), ტიგი (21), კორვერი (12).

**ჩ:** ოგასტინი (23), ბატლერი (17), ჰაინრიხი (17), ბუზერი (12), გიბსონი (10), ნოა (10+10 მოხსნა).

**მაიამი-მილუოკი 96:77**

33:19, 23:19, 21:19, 19:20

**მაი:** ჯეიმსი (17), ბოში (15), ჩელმერსი (14).

**მილ:** სეშენსი (19), ედრიენი (14), ნაითი (11), ჰენსონი (10), ფაჩულია (8+16 მოხსნა).

**მინესოტა-მემფისი 102:88**

20:20, 28:21, 29:20, 25:27

**მინ:** ლავი (24+16 მოხსნა+10 პასი), მარტინი (21), რუბიო (14), ტურიაფი (11).

**მემ:** გასოლი (18), ლი (14), დევისი (10).

**სან ანტონიო-გ. სტეიტი 111:90**

31:18, 26:24, 30:25, 24:23

**ს-ა:** პარკერი (18), დანკანი (15), ჯინობილი (13), მილზი (13), ბელინელი (12), ლეონარდი (11).

**გ-ს:** სპეიტსი (22), კროუფორდი (16), ტომპსონი (15), კარი (11+10 პასი), ბარნსი (11).

**დენვერი-ნ. ორლეანი 137:107**

40:26, 31:27, 34:28, 32:26

**დ:** ფარიდი (34+13 მოხსნა), ბრუქსი (24), მოზგოვი (15), ლოუსონი (14+12 პასი), ფურნიე (12), ვესელი (10).

**ნ-ო:** ევანსი (27), მოროუ (17), უიზი (13).

**ფინიქსი-კლიპერსი 108:112**

25:30, 37:30, 29:18, 17:34

**ფ:** მორისი (16), გრინი (15), დრაგიჩი (15), ბლედსოუ (14), ფრაი (14), პლამლი (13), მორისი (11), ტაკერი (10+11 მოხსნა).

**კ:** გრიფინი (23), კოლისონი (23), პოლი (20+9 პასი), ბარნსი (19), დადლი (12), ჯორდანი (4+11 მოხსნა).

**საკრამენტო-ლეიკერსი 107:102**

24:23, 36:29, 27:24, 20:26

**ს:** გეი (31), მაკალუმი (27), კაზინსი (20+10 მოხსნა), მაკლემორი (12), აუთლო (11), ტომპსონი (2+12 მოხსნა).

**ლ:** მიქსი (21), ჰილი (18+15 მოხსნა), იანგი (17), ბუკმორი (14), ჯონსონი (8+12 მოხსნა), მარშალი (7+10 პასი).

**გია თვალაბეიშვილი**



კარმელო ენტონის „ნიქსმა" პლეი ოფის ზონაში შეაბიჯა

ამბები

**ბიატლონი**

## ჩინოვნიკი ოლე

ლეგენდარული ნორვეგიელი ბიატლონისტი **ოლე-ეინარ ბიორნდალენი** საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეს-კომისიის წევრი გახდა, - იტყობინება სოკ-ის ოფიციალური ვებგვერდი. ბიორნდალენმა ორი ოქრო მოიგო სოჭის ოლიმპიურ თამაშებზე. სულ მის ანგარიშზე უმაღლესი სინჯის რვა მედალია.

კომისიის ხელმძღვანელი გახდა აშშ-ის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე **ლოურენს პრობსტი.**

**ჰოკეი**

## რეგულარულის ბოლომდე ლიდერების გარეშე

გუშინ, „ჩიკაგო ბლეკჰოქსის" მენეჯმენტმა გამოაცხადა, რომ გუნდის ლიდერები - **პატრიკ კეინი** და **ჯონათან ტეივზი** გამოტოვებენ რეგულარული ჩემპიონატის დარჩენილ მატჩებს.

კლუბში გადაწყვიტეს, რომ უმჯობესია წამყვანი ფორვარდები ჯანმრთელობას გაუფრთხილდნენ და ყინულზე უკვე პლეი ოფში დაბრუნდნენ. „ჩიკაგოს" რეგულარულის ბოლომდე კიდევ ექვსი მატჩი აქვს ჩასატარებელი.

ამ სეზონში კეინმა 69 ქულა დააგროვა, ტეივზის ანგარიშზე 68 ქულა მოდის.

**კალათბურთი**

## ლეიკერსში დ'ენტონის ენდობიან

„ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ხელმძღვანელობა არ აპირებს ხელშეკრულების გაწყვეტას გუნდის მთავარ მწვრთნელთან **მაიკ დ'ენტონისთან.** კლუბმა გადაწყვიტა კონტრაქტის პირობების ბოლომდე დაცვა, რაც იმას ნიშნავს, რომ დ'ენტონი მომავალ სეზონშიც გაუძღვება კალიფორნიულ კლუბს.

ადრე ამ სპეციალისტის გადადგომას მხარი დაუჭირა „ლეიკერსის" რამდენიმე კალათბურთელმა, მათ შორის გუნდის ტრავმირებულმა ლიდერმა **კობი ბრაიანტმა.** გარდა ამისა, მწვრთნელი თვალში არ მოსდით კალიფორნიული კლუბის გულშემატკივართა დიდ ნაწილს, რადგან „ლეიკერსი" თავისი არსებობის ისტორიაში ერთ-ერთ უარეს სეზონს ატარებს. ამ მომენტისთვის, გუნდი ბოლოსწინა ადგილზეა დასავლეთ კონფერენციაში.

**გია თვალაბეიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# იხვების მორიგი დაბრუნება



ლოს ანჯელესი-ფინიქსი

მხოლოდ ოთხი მატჩი გაიმართა ჰოკეის ეროვნული ლიგის რეგულარულში, მაგრამ ოთხივე შეხვედრას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. „დეტროიტი", რომელიც აგრძელებს ბრძოლას პლეი ოფის საგზურისთვის, ლიგის ლიდერ „ბოსტონს" ხვდებოდა და ორჯერ იყო მდევრის როლში, მაგრამ ორივეჯერ გაათანაბრა ანგარიში. გადამწყვეტი შაიბა კი „რედ უინგზმა" მესამე პერიოდის შუაში გაიტანა. „ბოსტონმა" ცუდად შეცვალა შემადგენლობა და შაიბის დაკარგვის შემდეგ, „დათვების" დაცვაში მხოლოდ **ზდენო ხარა** დარჩა. მისი მოტყუება იოლად შეძლო **გუსტავ ნიკუისტმა** და შვედმა ფორვარდმა ბოლო 10 მატჩში მე-12 შაიბა გაიტანა. „დეტროიტმა" გაიმყარა პოზიციები აღმოსავლეთ კონფერენციაში პირველი უაილდ-ქარდისთვის ბრძოლაში.

„ბოსტონს" ამ მატჩში არ ჰყავდა საუკეთესო სნაიპერი **ჯერომ იგინლა**, რომელმაც პირველი თამაში გამოტოვა ბოლო შვიდი წლის განმავლობაში.

■ ■ ■

სტენლის თასის 2012 წლის მფლობელმა „ლოს ანჯელესმა" პლეი ოფის საგზური გაიფორმა. ეს შესაძლებელი გახდა საკუთარ მოედანზე „ფინიქსის" დამარცხებით. ამ უკანასკნელმა, რომელიც „დალასთან" და „მინესოტასთან" იბრძვის უაილდ-ქარდისთვის, ვერც ერთი შაიბა ვერ გაიტანა **ჯონათან კუიკის** კარში. „კინგზის" მეკარემ სეზონში მეექვსე „შათაუტი" შეასრულა.

ეს იყო კალიფორნიელთა 45-ე მოგება სეზონში. საკლუბო რეკორდის გამეორებამდე „მეფეებს" ერთი მოგება რჩებათ: 1990-91 წლების სეზონში „ლოს ანჯელესმა" რეგულარულ ჩემპიონატში 46 მატჩი მოიგო. მაშინ ამ გუნდში **უეინ გრეტცკი** თამაშობდა.

■ ■ ■

„ანაჰაიმი" საკუთარ მოედანზე თამაშობდა დასავლეთი კონფერენციის ყველაზე სუსტ გუნდთან „ედმონტონთან" და მესამე პერიოდის სტარტისთვის 0:2-ს აგებდა. „დაქსის" ჰოკეისტთა ნელი ტემპი და დარტყმების მცირე რაოდენობა თითქოს თამაშის გადარჩენის შანსს არ უტოვებდა „იხვებს", მაგრამ დარჩენილ 18 წუთში **ბრუს ბუდროს** შეგირდებმა მთლიანად მოიპოვეს ინიციატივა და გამარჯვებას მიაღწიეს. დუბლი შეასრულა **კორი პერიმ**, რომელიც მეორე ჰოკეისტია ამ სეზონში, ვინც 40-შაიბიანი ზღვარი გადალახა.

„დაქსი" წაგებული მატჩების შემობრუნების სპეციალისტი გახდა. ამ კვირას, „ანაჰაიმმა" ოთხშაიბიანი ჩამორჩენა გააბათილა „ვინიპეგთან" და ოვერტაიმში მოიგო. „ოილერზის" დამარცხების წყალობით, კალიფორნიელებმა გაიმყარეს ლიდერობა წყნარი ოკეანის დივიზიონში და შეინარჩუნეს კონფერენციაში გამარჯვების შანსი.

**ოტავა-აილენდერსი 1:2**

0:1, 0:0, 1:1

**გოლები:** 0:1 ბეილი-8 (სტროუმი-10, დონოვანი-11), 1:1 მ. მიხალეკი-17 (ნილი-5, ვირჩიოკი-17), 1:2 ჩიზიკასი-6 (ბეილი-25, სტროუმი-11).

**დეტროიტი-ბოსტონი 3:2**

0:1, 1:0, 2:1

**გოლები:** 0:1 ბოიჩაკი-4 (კელი-9, მარჩანდი-24), 1:1 ტატარი-19 (დეკეისერი-17, კინდლი-15), 1:2 სოდერბერგი-16 (პ. ბერჟერონი-30, რ. სმიტი-30), 2:2 იურკო-6 (ტატარი-17, კრონვალი-39), 3:2 ნიკუისტი-28 (ლეგუანდი-37).

**ანაჰაიმი-ედმონტონი 3:2**

0:0, 0:1, 3:1

**გოლები:** 0:1 ლარსენი-3 (მარინსინი-5, პერონი-29), 0:2 ებერლე-26 (ტ. ჰოლი-47, ნიუჯენტ-ჰოპკინსი-35), 1:2 პერი-40 (ბელესკი-14, ანდერსენი-1), 2:2 პერი-41 (რობიდასი-5), 3:2 ბოშემენი-4 (პერი-37, გეტცლაფი-53).

**ლოს ანჯელესი-ფინიქსი 4:0**

1:0, 1:0, 2:0

**გოლები:** 1:0 პირსონი-3 (ჯ. კარტერი-22), 2:0 დაუტი-10 (მარტინესი-9, კოპიტარი-40), 3:0 ჯ. კარტერი-27 (პირსონი-3), 4:0 კოპიტარი-25 (გაბორიკი-15, მარტინესი-10).

კრივი

# 12 აპრილს დიდი ბრძოლაა

სულ მალე, კერძოდ კი 12 აპრილს, აშშ-ში გაიმართება 2014 წლის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ბრძოლა, რომელშიც ერთმანეთს შეხვდებიან რვა წონით კატეგორიაში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი, ფილიპინელი **მენი პაკიაო** და ამერიკელი **ტიმოტი ბრედლი**. ეს მოკრივეები ერთხელ უკვე შეხვდნენ ერთმანეთს და მსაჯების საეჭვო გადაწყვეტილებით გამარჯვება ბრედლიმ მოიპოვა.



ტიმოტი ბრედლი

მატჩ-რევანშის წინ ბევრი განცხადება გაკეთდა. ორი დღის წინ, 30 წლის ამერიკელმა ისევ შეახსენა ყველას, რომ პირველ ბრძოლაში ის ტრავმირებული ფეხით გავიდა რინგზე. თავისი გამოსვლა ბრედლით ასე დაასრულა: *„თუ მაშინ ტრავმირებულმა მოვიგე, რატომ უნდა წავაგო ეს ბრძოლა ჯანმრთელმა?"*

ბრედლი ასევე აცხადებდა, რომ პაკიაო, რა თქმა უნდა, ღირსეული მოკრივეა, მაგრამ მისი დრო გავიდა. თავის მხრივ, პაკიაოსაც ხშირი ურთიერთობა აქვს პრესასთან, თუმცა მისი გამონათქვამები ნაკლებად ემოციურია:

*„ბრედლისთან ბრძოლისთვის მზადებისას სიახლეები შევნიშნე, რაც ადრე არ ყოფილა. თავის დროზე, ნოკაუტით დავამარცხე ოსკარ დე ლა ჰოია, რიკი ჰატონი, ერიკ მორალესი და მარკო ანტონიო ბარერა, მაგრამ ახლა, ბევრი გამოთქვამს ეჭვს იმის გამო, რომ იგივეს გაკეთება დღესაც შემიძლია. მიმაჩნია, რომ კვლავაც საუკეთესო ვარ და ამ განწყობით ვცხოვრობ. იმ დასკვნამდე მივედი, რომ გამარჯვებისთვის ახლა უფრო სწრაფ ტემპში მუშაობა მჭირდება. პირველად ვიბრძვი ჩემპიონის ტიტულისთვის, რომელიც მანამდე დავკარგე".*

გოლფი

# მასტერსი ვუდსის გარეშე



ტაიგერ ვუდსი

ლეგენდარული ამერიკელი გოლფისტი **ტაიგერ ვუდსი** ბოლო 19 წლის განმავლობაში პირველად გამოტოვებს „დიდი სლემის" პირველ ტურნირს - „მასტერსს", რომელიც აშშ-ის ქალაქ ოგასტაში იმართება. ვუდსმა საკუთარ ვებგვერდზე დაწერა, რომ უარის მიზეზი ზურგის არეში ნერვის ანთებაა. ეს დაზიანება უკვე დიდი ხანია აწუხებს გოლფისტს.

მსოფლიოს რეიტინგის პირველ ნომერს წლევანდელი სეზონის დასაწყისი არ გამოუვიდა. მისი საუკეთესო შედეგია დორალის ტურნირზე დაკავებული 25-ე ადგილი.

ვუდსს დაახლოებით 2-3 თვის გამოტოვება მოუწევს და ზაფხულის შუაში დაბრუნდება. ასე რომ, მან, შესაძლოა, გამოტოვოს „დიდი სლემის" მეორე ტურნირი - აშშ-ის ღია პირველობა, რომელიც ივნისში იმართება.

„მასტერსი" ოგასტაში მომავალ კვირას გაიმართება. ტურნირის მოქმედი გამარჯვებულია ავსტრალიელი **ადამ სკოტი**.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ევროპის ლიგა** | |
| **1/4 ფინალი. I მატჩები** | |
| ალკმაარი-ბენფიკა | 0:1 |
| ბაზელი-ვალენსია | 3:0 |
| პორტუ-სევილია | 1:0 |
| ლიონი-იუვენტუსი | 0:1 |
| **ინგლისი** | |
| **კონფერენსი** | |
| ჰალიფაქსი-ბრენტრი | 0:0 |
| **გერმანია** | |
| **რეგიონალლიგა (ჩრ)** | |
| ბრაუნშვაიგი II-სტ. პაული II | 2:2 |
| **დანია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ჰორსენსი-ჰობრო | 2:0 |
| **ფინეთის თასი** | |
| ატლანტისი-ბკ 46 | 2:0 |
| **თურქეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ადანა-სამსუნი | 1:1 |
| **ჩეხეთის თასი** | |
| **1/4 ფინალი. II მატჩები** | |
| ბრნო-სლავია | 0:1 პენ. 5:3 (1:0) |
| ბოლესლავი-იაბლონეცი | 1:0 (0:2) |
| **ლიტვა** | |
| ტრაკუ-ატლანტასი | 0:0 |
| **არგენტინა** | |
| ხიმნასია-ტიგრე | 3:1 |
| **სინგაპური** | |
| უორიორსი-ვუდლენდსი | 1:0 |
| ჰარიმაუ-გეილანგი | 0:3 |

| კალათბურთი | |
|---|---|
| **ევროლიგა** | |
| კახა ლაბორალი-ფენერბაჰჩე | 95:73 |
| პანათინაიკოსი-უნიკახა | 69:60 |
| ბაიერნი-მაკაბი (თ-ა) | 92:94 |

| ჰოკეი | |
|---|---|
| **კჰლ** | |
| მეტალურგი (მ)-ს. იულიაევი | 3:2 |
| **სლოვაკეთი** | |
| პიესტანი-კოშიცე | 1:2 |
| **ჩეხეთი** | |
| ტრშინეცი-ზლინი | 5:2 |
| სპარტა-ბრნო | 3:0 |
| **შვეიცარია** | |
| სერვეტი-ციურიხი | 4:2 |
| კლოტენი-ფრიბურგი | 5:2 |
| **შვედეთი** | |
| ფერიესტადი-ვექსიო | 1:6 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **WTA. ჩარლსტონი** | |
| ჰანტუხოვა-პერეირა | 6:2, 6:3 |
| ერანი-პენგი | 7:6, 7:6 |
| ჩეპელოვა-ვესნინა | 7:6, 3:6, 6:3 |
| ბუშარი-ვ. უილიამსი | 7:6, 2:6, 6:4 |
| ბენჩიჩი-სვიტოლინა | 6:7, 6:4, 6:1 |
| პეტკოვიჩი-ლისიცკი | 6:1, 6:0 |

TV პროგრამა

**4 აპრილი. პარასკევი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ევროპის ლიგა. 1/4 ფინალი. ლიონი-იუვენტუსი. პირველი მატჩი.
**12:00** ევროპის ლიგა. 1/4 ფინალი. პორტო-სევილია. პირველი მატჩი.
**14:00** არგენტინის ჩემპიონატი. XI ტური. სან ლორენცო-არსენალი.
**16:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. ვიტესი-ჰერენვეენი.
**18:00** გერმანიის ჩემპიონატი. XXVIII ტურის მიმოხილვა.
**19:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. ვაალვაიკი-აიაქსი.
**21:00** საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
**22:30** გერმანიის ჩემპიონატი. XXIX ტური. ჰამბურგი-ლევერკუზენი (LIVE).
**00:30** არგენტინის ჩემპიონატი. XI ტურის მიმოხილვა.
**01:30** პორტუგალიის ჩემპიონატი. XXV ტური. გიმარაეში-ეშტორილი.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-ტვენტე.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. XIII ტური. ბაიერნი-მაკაბი.
**14:30** საჩოგბურთო მიმოხილვა.
**15:00** ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. ბოკა ხუნიორსი-რივერ პლეიტი.
**17:00** რაგბი. ექვსი ერის თასი. ირლანდია-უელსი.
**19:00** სპორტ-NEWS.
**19:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MUNDIAL.
**20:00** კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. XIII ტური. ცსკა-გალათასარაი (LIVE).
**22:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**23:00** ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. XXVI ტური. გიმარაეში-ეშტორილი (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მაიამი. აშშ.
**13:05** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მაიამი. აშშ.
**14:50** საჩოგბურთო მიმოხილვა.
**15:30** ჩოგბურთი. დევისის თასი. 1/4 ფინალი. შვეიცარია-ყაზახეთი (LIVE).
**21:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მაიამი. აშშ.

ჩოგბურთი. დევისის თასი. 1/4 ფინალი

**იაპონია-ჩეხეთი**

**4 აპრილი. პარასკევი**
ტაცუმა იტო-რადეკ შტეპანეკი
ტარო დანიელი-ლუკაშ როსოლი

**5 აპრილი. შაბათი**
იტო/უჩიამა-შტეპანეკი/ვესელი

**6 აპრილი. კვირა**
ტაცუმა იტო-ლუკაშ როსოლი
ტარო დანიელი-რადეკ შტეპანეკი

**საფრანგეთი-გერმანია**

**4 აპრილი. პარასკევი**
ჟულიან ბენეტო-ტობიას კამკე
ჟო-ვილფრიდ ცონგა-პეტერ გოიოვჩიკი

**5 აპრილი. შაბათი**
ლოდრა/მონფილსი-ბეგემანი/კამკე

**6 აპრილი. კვირა**
ჟო-ვილფრიდ ცონგა-ტობიას კამკე
ჟულიან ბენეტო-პეტერ გოიოვჩიკი

**იტალია-ბრიტანეთი**

**4 აპრილი. პარასკევი**
ფაბიო ფონინი-ჯეიმს უორდი
ანდრეას სეპი-ენდი მარეი

**5 აპრილი. შაბათი**
ბოლელი/ლორენცი-ფლემინგი/ჰატჩინსი

**6 აპრილი. კვირა**
ფაბიო ფონინი-ენდი მარეი
ანდრეას სეპი-ჯეიმს უორდი

**შვეიცარია-ყაზახეთი**

**4 აპრილი. პარასკევი**
სტანისლას ვავრინკა-ანდრეი გოლუბევი
როჯერ ფედერერი-მიხაილ კუკუშკინი

**5 აპრილი. შაბათი**
ფედერერი/ვავრინკა-კოროლიოვი/ნედოვესოვი

**6 აპრილი. კვირა**
სტანისლას ვავრინკა-მიხაილ კუკუშკინი
როჯერ ფედერერი-ანდრეი გოლუბევი

ფორმულა 1

# რა იქნება ბაჰრეინში?

**საპირის ტრასა**
**სიგრძე:** 5412 მ
**წრეების რიცხვი:** 57
**რბოლის დისტანცია:** 308,238 კმ
**მოსახვევები:** 15 (9 მარჯვენა, 6 მარცხენა)
**DRS-ის ზონა:** ორი
**უგრძესი სწორი მონაკვეთი:** 1205 მ
**ტრასის რეკორდი:** 1:30.252 (შუმახერი, „ფერარი“, 2004)
**ყველაზე მეტი მოგება:** 3 - ალონსო
საერთო ჩათვლა
1. როსბერგი (მერსედესი) - 43
2. ჰემილტონი (მერსედესი) - 25
3. ალონსო (ფერარი) - 24
4. ბატონი (მაკლარენი) - 23
5. მაგნუსენი (მაკლარენი) - 20
6. ჰიულკენბერგი (ფორს ინდია) - 18
7. ფეტელი (რედ ბული) - 15
8. ბოტასი (უილიამსი) - 14
უქმეების განრიგი
4 აპრილი, 15:00 - I პრაქტიკა
4 აპრილი, 19:00 - II პრაქტიკა
5 აპრილი, 16:00 - III პრაქტიკა
5 აპრილი, 19:00 - კვალიფიკაცია
6 აპრილი, 19:00 - რბოლა

მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე ეტაპის - ბაჰრეინის გრანპრის წინ, რომელიც უახლოეს უქმეებზე გაიმართება, ბრიტანელი ჟურნალისტი და კომენტატორი **ჯეიმს ალენი** მსჯელობს გუნდების მოსალოდნელ ტაქტიკაზე:

გუნდებმა ბაჰრეინში ზამთრის ტესტების დიდი ნაწილი ჩაატარეს, რაც მათ დაეხმარებათ გრანპრისთვის მომზადებაში. წელს, რბოლა პირველად გაიმართება საღამოს - სტარტი ადგილობრივი დროით 18 საათზეა დანიშნული. ასე რომ, წინა წლებთან შედარებით არ იქნება გაუსაძლისი სიცხე და რბოლის მსვლელობისას ტემპერატურა თანდათან დაიკლებს.

„პირელიმ“ მომავალი ეტაპისთვის აირჩია Soft-სა და Medium-ის შემადგენლობის საბურავები. ერთი წლის წინ, ბაჰრეინში ტიპიური სტრატეგია იყო - სამი პიტსტოპი, მაგრამ ბევრ რამეს გადაწყვეტს საღამოს საათებში საბურავების ცვეთის ხარისხი - გუნდები ამ სიტუაციას პარასკევის თავისუფალი პრაქტიკისას გაარკვევენ. ტესტების შედეგებს თუ გავითვალისწინებთ, შესაძლოა, ორი პიტსტოპი საკმარისი აღმოჩნდეს.

ბაჰრეინში მუხრუჭებზე დატვირთვა - ერთ-ერთი ყველაზე მაღალია სეზონში. ერთ წრეზე პილოტებს ოთხჯერ უწევთ სიჩქარის დაგდება 300 კმ/სთ-დან. ტრასა უდაბნოში მდებარეობს და ასფალტზე მიმოფანტულმა ქვიშამ, შესაძლოა, ნეგატიურად იმოქმედოს მოჭიდებაზე, თუმცა უქმეების მსვლელობისას, ტრასის მდგომარეობა უმჯობესდება.

## ტრასის მახასიათებლები

საპირი. 5.41 კმ. რბოლის დისტანცია: 57 წრე (308.23 კმ). 15 მოსახვევი, ძირითადად საშუალოსიჩქარიანი. სამი გრძელი სწორი მონაკვეთი. აეროდინამიკა ეწყობა მოჭიდების ძალის საშუალო დონეზე. მაქსიმალური სიჩქარე - 322 კმ/სთ (DRS-ის სისტემით) და 310 კმ/სთ - მის გარეშე. აქსელერატორის სატერფულზე ბოლომდე ფეხის დაჭერით პილოტები წრის 64 პროცენტს გადიან.

მუხრუჭებით ცვეთა მაღალია. არის დამუხრუჭების რვა ზონა. დამხრუჭების დრო - წრის 16 პროცენტი. პიტლეინის სიგრძე: 480 მეტრი. პიტსტოპზე დროის დანახარჯი შეადგენს 23 წამს.

## ძალთა განლაგება

ბაჰრეინის გრანპრი - მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე ეტაპია. პირველ ორ გრანპრიზე „მერსედესმა“ ორჯერ მოიგო პოული, მოიპოვა ორი გამარჯვება და ბაჰრეინში ფავორიტის სტატუსით ჩავა. „მერსედესის“ სხვა კლიენტები - „მაკლარენი“, „უილიამსი“ და „ფორს ინდია“, შესაბამისად, მეორე, მეოთხე და მეხუთე ადგილს იკავებენ კონსტრუქტორთა თასის ჩათვლაში.

გასულ წლებში **ფერნანდო ალონსომ** სამჯერ მოიგო ბაჰრეინში, **ფელიპე მასასა** და **სებასტიან ფეტელს** ორ-ორი მოგება აქვთ, **ჯენსონ ბატონს** - ერთი. **ლუის ჰემილტონსა** და **ნიკო როსბერგს** არასოდეს გაუმარჯვიათ საპირზე, თუმცა შარშან, როსბერგმა პოულიდან აიღო სტარტი.


ლუის ჰემილტონი


ჯინ ჰაასი

# მე-12 ცნობილია?

ბრიტანული პრესის ინფორმაციით, ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაცია და ფორმულა 1-ზე კომერციული უფლებების მფლობელი ჩამოყალიბდნენ ახალ გუნდზე, რომელსაც დებიუტი ექნება „დიდ ცირკში“ უახლოესი ორი წლის განმავლობაში.

გამარჯვებულის გამოცხადებას თებერვლის ბოლოს აპირებდნენ. ახალი გუნდი ორი პრეტენდენტიდან უნდა აერჩიათ - Haas Racing და **კოლინ კოლესის** პროექტი, მაგრამ მაშინ გადაწყვეტილება არ მიიღეს იმის გამო, რომ არ არსებობდა ერთობლივი პოზიცია კომერციული უფლებების მფლობელებს შორის. ამის შემდეგ, მოლაპარაკებები გაგრძელდა და Haas Racing-ის არგუმენტები ფორმულა 1-ის ხელმძღვანელებისთვის უფრო მოსაწონი აღმოჩნდა.

ამ პროექტის ხელმძღვანელია ამერიკელი მეწარმე **ჯინ ჰაასი**, რომელიც NASCAR-ის სერიაში ფლობს გუნდს Stewart-Haas Racing-ს. ტექნიკური დირექტორი გახლავთ **გიუნტერ შტაინერი**, რომელიც, თავის დროზე, ამ თანამდებობაზე მუშაობდა „რედ ბულში“.

*„ვფიქრობ, Haas Racing მიიღებს ჩემპიონატში მონაწილეობის უფლებას. ფული მათ აქვთ. დაახლოებით მილიარდი დოლარი, რაც ოთხი სეზონისთვის საკმარისი იქნება. საკითხი მხოლოდ იმაში მდგომარეობს, როგორ აპირებენ ისინი თანხის დახარჯვას“*, - ამბობს ფორმულა 1-ის მთავარი პრომოუტერი **ბერნი ექლსტოუნი**.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

# ვინ ლაპარაკობს სიმართლეს?

დასავლურ პრესაში გაჩნდა ჭორები იმის შესახებ, რომ სამი თვის განმავლობაში ხელოვნურ კომაში მყოფი **მიხაელ შუმახერი**, შესაძლოა, გრენობლის ჰოსპიტალიდან შვეიცარიაში პილოტის სახლში გადაიყვანონ. ჩვენ უკვე ვწერდით იმის შესახებ, რომ მიხაელის მეუღლე **კორინა** საშინაო პირობებში აპირებს სამედიცინო ოთახის მოწყობას, რომელიც თანამედროვე ტექნილოგიებით იქნება აღჭურვილი. ცნობილი სპორტული ექიმი **რაინჰარდ ვაინსტებლი**, რომელსაც საკუთარი კლინიკა აქვს ვენაში, აღნიშნავს, რომ მიხაელის ტრანსპორტირება სავსებით შესაძლებელია.

*„ვერტმფრენით ტრანსპორტირება ყოველთვის შესაძლებელია. მიხაელის გადაყვანა შეიძლება უსაფრთხოდ მოხდეს“*, - ამბობს ვაინსტებლი.

კითხვაზე - რა პირობები უნდა ჰქონდეს შუმახერს სახლში, ექიმმა უპასუხა: *„იქ უნდა იყოს ინტენსიური თერაპიის ოთახი და შესაბამისი ვენტილაცია“*.

■ ■ ■

ამ კომენტარიდან მეორე დღეს, გერმანულმა გაზეთმა „ბილდმა“ დაწერა, რომ მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონის მდგომარეობაში შეინიშნება გარკვეული გაუმჯობესება. შუმახერის ოჯახის წევრები, მისი მეგობრები და ექიმები არ კარგავენ ოპტიმიზმს და სჯერათ, რომ შუმი გონს მოვა.

*„მე მხოლოდ ამ ინფორმაციის გამეორება შემიძლია: არის გარკვეული ნიშნები, რომელიც იმედს გვაძლევს“*, - მოჰყავს გაზეთს მიხაელის პრესმდივნის **საბინა კემის** სიტყვები. ნებისმიერ შემთხვევაში, სიტუაცია მაინც რთულია და არ შეიძლება მოულოდნელი გართულებების გამორიცხვა.

საბინა კემმა აგრეთვე უარყო ინგლისურ პრესაში გავრცელებული ჭორები, რომ კორინა შუმახერი მილიონებს ხარჯავს პილოტის სახლში მინი-ჰოსპიტალის მოსაწყობად: *„ჭორები იმის შესახებ, რომ კორინამ სახლის გადაკეთება განიზრახა, აბსოლუტურად უსაფუძვლოა“*.


საბინა კემი




დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**
მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი** (599 56 17 38); მოადგილე: **ნიკოლოზ ნეფარიძე** (595 09.03 28)
მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

**პალიტრა მედიის ცხელი ხაზი:** 2 19 60 13; 2 19 60 53. **ელფოსტა:** *leloltd@gmail.com;* მისამართი: **იოსებიძის, 49.** ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:45 ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: გია თვალაბეიშვილი
ტელეფონი: 238 84 44; 238 74 44 (რედაქცია). 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. სარეკლამო განყოფილება: 237 78 07; 2 38 78 70
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608